# საარბიტრო

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 17 ოქტომბერი 1998 №188 (723) ფასი 50 თეთრი


# იყო ჩხუბიც, სისხლიც, სროლაც



მატჩის დასასრულამდე ათიოდ წუთი რჩებოდა. აზოტი სდასუს სამი ქულით უგებდა. რუსთაველები უტევდნენ. ამ დროს ბერუაშვილი და ორჯონიკიძე ერთმანეთს შეეჯახნენ და ორივე წაიქცა.

მსაჯის სასტვენის მიუხედავად დაცემულები წამოდგომას არ ჩქარობდნენ. მათი გაბაასება კამათში გადაიზარდა. თანაგუნდელებს სიტყვა სხვებმაც შეაშველეს და ჩხუბიც დაიწყო...

იხილეთ მერვე გვერდი



„ტორპედოს“ გორში ერთადერთხელ, ხუთი წლის წინ, ვაჩიბერაძემ მოაგებინა

## საქართველოს ჩემპიონატი 10 ტური

17 ოქტომბერი, შაბათი

დილა – ტორპედო
სამგურალი – ლოკომოტივი
გორდა – ბათუმი
სიონი – ოდიში
თსუ – კოლხეთი

18 ოქტომბერი, კვირა

მერანი – ვიტ ჯორჯია

19 ოქტომბერი, ორშაბათი

დინამო – იბერია
არსენალი – გურია

## საქართველოს ჩემპიონატი 4 ტური

16 ოქტომბერი. პარასკევი

სდასუ 78:86 აზოტი
კოლხა 64:97 თსუ

17 ოქტომბერი. შაბათი

სტუ — მაკაბი
ვითა — დინამო

### გერმანია

VIII ტური

ლაუტერნი 1:1 ვოლფსბურგი
0:1 დამაიერი (50), 1:1 რაიხი (73)

მიუნხენ 1860 2:1 ბოხუმი
1:0 ვინკლერი (4), 1:1 შინდცირლოსი (7), 2:1 პობში (21)

#### მეორე ბუნდესლიგა

X ტური

ჰანოვერი 1:1 ობერჰაუზენი
0:1 ვებერი (10), 1:1 დეგენი (46)

კარლსრუე 6:0 კიკერსი
1:0 ბაუმერი (9), 2:0 კრიგი (36), 3:0 მლადინიჩი (68), 4:0 კრიგი (73), 5:0, 6:0 მაისნერი (83, 88)

ვატენშაიდი 0:1 ბერლინი
0:1 არაჩიჩი (41)

### შვეიცარია

XIV ტური

ციურიხი 1:0 ბაზელი
1:0 ჩასოტი (58)

ლუგანო 1:1 გრასჰოპერი
0:1 დე ნაპოლი (45), 1:1 ჯალანცა (85)

### ჰოლანდია

IX ტური

ალკმაარი 1:3 ჰერენვენი
0:1 პალპაცი (13), 1:1 ჰუიბერტი (43), 1:2 ჰოუტუინი (61), 1:3 ტალანი (63)

### საფრანგეთი

IX ტური

ლიონი 1:1 პსჟ
0:1 სიმონე (17), 1:1 კოკარი (57)

ბორდო 2:0 ნანტი
1:0 მიკუ (37), 2:0 დიავარა (38)

სტრასბური 0:2 მარსელი
0:1, 0:2 მორისი (41, 53)

### პორტუგალია

VII ტური

სეტუბალი 1:0 გიმარაეში
1:0 ელიუ (30)

### თურქეთი

VIII ტური

ქოჯაელი 2:1 ანთალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არის დამნაშავე?
# ფედერაციამ თავი იმართლა

ბადრი კილაძის ფოტო



ნოდარ ანდრიაძე ცვლილებების მომხრეა

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ფიასკომ გულშემატკივართა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მიმართ ათასგვარი ბრალდებები გაისმა, თუმცა ხალხი მთავარ დამნაშავედ ფედერაციის მესვეურებს ასახელებს. მათი ბრალია, საქმე აქამდე რომ მიიყვანესო, ხშირად გაიგონებთ ქომაგთაგან.

ქართული ფეხბურთის მამებმაც კარგად უწყიან ხალხის განწყობილების შესახებ და გუშინ პრესკონფერენცია ჩაატარეს, თავი რომ ემართლებინათ.

ნოდარ ანდრიაძის სამყოფელში ჟურნალისტების სიმრავლე იყო. პირველად სიტყვა ნოდარ კობერიძემ ითხოვა და აღშფოთება გამოთქვა ტელევიზიის პირველ არხზე გადაცემული ამასწინანდელი განცხადების გამო — 23 ოქტომბრის მერე, იმედია, სფფ-ში მამულიშვილები მოვლენო. კობერიძის თქმით, ფედერაციის თანამშრომლებს შეიძლება ბევრ რამეში შეედავო, მაგრამ მათ მამულიშვილობაში ეჭვის შეტანა ყოვლად დაუშვებელია.

ამის შემდეგ ნოდარ ანდრიაძემ მოგვმართა თხოვნით, რომ ეს შეხვედრა არ ყოფილიყო მხოლოდ პრესკონფერენცია, არამედ გულახდილი დიალოგის ხასიათი მიგვეცა.

ვიცე-პრეზიდენტი აღელვებული იყო — ბედმა გაგვიღიმა და მოგვცა შანსი იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდეთ. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენაა მიმართული. როცა ფიქრობ და რამეს გეგმავ, პირველ რიგში უნდა მწვრთნელებს დაეკითხო. სწორედ მათი წინადადება იყო, რომ ორივე ნაკრებს წინასწარი ხუთდღიანი შეკრება რიგაში ჩაეტარებინა. უეფას რეგლამენტითაც გვქონდა ლეგიონერების მატჩამდე ხუთი დღით ადრე გამოძახების უფლება. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან თუ მოსამზადებელი ეტაპი თბილისში ჩატარდებოდა, 35 პროცენტით ნაკლები ხარჯი გვექნებოდა. ჩვენთვის მთავარი იყო მწვრთნელების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამიტომაც ყველა მათ მიერ წამოყენებული პირობა ყოველგვარი გართულების გარეშე გადავწყვიტეთ დადებითად.

ნაკრებების ოთხივე თამაში 170 ათასი დოლარი დაჯდა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ სფფ-მ ყველაფერი გაიღო და მოვალეობა პირნათლად შეასრულა. ფეხბურთელები ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობდნენ როგორც რიგაში, ასევე ათენში. იმაზეც წავედით, რომ ნაცვლად 18 ფეხბურთელისა, გუნდებს 20 კაცი წამოეყვანათ, რათა ყველაფრისგან დაზღვეულნი ყოფილიყვნენ. ერთი ფეხბურთელის კვებაზე დღეში გათვლილი გვქონდა 30-35 დოლარი, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს თანხა 70 დოლარამდე გაიზარდა.

პირადად ვიყავი იქ და საერთოდ არ მოვშორებივარ ნაკრებებს. ალბათ, გაინტერესებთ როგორ წარიმართა მოსამზადებელი ციკლი?

ბატონმა ვოვამ საოცარი შრომისუნარიანობა გამოავლინა. ჩაუჯდა მსოფლიოში ცნობილ წვრთნის ახალ მეთოდიკას, დღე და ღამეს ასწორებდა, ცდილობდა, იგი მინდორზე გადმოეტანა. ისმება მეორე კითხვა — როგორი მომზადებული ჩამოვიდნენ ლეგიონერები?

ბევრი მთგანი ტრავმირებული იყო, ბევრს კი სათამაშო პრაქტიკა აკლდა. ხუთ დღეში ფიზიკური დატვირთვითა და ტაქტიკური მომზადების მხრივ მწვრთნელებმა მაქსიმუმი გააკეთეს. არ არსებობდა რაიმე პრობლემა, რომელსაც ეროვნული ნაკრების თავკაცობა ან ფეხბურთელი დაასახელებდა, რომელიც იმ წუთშივე არ გადაიჭრებოდა.

რამდენად დაგვიფასეს ეს შრომა? თქვენ კარგად იცით, რომ არ არის ლატვიის ნაკრები ის გუნდი, საქართველომ რომ ვერ მოუგოს.

ახლა ყველაზე მთავარი — როგორი განწყობილებაა ეროვნულ გუნდში? როგორი დამოკიდებულებაა ლეგიონერებსა და ახალგაზრდა კანდიდატებს შორის? ამ უკანასკნელთათვის კარები დახურულია. ლეგიონერებში არ არის ისეთი სულისკვეთება, რომ ახალწვეულებს დაუთმონ ადგილი, როცა თვითონ არ არიან ფორმაში. შევამჩნიე, რომ თითქოს ყველას წინასწარ აქვს ადგილი დაბევებული ეროვნულ ნაკრებში. ესაა ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი. ყოველივე ეს მწვრთნელთა კომპეტენციაა, მაგრამ... თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ფეხბურთელების შერჩევისას ფედერაციის მხრიდან არავითარი ჩარევა არ ყოფილა და არც იქნება. არავითარ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.

როცა რიგაში ვიყავით, შევხვდით ლატვიის ფეხბურთის ხელმძღვანელობას და ამას დაესწრო უეფას დელეგატი. იგი გაოცებული დარჩა იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს დელეგაცია ხუთდღიან შეკრებაზე ჩამოვიდა რიგაში. ასე გვითხრა, მდიდარი ფედერაცია ყოფილხართ, როგორ მოახერხეთ ორი გუნდის (57 კაციანი შემადგენლობით) წინასწარ შეკრებაზე უცხოეთში ჩამოყვანაო.

მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს, რომ ლეგიონერებს ყველანაირი პირობები შევუქმენით. სფფ-მ ყოველივე ხუთიანზე გააკეთა. შედეგი კი რა მივიღეთ? რატომ მოხდა ასე? დაიხარჯა ბოლომდე ყველა, ვინც საქართველოს დროშის ქვეშ გამოდის? ნუთუ იმდენი კაცობა მაინც არ უნდა გაგაჩნდეს, რომ ხმამაღლა განაცხადო — მე არ ვარ ფორმაში და ნუ მათამაშებო?

ვოვა გუცაევს მუშაობა უნდა ვაცალოთ, რადგან სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს და ვოვამ უნდა გადაწყვიტოს ყოველივე.

დღეს ფეხბურთს გვარი არ თამაშობს, გვარები რამდენიც გინდა, იმდენი არსებობს საქართველოში. ფეხბურთს ფეხბურთელები თამაშობენ.

ახლა ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ. მათი ხელმძღვანელობის საქმისადმი დამოკიდებულება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენ ამ საკითხს უახლოეს აღმასკომზე განვიხილავთ. რიგაში მათი თამაში საშინელება იყო. ფეხბურთელები მინდორზე დადიოდნენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მე იქ აღვნიშნე, რომ ახალგაზრდული ნაკრები ძირითადად თბილისის „დინამოს“ წევრებისგანაა დაკომპლექტებული. ხურცილავამ მეტი ზემოქმედება უნდა მოახდინოს ამ ფეხბურთელებზე. მათ მეტი უნდა იმუშაონ. საქართველოს გათელვის უფლება არავისა აქვს. მე მრცხვენია ჩვენების ასეთი სუსტი თამაშისა მაშინაც კი, როცა იგებდნენ. როგორმე ფეხბურთელები უნდა გამოვიყვანოთ ვარსკვლავური დაავადებისგან და მიწაზე დავაბრუნოთ. ნახეთ, რა გვიქნეს ბერძნებმა? ათი კაცი რომ ორ ბურთს გაგიტანს, სირცხვილი არაა? მთავარი მწვრთნელი ხარ თუ მწვრთნელები ხართ, კორექტირება არ უნდა შეიტანოთ თამაშში? ბურთი მრგვალია და წავაგეთო. როგორ წააგე, კაცო? 200 პროცენტით მოსაგები მატჩი იყო, მაგრამ სამი ფეხბურთელი დადიოდა და უმრავლესობაში კი არა, მაინც უმცირესობაში ვიყავით.

ყველაზე დიდი ნაკლი კიდევ ისაა, რომ ნაკრების კანდიდატებზე გუნდებში პერსონალური მუშაობა არ მიდის. როცა კლუბში დაბალი დონეა და შენ ნაკრების წევრი ხარ, შენ თავზე მეტი არ უნდა იმუშაო?

ბატონი საშა ჩამოფრინდა და ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელებს ეკითხება, ფეხბურთელების წონები მაჩვენეთო. რა მეცნიერულ დონეზეა ლაპარაკი, როცა თითოეული ფეხბურთელის წონა არ იციან. ელემენტარული რამ არ იციან. რატომ მაინცდამაინც ქართველებს უნდა დაგვემართოს ასეთი სასწაული, რაც ჩვენ დაგვემართა? ათმა კაცმა თერთმეტს როგორ უნდა მოგიგოს? ალბათ, ჩვენი ბრალიცაა. რუსებს აქვთ ერთი გამონათქვამი — ენდე, მაგრამ შეამოწმე. ალბათ, ჩვენც მოვადუნეთ ყურადღება და კონტროლი.

შემდეგ ვიცე-პრეზიდენტს კითხვებით მივმართეთ:

**— თქვენ თქვით, რომ ყველა პირობა შეუსრულეთ ფეხბურთელებს, ისინი კი მაინც არ ინდომებენო. ხომ არ იცით, რა უნდა იყოს მიზეზი?**

— ჩვენ გვქონდა ათენში ფეხბურთელებთან შეხვედრა, რომელსაც საქართველოს ელჩი საბერძნეთში, ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე დაესწრო. შეხვედრის შემდეგ ბატონმა საშამ მითხრა, კი მაგრამ, ასეთი რა ვთქვი, სიცილით რომ კვდებოდნენო. წარმოგიდგენიათ, ასეთი უპასუხისმგებლობა, როცა საქართველოს ელჩი გელაპარაკება და შენ კი...

განა შეიძლება კაცი დამოუკიდებელი საქართველოს სახელით გამოდიოდე და არ გეამაყებოდეს. ან უნდა მოკვდე ან დაიხარჯო მაინც...

**— იქნებ ფეხბურთელებს პირობები არ აკმაყოფილებთ?**

— ყოველ გამოძახებაზე საქართველოში ღებულობენ 500 ლარს, ხოლო საზღვარგარეთ გამოძახებაზე 500 დოლარს. ამ გამოძახებაზე თითოეულს 1000 დოლარი მივეცით. შემდეგ წამოვიდა ასეთი წინადადება, რომელიც მოწიწებით გაგვანდო გუცაევმა. თუ ისინი ამ ორ მატჩში ოთხ ქულას აიღებდნენ, დამატებით უნდა დაგვესაჩუქრებინა, გამოვნახეთ საშუალება იმისა, რომ ეროვნული ნაკრებისთვის 50 ათასი დოლარი მიგვეცა პრემიის სახით. თუმცა ამ შემთხვევაში ირღვეოდა ხელშეკრულება, რადგან კონტრაქტით ეს არაა გათვალისწინებული. კონტრაქტში ასე წერია, რომ თუ ჩვენი ნაკრები მოხვდება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაშინ მთელი გუნდი ერთ მილიონ დოლარს მიიღებს.

**— თუ ასე სამარცხვინოდ ვითამაშეთ, მაშინ ფინალურ ეტაპზე რაღა გვინდა?**

— არა, შემადგენლობის გადახალისების შემთხვევაში ვამბობ მე. ნაკრების ხელმძღვანელობამ რადიკალურ ზომებს უნდა მიმართოს. არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები მზად იმისათვის, რომ ეროვნული ნაკრების კარი თამამად შეაღონ, შეაღონ არა სახელითა და გვარის წყალობით, არამედ თავიანთი საფეხბურთო მონაცემებით. მთელმა საქართველომ დაინახა ცვლილებების აუცილებლობა და ეს გუცაევმა უნდა გააკეთოს. ამისათვის ყოველგვარი ფონი შექმნილია.

**— ამხანაგური მატჩები ხომ არ დაიგეგმა?**

— უკრაინიდან დარეკა ბურიაკმა და შემოგვთავაზა თბილისში თამაში. თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში, ალბათ, გაიმართება შეხვედრა.

შემდეგ სიტყვა ითხოვა სფფ-ს კომერციული სამსახურის დირექტორმა რეზო შავდიამ. მან აღნიშნა, რომ ფეხბურთელებს სრული სათამაშო კომპლექტები დაურიგდათ საჩუქრად ისევე, როგორც ალბანელებთან შეხვედრის დროს. მათ უფლება ჰქონდათ, მაისურების გაცვლისა. ასეთ რამეს კი არც ერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნის ფედერაცია არ აკეთებსო.

— ამ ტურნესთვის ყველაფერი უმაღლეს დონეზე გავაკეთეთ და ყველა ნიუანსი იყო გათვალისწინებული.

რეზო შავდიამ ხარჯთაღრიცხვაც წარმოგვიდგინა.

### ორივე ნაკრები

| | | | |
|---|---|---|---|
| თვითმფრინავი | — | 55 000 | აშშ დოლარი |
| ვიზები | — | 4 500 | აშშ დოლარი |
| სასტუმრო რიგაში | — | 35 000 | აშშ დოლარი |
| სასტუმრო ათენში | — | 25 000 | აშშ დოლარი |
| გამოძახების (სამივლინებო) | — | 26 450 | აშშ დოლარი |
| მედიკამენტები | — | 2 000 | აშშ დოლარი |
| ლეგიონერების ბილეთები | — | 18 500 | აშშ დოლარი |
| გაუთვალისწინებელი | — | 3 500 | აშშ დოლარი |
| სულ: | — | 169 950 | აშშ დოლარი |

ბოლოს კვლავ ნოდარ ანდრიაძემ გამოთქვა სინანული:

— დღეს დიდუბის საგადასახადო სამსახური გვეწვია. ჩვენ ხომ სახელმწიფოს ფული გვმართებს. საწყენია, რომ არც ერთ სახელმწიფო მოხელეს არ დაურეკავს და არ უკითხავს, რას ვაკეთებდით, რა პრობლემები გვაწუხებდა, მიდიოდა თუ არა გუნდი სათამაშოდ.

წარმოიდგინეთ, გუნდი წავიდა და ერთი ზარიც არ ყოფილა ამბის გასაგებად. კომუნისტებს ის მაინც ჰქონდათ, რომ როცა „დინამო“ პრინციპულ თამაშზე მიემგზავრებოდა, მთელი დელეგაცია შეხვდებოდა-ხოლმე. მე ვლაპარაკობ მხოლოდ მორალურ და ზნეობრივ მხარდაჭერაზე, სხვა არაფერზე.

შენ შეიძლება არ მოგწონდეს ანდრიაძე, კვინიკაძე, ჩივაძე, მაგრამ ფეხბურთელებს და მწვრთნელებს მაინც შეხვდნენ, ჰკითხონ, როგორი პირობები აქვთ, გაამხნევონ მაინც.

ფეხბურთი სახელმწიფო იდეოლოგიაა. სხვა რა იდეოლოგია აქვს ჩვენს დამარცხებულ ქვეყანას დღეს, მითხარით? ნუთუ შეიძლება ასეთი უყურადღებობა?

**ხვიჩა სანიძე**

# ჟორდანიამ დაიწყო

15 ოქტომბრის „სარბიელში“ ვიუწყებოდით, რომ პირველი საარჩევნო ვადის შემდეგ დრომ მხოლოდ გოგლიძეზე და დათუნაშვილზე იმუშავა და თუკი ჩივაძე ობიექტური, ლოგიკური მიზეზის გამო ჩამოშორებული იყო საარჩევნო პერიპეტიებს, მერაბ ჟორდანიას ივლისის შემდეგ არცკი შეუხსენებია ამომრჩევლისთვის თავი. მაგრამ მოახლოვდა 23 ოქტომბერი და ჟორდანიამაც ხელი გამოიღო.



მერაბ ჟორდანიამ თავი შეგვახსენა

გუშინ ოლიმპიურ კომიტეტში მერაბ ჟორდანია პირადი ინიციატივით ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრებს უნდა შეხვედროდა, მაგრამ შეხვედრა გადაიდო.

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ჯანო ბაგრატიონმა აგვიხსნა — მერაბ ჟორდანია გუშინ, ნაცვლად ოლიმპიური კომიტეტისა, მრეწველთა კავშირს ესტუმრა და ორიოდე დღეში ჩვენც გვეწვევაო.

გუშინვე 17 საათზე ჟორდანია „ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის“ წარმომადგენლებსაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს შეხვედრა დღეისთვის გადაიდო.

ასე რომ, მერაბ ჟორდანიამაც დაიწყო.

**ვანო ოქროპირიძე**

# ჩხეიძე მოლოდინშია

სამი-ოთხი თვეა, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე ნიკა ჩხეიძე უქმადაა. ნიკა გერმანული რეგიონალლიგის „ჰომბურგის“ ღირსებას იცავდა, მაგრამ გასული სეზონის ბოლოს კონტრაქტის ვადა ამოეწურა და გუნდიდან წამოვიდა. მისით „დინამო“ დაინტერესდა, „ჰომბურგის“ ხელმძღვანელობამ კი მის სანაცვლოდ სოლიდური თანხა — 350 000 მარკა მოითხოვა, რადგან ჩვენებურს სამოყვარულო კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და ბოსმანის წესს არ ექვემდებარება. თანაც დინამოელთა თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ გამოცდილ ჩხეიძეს გამოუცდელნი ამჯობინა, მომავლისთვის ესენი მჭირდებაო. უკლუბოდ დარჩენილი ნიკა კი მოწვევას ელოდა და, როგორც ჩანს, მიიღო კიდეც. მან კლუბის დასახელებისაგან თავი შეიკავა, რამდენჯერაც წინასწარ რაიმე ვთქვი, იმდენჯერ ჩამეშალაო. ყველაფერი ნოემბრის პირველ რიცხვებში გადაწყდება.

**ვანო ოქროპირიძე**

ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!
რუსთაველის №17. ტ: 98 37 10
① ნებისმიერი დონის სწავლება
დაწყებული ელემენტარულიდან
დამთავრებული პროფესიონალურით
② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან
სტუდენტურ სასტუმროებში
③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა
④ მისაღები ფასები

საქართველოს ჩემპიონატი
10 ტური
ეროვნული

# მეათეს ორმაგი ინტრიგა

საიუბილეო ჩემპიონატის მეათე ტური საინტერესო ორთაბრძოლებს გვპირდება. ცენტრალურად „დილა“ — „ტორპედოს“ პაექრობა მივიჩნიეთ, თუმცა სხვა მატჩებშიც უშეღავათო ბრძოლები გველის. ამ ტურის მთავარ ინტრიგად, ისევე როგორც ჩემპიონატისა, კვლავ რჩება გალიდერების სურვილი და პირველობის შენარჩუნება. ჯერობით კვლავ დაუმარცხებლად მიდიან „დინამო“, „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“.

კიდევ ერთი მთავარი ინტრიგა — ეროვნულ ნაკრებში გაცხრილვის პროცესი იწყება და ფეხბურთელებიც თავგამეტებით მოინდომებენ სახელგატეხილი ლეგიონერების ადგილის დაუფლებას.

გორი
17 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
8 230

## დილა — ტორპედო

მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი);
ა. მეშკოვი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი);
ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

მეათე ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ გორში გაიმართება, მატჩი, რომლის პროგნოზირება წარმოუდგენელია. ჩემპიონატის სიურპრიზად მონათლული „დილას“ და გათამაშების ლიდერ „ტორპედოს“ პაექრობის ნახვა ერთ რამედ ღირს. არაა გამორიცხული, გორის ცენტრალურ სტადიონს წლევანდელ სეზონში მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა მიაწყდეს.

ამ მატჩს დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით სტუმართათვის, რადგან ისინი დაუმარცხელად მოსულან დღემდე და მიუხედავად ათასგვარი პრობლემისა, ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ. თანაც ძლიერი სპონსორისაც ეიმედებათ, იმედი კი თავისებური სტიმულია. საამმატჩოდ ქუთათურებმა ერთი პატარა წახალისება უკვე მიიღეს ინკოგნიტო სპონსორისაგან 100-100 ლარის სახით: მათ გუნდის ლიდერი დათო ჯანაშიაც შეუერთდებათ, რომელმაც წინა ტური გამოტოვა სამი ყვითელის გამო, მაგრამ ჩავლენ სათამაშოდ გორში „ტორპედოს“ თბილისელი წევრები? საკითხავი აი, ეს. არის.

ფინანსურად არც ქართლელებს ულხინთ. აგერ უკვე კარგა ხანია, ხელფასები არ აუღიათ, მაგრამ გორელებს არც საჩემპიონო ამბიციები აწუხებთ და ყოველთვის ჩემპიონატის ღირსეული გუნდის სტატუსზე აქვთ პრეტენზია. „დილას“ ფეხბურთელებს რაღაც განსაკუ-




„დილა“ — „ტორპედოს“ შარშანდელი შეხვედრა უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა

თრებული საფეხბურთო ჯიგარი აქვთო, ხშირად გაიგონებთ გულშემატკივრებისა და სპეციალისტებისგან.

შარშანდელ სეზონში ქუთაისლებმა 4 ქულა აართვეს უხერხულ მეტოქეს, მაგრამ თასის მერვედფინალში „ტორპედო“ სწორედ „დილას“ ემსხვერპლა, რითაც იმერლებს ევროსაგზურებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გაურთულა.

ამ შეხვედრას შედეგს მოუთმენლად ელის საქართველოს მარადი ჩემპიონი, რადგან თუ ჩემპიონატის ლიდერი ქულას დაკარგავს, ორშაბათს „დინამო“ „იბერიაზე“ შესაძლო გამარჯვებით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცევა და ტილბურგული შოკის შემდეგ ცოტა სულს მოითქვამს.

ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული მატჩის მთავარი მსაჯის მოქმედებაზეც, რადგან ერთმა შეცდომამ შეიძლება შეხვედრის ბედიც გადაწყვიტოს.

შეძლებს „დილა“ ამბიციური „ტორპედოს“ შეჩერებას?

მოახერხებენ ქუთათურები იმის დამტკიცებას, რომ ცნობები მათი დაშლისა და ჩემპიონობისთვის ბრძოლიდან ნაადრევად ჩამოწერის შესახებ ნაჩქარევი?

მცხეთა
17 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
3 000

## თსუ — კოლხეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი);
გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. შალამბერიძე (ქუთაისი);
ზ. დარჩია (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

თსუ-მ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში, ზედიზედ სამი წაუგებელი მატჩი და მეთორმეტე ადგილამდე აღზევებაც ამაზე მეტყველებს. სტუდენტებმა წინა ტურში „არსენალთან“ 4:1 გამარჯვებით მშვენიერი განწყობა შეიქმნეს და ყველანაირად შეეცდებიან, გუნება არც დღეს წაიხდინონ. თუმცა მთლად არმიელებივით რომ ვერ დაიბრიყვებენ მოგებების იმტაზე მოსულ კოლხებს, ესეც ფაქტია. მით უმეტეს, ფოთელები კიდევ უფრო გაძლიერდნენ — რამდენიმე დღეა, მათ პოლონეთიდან მობრუნებული გელა გაბისონია შეემატათ. ფოთელებს, სტუდენტებისგან განსხვავებით, ფინანსური მდგომარეობაც სტაბილური აქვთ. ამ მატჩში რომელიმე გუნდის უცილობელ ფავორიტად მიჩნევა ძნელია, მაგრამ მცირე უპირატესობა, ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ზღვისპირელების მხარესაა.

ბოლნისი
17 ოქტომბერი
16 საათი
თემურ სტეფანია
3 000

## სიონი — ოდიში

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
დ. თოდუა (თბილისი), თ. ჩაგელიშვილი (ქარელი);
შ. ბერიძე (ასპინძა)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

ბოლნისური მატჩი საინტერესო უნდა გამოდგეს. ამის თქმის უფლებას ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაძლიერებული „სიონი“ გვაძლევს. ახალ მწვრთნელთან, სპარტაკ არჩვაძესთან ერთად გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც მივიდა. მათგან დავით სოლოღაშვილი დღეს აუცილებლად გავა მოედანზე, თუ, ცხადია, რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა. კახა სიდამონიძესა და დავით კევლიშვილს კი ფორმალური საკითხები აქვთ მოსაგვარებელი. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ეს პრობლემა მატჩამდე მოგვარდება.

„სიონს“ უკვე ექვსი მატჩია, არ მოუგია, აქედან ხუთში სულაც დამარცხებულმა დატოვა მინდორი, ამიტომ მისგან აქტიურ თამაშს უნდა ველოდოთ. „ოდიშმა“ კი ბოლო ორ ტურში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა და წარმატებული სერიის გაგრძელებას დღესაც შეეცდება.

თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
ისანი
5 000

## არსენალი— გურია

მსაჯები: ს. კახიანი;
ა. ქარქაშაძე, ზ. დოლიძე;
დ. თოდუა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

გასულ ტურში ორივე გუნდი დიდი ანგარიშით დამარცხდა. გურულთა მარცხი „ტორპედოსთან“ გარკვეულწილად ლოგიკურიც იყო. რაც შეეხებათ არმიელებს, მათი თსუ-სთან 1:4-ით განადგურება ერთგვარი მოულოდნელობა გახლდათ. ლიგის დებიუტანტის კვალობაზე ოთარ კორღალიძემ მშვენიერი გუნდის ჩამოყალიბება მოახერხა, რისი მოწმენიც არაერთ შეხვედრაში ვყოფილვართ. თანაც არმიელებს სერიოზული ძალა დაემატათ თურქეთიდან დაბრუნებული ზაზა ზირაქიშვილის სახით. ერთიცაა აღსანიშნავი: მასპინძლები დასავლეთის გუნდებთან შინ წარუმატებლად ასპარეზობენ, მათ უკვე ორჯერ იწვნიეს მარცხი — „იბერიასთან“ და „ტორპედოსთან“. შეძლებენ თუ არა გურულები არმიელთათვის ამ უსიამოვნო ტრადიციის გაგრძელებას, დღევანდელი მატჩი გვაჩვენებს.

თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
75 000

## დინამო — იბერია

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი;
ვ. ჩოჩიშვილი , მ. ელიკაშვილი ;
ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

ქვეყნის უცვლელ ჩემპიონებს მეათე ეროვნულ ჩემპიონატში მეშვიდე გამარჯვების მოპოვება, წესით და რიგით, არ უნდა გაუჭირდეთ, მით უმეტეს, საამისოდ დიდი სტიმულიც გააჩნიათ — მეცხრე ტურის შემდეგ დინამოელებს ცხრილში „ტორპედოს“ შემდეგ მეორე ადგილი უკავიათ. თუმცა მთლად უშანსოდ არც სამტრედიელები არიან, რადგან „დინამოს“ შემადგენლობის უმეტესობა ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში იყო მივლინებული და ფეხბურთელები გუნდს ფსიქოლოგიურად დათრგუნულნი დაუბრუნდნენ. თუ ამას „იბერიის“ დამრიგებლის, ბადრი ქორიძის გამჭრიახობასაც დავუმატებთ, ერთი ქულის წაღება წარმოუდგენლად სულაც არ გვეჩვენება.

წყალტუბო
17 ოქტომბერი
16 საათი
26 მაისი
12 000

## სამგურალი — ლოკომოტივი

მსაჯები:ა. მ. მალაღურაძე (თბილისი);
ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი);
ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

„ლოკომოტივი“, „ტორპედოსა“ და „დინამოს“ მსგავსად, ჩემპიონატში ჯერ არ დამარცხებულა და საეჭვოა, ეს წარმატებული სერია რკინიგზელებმა „სამგურალთან“ შეწყვიტონ. მართალია, გუნდმა ლიდერთა კვალობაზე ყველაზე ნაკლები გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ის ფაქტი, რომ თემურ მახარაძის შეგირდებმა რვა თამაშში მხოლოდ ოთხი ბურთი გაუშვეს, თავისთავად ბევრზე მეტყველებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთმანეთს ჩემპიონატის ორი ლიდერი („ტორპედო“ და „დილა“) ხვდება, თანაც „დინამოსაც“ საკმაოდ უხერხული მეტოქე („იბერია“) დაუპირისპირდება, ადვილი შესაძლებელია, „ლოკომოტივმა“ წყალტუბოში გამარჯვებით (თუ ამას შეძლებს) სატურნირო ცხრილში უფრო მაღლა აინაცვლოს. მოკლედ, ამ მატჩში ფავორიტებად სტუმრები ითვლებიან, თუმცა გარკვეული სიურპრიზის შეთავაზება წყალტუბოელებსაც ძალუძთ. ამის თქმის საფუძველს მათი მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე გვაძლევს.

რუსთავი
17 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
10 700

## გორდა — ბათუმი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი);
ა. სამხარაძე (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი);
გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

იყო დრო, ამ გუნდების შეხვედრა ტურის ცენტრალურ მატჩად ითვლებოდა და დაძაბულობით გამოირჩეოდა. ზღვისპირელებმა ასე თუ ისე, მერეც შეინარჩუნეს თავიანთი სიძლიერე და ყოველ ჩემპიონატში მაღალი შედეგებისთვის იბრძვიან. რაც შეეხება „გორდას“, ეს გუნდი ბოლო წლების განმავლობაში უფრო ხშირად აუტსაიდერთა შორის იმყოფება და პირველ ლიგაში დასარჩენად დიდი ძალისხმევაც სჭირდება. რუსთაველთათვის გამონაკლისს არც წლევანდელი სეზონი წარმოადგენს: გუნდმა განვლილ ცხრა ტურში ოდენ ერთხელ შეძლო გამარჯვება. მართალია, ამ შეხვედრის მასპინძელმა „ლოკომოტივის“ შემდეგ „დინამოსთან“ ერთად ყველაზე ნაკლები — ხუთი ბურთი გაუშვა, მაგრამ მეტოქეთა კარში გატანილი ასევე ხუთი ბურთი რუსთაველთა დაბალ შედეგიანობაზე მიუთითებს. „ბათუმი“ კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამარჯვებისთვის იბრძოლებს, მით უფრო, რომ წინა ტურში შინ „მერანთან“ შეფერხდა.

თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
2 000

## მერანი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: პ. დოგრაშვილი;
ნ. რუხიშვილი, გ. კოკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი);
გ. მგელაძე (თბილისი),
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

შეხვედრა მესამე იქნება ვიტელთა ახალი დამრიგებლის — ჯემალ მახარაშვილისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი აქვს დასამტკიცებელი, „ვიტ ჯორჯია“ ხომ მისთვის პირველი ჯგუფის პირველი გუნდია, რომელსაც წვრთნის. მწვრთნელის დებიუტი წყალტუბოში შედგა და წარმატებულიც გამოდგა. მეორე მატჩში უკვე „დინამოს“ დაუპირისპირდნენ ვიტელები და, მარცხის მიუხედავად, ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებიათ. აი, ხვალ მესამე შეხვედრა გაიმართება.

სატურნირო ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მატჩი ერთ-ერთი რიგითი უნდა იყოს ტურში, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მახარაშვილის წინამორბედი გუნდის მიერ ნაჩვენები უხეირო შედეგების გამო გაათავისუფლეს და მემკვიდრეს ნამდვილად მართებს ამის გათვალისწინება.

თავის მხრივ არც ტრანსპორტელები აპირებენ რაიმეს დათმობას, თუმც „მერანს“ ისეთი პრობლემა აქვს, (მეგოლე არ ჰყავს) ვფიქრობთ, გაუჭირდებათ სასურველი შედეგის მიღწევა, მით უმეტეს, რომ ვიტელებს თვრამეტწლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებებიდან მცველები მენთეშაშვილი და ჭანკოტაძე დაუბრუნდნენ.

საქართველოს ჩემპიონატი
9 ტური

2 ოქტომბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 4 |
| არსენალი | 1 |

3 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 4 |
| სიონი | 0 |
| ოდიში | 1 |
| გორდა | 0 |
| ბათუმი | 0 |
| მერანი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| დინამო | 2 |
| იბერია | 3 |
| სამგურალი | 1 |
| ტორპედო | 3 |
| გურია | 0 |

4 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| დილა | 0 |

XI ტური

24 ოქტომბერი. შაბათი
კოლხეთი — არსენალი
ოდიში — თსუ
იბერია — მერანი
ლოკომოტივი — დინამო
ტორპედო — სამგურალი
გურია — დილა

25 ოქტომბერი. კვირა
ბათუმი — სიონი
ვიტ ჯორჯია — გორდა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო (4) | 1 | 8 | 6 | 2 | 0 | 23:7 | +16 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 15:4 | +11 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | +5 | 10 |
| 2 დინამო (1) | 2 | 7 | 6 | 1 | 0 | 28:5 | +23 | 19 | 4 | 3 | 1 | 0 | 19:4 | +15 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | +8 | 9 |
| 3 დილა (9) | 3 | 9 | 5 | 2 | 2 | 11:7 | +4 | 17 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | +3 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | +1 | 8 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 4 | 9 | 4 | 5 | 0 | 13:4 | +9 | 17 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | +4 | 8 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | +5 | 9 |
| 5 იბერია (დ) | 5 | 9 | 5 | 0 | 4 | 20:18 | +2 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 12:6 | +6 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:12 | -4 | 6 |
| 6 კოლხეთი (3) | 7 | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | +7 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:2 | +12 | 13 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 7 ბათუმი (2) | 6 | 9 | 3 | 4 | 2 | 17:10 | +7 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:3 | +8 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 5 |
| 8 ოდიში (5) | 9 | 8 | 4 | 0 | 4 | 6:11 | -5 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 6 |
| 9 ვიტ ჯორჯია (10) | 8 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:11 | -1 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 7 |
| 10 მერანი (7) | 10 | 9 | 2 | 4 | 3 | 7:11 | -4 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 0 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 4 |
| 11 არსენალი (დ) | 11 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:16 | -10 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | -5 | 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:9 | -5 | 7 |
| 12 თსუ (8) | 15 | 9 | 2 | 2 | 5 | 8:12 | -4 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 |
| 13 გურია (14) | 12 | 9 | 2 | 1 | 6 | 8:22 | -14 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:16 | -13 | 1 |
| 14 სამგურალი (12) | 13 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:21 | -14 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:17 | -13 | 1 |
| 15 გორდა (11) | 14 | 8 | 1 | 4 | 3 | 5:6 | -1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | +1 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | -2 | 2 |
| 16 სიონი (13) | 16 | 9 | 1 | 2 | 6 | 10:25 | -15 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:17 | -15 | 0 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

02.09.92 ამ ლიტვა 1:0 საქართველო
გაფრთხილება: გ. ჯიშკარიანი
17.09.92 ამ საქართველო 6:3 აზერბაიჯანი
გოლი: ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
22.12.92 ამ კვიპროსი 1:0 საქართველო
გაფრთხილება: ცომაია, ქეცბაია
25.05.93 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
08.02.94 მტ სლოვენია 1:0 საქართველო
გაფრთხილება: გოგიჩაიშვილი, რევიშვილი
10.02.94 მტ მალტა 0:1 საქართველო
გოლი: ქეცბაია
გაფრთხილება: ცხადაძე, შელია, ყაველაშვილი
12.02.94 მტ ტუნისი 0:2 საქართველო
გოლი: ყაველაშვილი, კუდინოვი
გაფრთხილება: კუდინოვი
23.02.94 ამ ისრაელი 2:0 საქართველო
გაფრთხილება: ცხადაძე, ჯამარაული
11.06.94 ამ ნიგერია 5:1 საქართველო
გოლი: რ. არველაძე
26.06.94 ამ ლატვია 1:3 საქართველო
გოლი: დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული
გაფრთხილება: დ. ჯანაშია
19.07.94 ამ საქართველო 1:1 მალტა
გოლი: შ. არველაძე
გაფრთხილება: ნემსაძე, ჯამარაული
07.09.94 ეჩშ საქართველო 0:1 მოლდოვა
გაფრთხილება: გურული, ნემსაძე
12.10.94 ეჩშ ბულგარეთი 2:0 საქართველო
გაფრთხილება: კუდინოვი, ცხადაძე
16.11.94 ეჩშ საქართველო 5:0 უელსი
გოლი: ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
გაფრთხილება: ცხადაძე
14.12.94 ეჩშ ალბანეთი 0:1 საქართველო
გოლი: შ. არველაძე
გაფრთხილება: ქინქლაძე, ქეცბაია
29.03.95 ეჩშ საქართველო 0:2 გერმანია
26.04.95 ეჩშ საქართველო 2:0 ალბანეთი
გოლი: შ. არველაძე, ქეცბაია
07.06.95 ეჩშ უელსი 0:1 საქართველო
გოლი: ქინქლაძე
გაფრთხილება: ჩიხრაძე, დევაძე
06.09.95 ეჩშ გერმანია 4:1 საქართველო
გოლი: ქეცბაია
გაფრთხილება: შელია
11.10.95 ეჩშ საქართველო 2:1 ბულგარეთი
გოლი: შ. არველაძე, ქინქლაძე
გაფრთხილება: ნემსაძე, გოგიჩაიშვილი, შელია
15.11.95 ეჩშ მოლდოვა 3:2 საქართველო
გოლი: დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.)
გაფრთხილება: ჩიხრაძე; გაძევება: ჩიხრაძე
27.03.96 ამ კვიპროსი 0:2 საქართველო
გოლი: ქეცბაია, ჯამარაული
გაფრთხილება: ქეცბაია, შელია
24.04.96 ამ რუმინეთი 5:0 საქართველო
08.05.96 ამ საბერძნეთი 2:1 საქართველო
გოლი: გოგრიჭიანი
გაფრთხილება: ქეცბაია, ლობჟანიძე, ტოგონიძე, გუჩუა
01.09.96 ამ ნორვეგია 1:0 საქართველო
გაფრთხილება: ცხადაძე, კუდინოვი
09.10.96 მჩშ იტალია 1:0 საქართველო
გაფრთხილება: კუდინოვი
09.11.96 მჩშ საქართველო 0:2 ინგლისი
გაფრთხილება: ლობჟანიძე
05.12.96 ამ ლიბანი 4:2 საქართველო
გოლი: იაშვილი, კიკნაძე
08.12.96 ამ ლიბანი 3:2 საქართველო
გოლი: გახოკიძე, ცქიტიშვილი
30.03.97 ამ საქართველო 7:0 სომხეთი
გოლი: შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი
30.04.97 მჩშ ინგლისი 2:0 საქართველო
გაფრთხილება: ნემსაძე, ქინქლაძე, გოგრიჭიანი, შელია
07.06.97 მჩშ საქართველო 2:0 მოლდოვა
გოლი: შ. არველაძე, ქინქლაძე
14.06.97 მჩშ პოლონეთი 4:1 საქართველო
გოლი: შ. არველაძე
გაფრთხილება: კობიაშვილი, ლობჟანიძე, ნემსაძე
10.09.97 მჩშ საქართველო 0:0 იტალია
24.09.97 მჩშ მოლდოვა 0:1 საქართველო
გოლი: ქეცბაია
გაფრთხილება: შეყილაძე;
გაძევება: კალაძე, ქინქლაძე
11.10.97 მჩშ საქართველო 3:0 პოლონეთი
გოლი: ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
გაფრთხილება: ლობჟანიძე, გახოკიძე, ნემსაძე, ყაველაშვილი; გაძევება: ყაველაშვილი
06.02.98 მტ საქართველო 2:1 ლატვია
გოლი: ჯამარაული 2
08.02.98 მტ საქართველო 3:0 ალბანეთი
გოლი: ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
10.02.98 მტ საქართველო 3:1 მალტა
გოლი: ყაველაშვილი 2, ჯამარაული
02.05.98 ამ ტუნისი 1:1 საქართველო
გოლი: ქინქლაძე
30.05.98 ამ საქართველო 1:1 რუსეთი
გოლი: ზ. ჯანაშია
გაფრთხილება: ტოგონიძე, დიდავა
12.08.98 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
გაფრთხილება: ფოფხაძე, დავითნიძე
19.08.98 ამ უკრაინა 4:0 საქართველო
გაფრთხილება: შეყილაძე, კალაძე, ქეცბაია
05.09.98 ეჩშ საქართველო 1:0 ალბანეთი
გოლი: ა. არველაძე
გაფრთხილება: ცქიტიშვილი, კიკნაძე, კობიაშვილი, ზ. ჯანაშია; გაძევება: ზ. ჯანაშია
10.10.98 ეჩშ ლატვია 1:0 საქართველო
გაფრთხილება: ყაველაშვილი, ნემსაძე
14.10.98 ეჩშ საბერძნეთი 3:0 საქართველო
გაფრთხილება: კალაძე, ქეცბაია

სულ: 46 თამაში, 18 მოგება, 4 ფრე, 24 წაგება, ბურთები 60-66

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშ — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ — მალტის ტურნირი

# საქართველოს ეროვნული ნაკრების
# ყველა ოფიციალური მატჩი, ყველა მოთამაშ

| სახელი | გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | ყვითელი | წითელი | ევრო 96-ზე თამაში | გოლი | ყვითელი | წითელი | მსოფლიო 98-ზე თამაში | გოლი | ყვითელი | წითელი | ევრო 2000-ზე თამაში | გოლი | ყვითელი | წითელი | სულ თამაში | გოლი | ყვითელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10.05.72 | გრასჰოპერი, შვეიცარია | 21 | 0 | 2 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 36 | 0 | 8 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | აიაქსი, ჰოლანდია | 14 | 2 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 33 | 6 | 2 |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ტრაბზონსფორი, თურქეთი | 18 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 33 | 5 | 2 |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ნიუკასლი, ინგლისი | 13 | 3 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 31 | 9 | 6 |
| შოთა | არველაძე | თ | 22.02.73 | აიაქსი, ჰოლანდია | 12 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 30 | 11 | 0 |
| მურთაზ | შელია | მ | 25.03.69 | მანჩესტერ სიტი, ინგლისი | 12 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 28 | 0 | 7 |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი, ნნ, რუსეთი | 11 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 26 | 1 | 2 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | გრასჰოპერი, შვეიცარია | 12 | 5 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 | 24 | 5 | 3 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07.09.68 | მანჩესტერ სიტი, ინგლისი | 11 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 23 | 1 | 5 |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ჩინეთი ? | 6 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 3 |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 10 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 18 | 1 | 4 |
| არჩილ | არველაძე | თ | 22.02.73 | ბრედა, ჰოლანდია | 5 | 2 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 16 | 4 | 0 |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი, გერმანია | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 16 | 0 | 2 |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21.03.69 | იაფა, ისრაელი | 8 | -8 | 0 | 0 | 3 | -5 | 0 | 0 | 5 | -9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 16 | -22 | 0 |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28.11.71 | აშდოდი, ისრაელი | 8 | -11 | 0 | 0 | 7 | -8 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | -19 | 1 |
| კახა | კალაძე | მ | 22.02.78 | დინამო, კიევი, უკრაინა | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 3 | 0 | 1 | 0 | 14 | 0 | 2 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | ქსანტი, საბერძნეთი | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 |
| გელა | შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი, ბელგია | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 2 |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | დინამო | 9 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 12 | 1 | 1 |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 05.11.77 | ეინდჰოვენი, ჰოლანდია | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 11 | 1 | 2 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15.09.69 | მეხელენი, ბელგია | 7 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 0 |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | აშდოდი, ისრაელი | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23.09.68 | უგუნდოდ | 6 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 1 |
| ნიკა | ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ბათუმი | 6 | -9 | 2 | 0 | 0 | -3 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 10 | -12 | 2 |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26.04.76 | დინამო | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 9 | 1 | 1 |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20.02.68 | ჩერნომორეცი, რუსეთი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ჟემჩუჟინა, რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 2 | 1 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 7 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 2 | 0 |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 1 | 1 |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17.09.68 | ზაფრირიმი, ისრაელი | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 1 | 0 |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი, გერმანია | 6 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 1 |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04.08.76 | სკონტო, ლატვია | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 | 1 | 0 |
| გიორგი | ლუდუშაური | ნ | 18.02.73 | ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 0 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07.08.72 | ტორპედო | 6 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 1 |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08.11.75 | დინამო | 4 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | -1 | 0 | 0 | 6 | -5 | 0 |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26.09.76 | ალანია, რუსეთი | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17.04.71 | სიონი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 |
| გივი | დიდავა | მ | 26.03.76 | დინამო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 |
| გია | გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06.07.75 | დინამო | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09.09.68 | გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17.02.69 | ნეფტოხიმიკი, რუსეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 |
| თემურ | ტუღუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 |
| დავით | ცომაია | ნ | 04.09.67 | თსუ | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი, მ, რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10.11.77 | დინამო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| სოსო | გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | ვენტსპილსი, ლატვია | 2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | -1 | 0 |
| კახა | კაჭარავა | თ | 19.09.66 | ჰომბურგი, გერმანია | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12.08.75 | შახტიორი, უკრაინა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17.01.79 | ალანია, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05.10.75 | ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | ლოკომოტივი | 2 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | -3 | 0 |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16.12.73 | დინამო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | კამაზი, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16.11.76 | ტორპედო | 1 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -4 | 0 |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17.01.63 | გერმანია ? | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01.09.68 | რუსეთი ? | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ირაკლი | გემეზაშვილი | მ | 06.07.77 | არსენალი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | თამაში მიატოვა | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18.07.78 | მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | ირისტონი, ვლადიკავკაზი რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | დილა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25.02.63 | ისრაელი ? | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02.01.77 | ტორპედო, ვლადიმირი, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20.02.74 | ჰაპოელი, იერუს, ისრაელი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | ისრაელი ? | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გია | ფირცხალავა | მ | 03.01.65 | არსენალი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02.06.72 | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| დავით | ჩალაძე | თ | 22.01.76 | ალანია, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| სოსო | ჭედია | მ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |

1 გოლი მოლდოველმა ანდრეი კულიბაბამ საკუთარ კარში გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ევერტონი**

დაარსდა 1878 წელს
სტადიონი: გუდისონ პარკი, 40000 მაყურებელი
ინგლისის ჩემპიონი: 1891, 1915, 1928, 1932, 1939, 1963, 1970, 1985, 1987
ინგლისის თასი: 1906, 1933, 1966, 1984, 1995
თასების მფლობელთა თასი: 1985
მწვრთნელი: ვოლტერ სმიტი

**ლივერპული**

დაარსდა 1892 წელს
სტადიონი: ენფილდ როუდი, 41000 მაყურებელი
ინგლისის ჩემპიონი: 1901, 1906, 1922, 1923, 1947, 1964, 1966, 1973, 1976, 1977, 1979, 1980, 1982, 1983, 1984, 1986, 1988, 1990
ინგლისის თასი: 1965, 1974, 1986, 1989, 1992
ინგლისის ლიგის თასი: 1981, 1982, 1983, 1984, 1985
ჩემპიონთა თასი: 1977, 1978, 1981, 1984
უეფას თასი: 1973, 1976
მწვრთნელები: ჟერარ ულიე და როი ევანსი

# EVERTON vs LIVERPOOL

დღეს ლივერპულში დიდი ფეხბურთის დღეა — „ლივერპული" თანაქალაქურ „ევერტონს" ებურთავება. პრემიერლიგურ მარათონში ეს შეხვედრა ყოველთვის დაძაბული, უშეღავათო ლა ლამაზი საცქერი გამოდის ხოლმე. მისდამი ინტერესს ისიც ალვივებს, რომ ბოლო ხანებში მოსუსტებული, ერთ დროს კი დიდი „ევერტონი", „ლივერპულს" თავდაუზოგავად და ჯიგრით ეთამაშება. თავად განსაჯეთ — 1994 წლის მარტის შემდეგ „ევერტონი" თანაქალაქელებთან არ დამარცხებულა.

დღესაც ასე იქნება, მეტოქეები ერთმანეთს არაფერს დაუთმობენ, თავს მოიკლავენ და გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებენ. ეს უკვე ტრადიციაა, როგორც ყველა დერბიში.

„ევერტონს" საკმაოზე მეტი პრობლემები აქვს. გუნდში ტრავმირებული ფეხბურთელების მთელი არმიაა — ნიკ ბარმბი, დენი კადამარტერი, ჯონ სპენსერი და მაიკლ მადარი. დაშავებულია ხორვატი სლავენ ბილიჩიც, ხოლო კრეიგ შორტს გრიპი აქვს. მართლაც დიდი დანაკლისია. თუმცა კლუბის თავკაცი ვოლტერ სმიტი მაინც იმედიანადაა, მას კოტდივუარელი იბრაჰიმ ბაკაიოკოს იმედი აქვს, კაცის, რომლისგანაც გოლის გატანა ყოველ წამს მოსალოდნელია. ეს მან ჯერ კიდევ ფრანგულ „მონპელიეში" თამაშისას დაამტკიცა.

— ვფიქრობ, საფრანგეთში ურიგოდ არ მითამაშია. იქ მეორე ვიყავი ბომბარდირებს შორის შარშან და მიმდინარე სეზონშიც 6 მატჩში ოთხჯერ გავიტანე. ახლა კი ძალიან მსურს, ინგლისშიც ვისახელო თავი. ამისთვის ყველა პირობა მაქვს შექმნილი. ხალხი მეუბნება, რომ უდაძაბულესი შეხვედრა იქნება. ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ ასეთი მატჩები არც საფრანგეთში მაკლდა. თუნდაც „მარსელთან" შეხვედრა რად ღირს, როდესაც 50 ათასი გიჟმაჟი ქომაგის თვალწინ გამოვედი. მოკლედ, დაძაბულობა ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია, საქმე გაკეთდეს — განაცხადა ბაკაიოკომ, რომელშიც ინგლისელებმა მთელი 4,5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

„ევერტონში" ახლახან გადაბარგებული ბაკაიოკო რომ ოპტიმისტურ ხასიათზეა, კარგია, მაგრამ დაშავებულ ფეხბურთელებს და შესუსტებულ შემადგენლობას ამით არაფერი ეშველება. თანაც ყველაფერს ოლივერ დაკურტისა და მარკო მატერაცის დისკვალიფიკაციაც ემატება.

პრობლემები არც „ლივერპულს" აკლია. ტრავმირებულნი არიან ცენტრალური მცველი ფილ ბაბი, ვისაც ზურგი აქვს დაშავებული და ქუსლნატკენი სტივ მაკმანამანი. თანაც შვიდთვიანი პაუზის შემდეგ გუნდში დაბრუნებული რობი ფაულერიც ვერ არის სათანადო ფორმაში. სავარაუდოდ, ბაბის ადგილს დაცვაში დომინიკ მატეო დაიკავებს და აგრესიული ბაკაიოკოს დევნაც მოუწევს. ამის თაობაზე მატეომ უკვე გამოთქვა აზრი.

— გამიგონია, რომ ეს ბიჭი (ბაკაიოკო) კარგად ირჯება. მის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცი, რაც საქმეს კიდევ უფრო ართულებს, თუმცა ენეგრიას არ დავიშურებ, რომ მან დასამახსოვრებელი ვერაფერი შექმნას. არც დანკან ფერგიუსონის დავიწყება იქნება, მას ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ვთვლი, მაგრამ მისი თამაშის სტილი ზეპირად ვიცი.

მატეომ ისიც აღნიშნა, თანაც მეტად გამომწვევად, ჩემპიონატში მშვენიერი სტარტი ავიღეთ და „ევერტონთან" ქულების დაკარგვას ნამდვილად არ ვაპირებთო.

აღნიშნულ შეხვედრაზე „ლივერპულის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა როი ევანსმაც თქვა ორიოდ სიტყვა, რომელიც უფრო წუწუნს ჰგავდა: „თავად ხედავთ, რამდენი ფეხბურთელია დაშავებული. ამას კიდევ ნაკრებში გამოძახებულ-გადაღლილებიც დავუმატოთ და ცხადი ხდება, თუ რა ძნელი შეხვედრა გველის".

ისე, ტრავმირებულ ფეხბურთელებზე წუწუნზე თუ მიდგა საქმე, ეს პირველ რიგში სმიტმა უნდა გააკეთოს, ვინაიდან მას დღეს, ფაქტობრივად, ნახევარი გუნდი არ ეყოლება.

მიუხედავად ყველაფრისა, ლივერპულული დერბი თვალსასეირო და ჯიგრიანი უნდა გამოდგეს. დიდი შანსია, გუნდებმა დაცვის არსებობა დაივიწყონ კიდეც — მათთვის დღეს მთავარი მეტოქეზე მეტი გოლის გატანა იქნება. თანაც რა ფორვარდები ჰყავთ — ერთ მხარეს ბაკაიოკო და ფერგიუსონი, მეორე მხარეს ფაულერი და ოუენი. ნამდვილად შთამბეჭდავი წყვილებია.

რა მოხდება დღეს „ბითლზის" მშობლიურ ქალაქში, კაციშვილმა არ იცის. ასე იყო ყოველთვის, ასე იქნება ახლაც.

**ნოდარ ბასრაძე**



„ლივერპულს" დღეს, რაღა თქმა უნდა, ოუენის დიდი იმედი აქვს

## ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1969

## ჯანი რივერა

# ბიჭი და თანაც ოქროსი

*ლაშა გოგუაძე*

...1963 წლის 12 მაისს მთელი იტალია ხარობდა. „სკუადრა აძურამ" მილანის შესანიშნავ „სან სიროზე" მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ბრაზილიელები 3:0 გაანადგურა. ნიკეს თასის ორგზის მფლობელებს ასე კარგა ხანი არ წაეგოთ. ანგარიში ანგარიშად, მაგრამ აღსანიშნავი ისიცაა, რომ ბრაზილიელებმა იტალიელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელე კი ვერ იქნა და ვერ გაექცა ჯოვანი ტრაპატონის. იტალიელი მეურვის მარწუხებში მოქცეულ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ნერვებმა უმტყუნა და 25 წუთზე გააგდეს კიდეც მოედნიდან. იმ დროისთვის ანგარიში არ გახსნილიყო, თუმცა პელე გაგდება ბრაზილიელთათვის დასასრულის დასაწყისს ნიშნავდა. მოგვიანებით ჟილმარის კარში სამი გოლი გავიდა, აქედან ორი რივერას გადაცემების შედეგად.

...იმავე წლის 22 მაისს საფეხბურთო სამყარო კიდევ ერთხელ მოიხიბლა ჯანი რივერას ოსტატობით. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანმა" 2:1 დაამარცხა პორტუგალიური „ბენფიკა" და კონტინენტის საუკეთესო კლუბის სახელი პირველად დაიგდო. მოზამბიკელი შავი პანტერა — ეუსებიო უძლური იყო იტალიელთა წინაშე. ორი გოლი ალტაფინიმ გაიტანა. ასისტენტობა ორივეჯერ ჯანი რივერამ გაუწია. „უემბლიზე" შეკრებილი ასი ათასი ქომაგი ახალგაზრდა იტალიელის მოქმედებით აღტყინებული გახლდათ. რივერას ინგლისურმა პრესამ სწორედ მაშინ უწოდა „ახალგაზრდა ღმერთი".

ჯანი რივერას ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერაში მხოლოდ ეს ორი მატჩი რომ ყოფილიყო მოსაგონარი, იგი მაინც სამუდამოდ შევიდოდა იტალიური ფეხბურთის ისტორიაში, მაგრამ მილანელის სიდიადე იმაშია, რომ თითქმის ოცწლიანი კარიერის მანძილზე, ასეთ ბრწყინვალე შეხვედრებში ბევრჯერ მიილო მონაწილეობა. იტალიური ფეხბურთის მემატიანეთა თქმით, თუ ადამიანმა შეიძლება ასი საუკეთესო მოთამაშე ჩამოთვალოს, უპირველესთა შორის აუცილებლად უნდა დაასახელოს ჯანი რივერა, ბრწყინვალე ფეხბურთელი და ამასთანავე შესანიშნავი პიროვნება.

ოქროს ბურთის პირველი იტალიელი ლაურეატი სწორედ მაშინ დაიბადა, როცა აპენინელთათვის სათაყვანებელი თამაშისთვის ბევრს არ ეცალა. 1943 წლის აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს, ვალე სან ბარტოლომეოში, ალესანდრიის გარეუბანში, რკინიგზელის ოჯახში პირველი ბიჭი დაიბადა, ახალგაზრდა ტერეზიო რივერა კი სიხარულით ცას ეწია.

პატარა ჯანის ბავშვობა განსაკუთრებული არ ყოფილა, თანატოლთა დარად ბურთის გორება ეზოში დაიწყო, ეზო ქუჩამ შეცვალა. მერე კი იყო ალესანდრიას იმავე სახელწოდების გუნდი. ჯანის ყმაწვილობაში აღსანიშნავი ის გახლდათ, რომ ნიჭით თანატოლთა შორის ძალიან გამოირჩეოდა. სწორედ მოედნის ხედვის ბრწყინვალე უნარის გამო დაიტოვა პატარა ჯანი ერნესტო კორნარიმ, „ალესანდრიას" ახალგაზრდათა გუნდის მწვრთნელმა, თორემ სუსტი ფიზიკური მონაცემების გამო მწვრთნელს ბიჭი არ მოეწონა. მეორე გუნდიდან პირველში გადასვლას დიდი დრო არ დასჭირვებია — კლუბის მწვრთნელმა ფრანკო პედრონომ რივერას უმალ შეატყო, რომ იგი დიდი მომავლის ფეხბურთელი იყო და რამდენიმე თვეში თავისთან გადაიყვანა.

1958 წლის გაზაფხულზე ყმაწვილი რივეირას თამაში იტალიური ფეხბურთის ომამდელმა ვარკსვლავმა პიოლამ იხილა და რეაქციაც შესაბამისი ჰქონდა — მსოფლიოს ჩემპიონი აღფრთოვანებული დარჩა, ემოციები კი „ალესანდრიას" ხელმძღვანელობასაც გაუზიარა. კლუბის თავკაცებს რივერის ქება გადაჭარბებულად მოეჩვენათ, თუმცა ის კი კარგად უწყოდნენ, რომ პატარა ჯანი ტალანტი იყო და მას დიდხანს ვერ დაიტოვებდნენ.

იმავე შემოდგომით 16 წლის რივერამ იტალიის ჩემპიონატში ითამაშა! დებიუტი მრისხანე „ინტერთან" ჰქონდა. მილანელებმა პატარა „ალესანდრიას" ვერაფერი დააკლეს, იტალიური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა კი ქომაგები კიდევ ერთხელ მოხიბლა. მისი გასხვისების საკითხი რეალურად სწორედ ამ თამაშის შემდეგ დადგა.

120 მილიონი ლირა 16 წლის ფეხბურთელში (!) ეს ამ დროისთვის წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო. ფული „ალესანდრიამ" მიილო, რივერა კი მილანში, შავ-წითლებთან გადაბარგდა. ფრანკო პედრონიმ კარგად უწყოდა რომ რივერას შენარჩუნებას ვერ შეძლებდა და ყოფილი მასწავლებლის ჯიპო ვიარის გული მოიგო, რომელიც იმხანად სწორედ „მილანს" თავკაცობდა.



რივერა „მილანში" რომ გადაბარგდა, კლუბი ვერაფრით დაიკვეხნიდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტის ანდრეა რიცოლის მილიონებმა თავისი გაიტანა — გუნდში მოვიდნენ რკინისებულ მცველად წოდებული ჩეზარე მალდინი, 20 წლის იმედისმომცემი ნახევარმცველი სალვადორე, თავდასხმაში ახალგაზრდა ბრაზილიელი მაცოლა, რომელსაც იმ ხანებში უკვე ალტაფინოდ მოიხსენიებდნენ. ამას გარდა, ინგლისური „ჩელსიდან" გადაიბირეს სუპერთავდამსხმელი ჯიმი გრივსი და გუნდიც ნელ-ნელა შეიკრა. „მილანის" მიზანი იტალიაში პირველობა იყო. რეკონსტრუირებულმა „მილანმა" სკუდეტო მართლაც მალე მოიგო, თუმცა მანამდე...

1959 წელს ჯანი რივერას საერთაშორისო დებიუტი შედგა — ყმაწვილი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში „სკუადრა აძურა დელ ჯოვანიში" მიიწვიეს. ოლიმპიადის საგზურისთვის იტალიელები ესპანელებს ეპაექრებოდნენ. პირველი მატჩი მადრიდში 0:0 დასრულდა, მეორე შეხვედრის წინ კი აპენინელთა თავკაცებმა გუნდში რივერა და ტრაპატონიც შეიყვანეს. რისკი ბრწყინვალე შედეგის მომტანი აღმოჩნდა — იტალიელებმა მეტოქეს 3:0 სძლიეს, ერთი ბურთი კი დებიუტანტმა ჯანიმ გაიტანა. „თავი სიზმარში მეგონა, დაიწყეს თუ არა ესპანელებმა თამაში, ბურთი მყისვე ავართვით, მერე „ტრაპმა" (ტრაპატონის მეტსახელი) შემნიშნა და ბურთი გადმომაწოდა, მე კი გავცდი რა ერთ მეურვეს, მთელი ძალით დავარტყი. გოლი გავიტანე! კინაღამ გავგიჟდი! თამაში მხოლოდ ერთი წუთის დაწყებული იყო!" — იხსენებდა მოგვიანებით ირვერა.

1962 წელს ჯანი რივერა პირველად გახლა იტალიის ჩემპიონი. შესანიგნავად დაკომპლექტებულმა „მილანმა" როგორც იქნა, აჯობა ტურინელ „ბებერ ქალბატონს" და ჩემპიონატი მოიგო. წინ უფრო დიდი გამოცდაა — მსოფლიოს პირველობა იყო.

ნიკეს თასის მორიგ გათამაშებამდე იტალიელებმა ყველა ამხანაგური მატჩი მოიგეს და ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ ტიფოზებს იმედი გაუცრუვდათ.

ჩილეში იტალიელები პირველად გფრის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. რივერა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ძალიან იყო საუკთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, ისევე როგორც ყველა სხვა იტალიელი, ამან კი მათზე დამღუპველად იმოქმედა. კონკრეტულად ჯანის რაც შეეხება, მან ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი ჰორსტ შიმანიაკს, რომელიც იმხანად იტალიის სერია A-ს კლუბ „კატანიში" თამაშობდა და რომელმაც კარგად უწყოდა რივერას შესაძლებლობანი. ლიდერის ვერგაბრწყინებამ „სკუადრა აძურა" დათრგუნა და მატჩიც ფრედ 0:0 დასრულდა. მეორე მატჩში, უფრო სწორად ომი მასპინძლებთან. ჩილელების გამარჯვებით 2:0 დასრულდა. მართალია სულ ბოლოს რივერას ორი

**ჯანი რივერა**

დაიბადა 1943 წლის 18 აგვისტოს იტალიის ქალაქ ალესანდრიაში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,75 სმ
წონა: 68 კგ
კლუბები: „ალესანდრია" (იტალია, 1959-60), „მილანი" (იტალია, 1960-79)
ტიტულები: იტალიის ჩემპიონატი — 1962, 68, 79; იტალიის თასი — 1967, 72, 73, 77; ჩემპიონთა თასი — 1963, 69; თასების მფლობელთა თასი — 1968, 73; საკონტინენტთაშორისო თასი — 1969; ევროპის ჩემპიონი — 1968; მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — 1970
ნაკრებში 60 მატჩში შეაგდო 14 გოლი (1962-74)

საგოლე გადაცემის შემდეგ იტალიელებმა შვეიცარიას სძლიეს, მაგრამ ამით მათი ნაღველი არ გაქარვებულა. გუნდი გათამაშებას გამოეთიშა.

ჩილეს მარცხი რივერამ მალე დაივიწყა. დაღმართი მალე ჩაიარა და აღმართს დაადგა, მაღლა-მაღლა სიარულმა კი მილანელი ჩემპიონთა თასამდე მიიყვანა.

აღმა-დაღმა სიარული რივერას და მასთან ერთად „მილანს" 60-იან წლებში ხშირად უწევდა, მაგრამ ათწლეულის მიწურულს კლუბს სტაბილურობა დაეტყო და წარმატებებს უეცარი მარცხი აღარ მოჰყოლია.

1967 წელს ჯანი რივერამ პირველად მოიგო იტალიის თასი. მომდევნო წელს „მილანთან" ერთად ჩემპიონატი და თასების თასი მოიპოვა და რაც მთავარია ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახადა. კიდევ ათი წლის შემდეგ რივერა მეორედ დაეუფლა ჩემპიონთა თასს და ამასთან ერთად საკონტინენტთაშორისო თასიც მოიგო.

ამის შემდეგ რივერა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. 1969 წელს კონტინენტის საუკეთესო მობურთალთა ტიტულისთვის ორი იტალიელი ეპაექრებოდა ერთმანეთს — ჯანი რივერა და ლუიჯი რივა. საბოლოოდ პირველმა მცირედი უპირატესობით იმარჯვა.

...იმ წელს, როცა რივერა „ალესანდრიადან" „მილანში" გადაბარგდა, იტალიაში პრესამ მას „რაგაცო დორო" ანუ „ოქროს ბიჭი" უწოდა. ფეხბურთელობისას რივერას იშვიათად მოიხსენიებდნენ ასე, თუმცა კარიერის დასრულების შემდეგ იგი სწორედ ამ სახელით შევიდა იტალიური და საერთოდ მსოფლიო ფეხბურთის მატიანეში.

დღეს ვამთავრებთ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელისა და მწვრთნელის, ოქროს ბურთის სამგზის მფლობელის, იოჰან კრუიფის წერილთა სერიის გამოქვეყნებას. ფრანგულ სპორტულ გაზეთ „ეკიპის" ყოველკვირეულ დამატებაში დიდი ჰოლანდიელის ეს უკანასკნელი წერილი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ გამოქვეყნდა. ჰოდა, კრუიფიც საფრანგეთის მიერ ბრაზილიის განადგურებასა და კიდევ სხვა საკითხებზე გვესაუბრება.

# საფრანგეთი იყო ჩემპიონობის ღირსი, მაგრამ...

ფინალის წინა დღეს მკითხეს, თუ რას ვფიქრობდი საფრანგეთისა და ბრაზილიის მომავალ დაპირისპირებაზე. ჩემპიონატის მიმდინარეობისას სულ ვიმეორებდი, რომ ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდებოდა და მიუხედავად მისი ფინალში გასვლისა, ჩემი მაინც არ გადავთქვი, რადგან ჩემთვის ეს ფეხბურთის ჯანმრთელობის თეორიაა. ყოველთვის გავაგრძელებ იმის მტკიცებას, რომ გუნდი, რომელიც ყველაფერს დაცვაზე აგებს და თავდასხმაში ორიოდე ფეხბურთელის გაბრწყინებას ელოდება, ასეთ მნიშვნელოვან ტიტულს არ იმსახურებს. ბრაზილია ბრაზილია აღარაა. ამ გუნდს ფრანგებთანაც რომ გაემარჯვა და კიდევ უამრავი ტიტული მოეხვეჭა, მას იმ დიდ ნაკრებებთან, რომელთა ულამაზესი თამაში მილიონობით ადამიანს აჯადოებდა და ხიბლავდა, საერთო მხოლოდ და მხოლოდ ყვითელი მაისური აქვს. დრონი იცვლებიან და ფეხბურთიც ევოლუციას განიცდის, მაგრამ ისე არ უნდა მოხდეს, რომ უარი ვთქვათ ბურთის ფლობაზე, სპექტაკლის ჩვენებასა და თამაშით მოგებაზე. როცა იტალია კონტრშეტევებზე თამაშობს, ეს ძალიან კარგად მესმის. როცა სხვა უფრო დაბალი დონის ნაკრებებიც ამავე სტილში თამაშობენ, ესეც გასაგებია, მაგრამ როცა ბრაზილია გამარჯვების მისაღწევად იგივეს აკეთებს, ეს ფეხბურთისთვის ზურგში ლახვრის ჩაცემაა. ვისაც ჰგონია, რომ საფრანგეთს შეტევა არ უვარგა, დაე, ეგონოს, თუმცა მათ სხვა იმდენი თულფი გააჩნიათ, კიდევ ბევრჯერ მოუგებენ ამ ბრაზილიას.

ბრაზილია თავიდანვე გამოვარდნის კანდიდატი უფრო იყო, ვიდრე ჩემპიონობის. დანიასაც შეეძლო მისი გამოგდება და ჰოლანდიასაც, მაგრამ განგებამ უფრო მძიმე ხვედრი არგუნა — თერთმეტით ათის წინააღმდეგ 3:0 დამარცხება. ფრანგებმა ისინი თავიანთი იარაღითვე დაამარცხეს. მსოფლიოს ჩემპიონებმა თავიდან ბურთის დიდხანს გათამაშება დაიწყეს, ანგარიშის გახსნის შემდეგ კი უკანა ხაზი გაამაგრეს და მეტოქის კონტრშეტევებზე გამოჭერა დაიწყეს. ზიდანი ერთდროულად რონალდოს როლსაც თამაშობდა და რივალდოსაც. ის მაშინ ჩნდებოდა სცენაზე, როცა საჭირო იყო და ფრანგებმაც ექსჩემპიონები გაანადგურეს.



იოჰან კრუიფი

როცა გუნდი მოედანს მსოფლიოს თასით ხელში ტოვებს, ყველა ამბობს, რომ ისინი ფანტასტიკურები, საუკეთესონი არიან და ამ ტიტულს იმსახურებდნენ. ჩემი აზრით, საფრანგეთს მხოლოდ უკანასკნელი შეეფერება. მათ ნაღდად ეკუთვნოდათ ჩემპიონობა, რადგან არა მარტო ფინალი მოიგეს, არამედ არც ერთი მარცხი არ განუცდიათ, ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს და ყველაზე ცოტა გაუშვეს. სამაგიეროდ, საფეხბურთო თვალსაზრისით საფრანგეთმა ახალი ვერაფერი შეგვძინა. ამას რომ ვამბობ, ვწუხვარ იმ ხალხის გამო, ვინც ფიქრობს, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში ეს საუკეთესო ნაკრებია, მაგრამ ეს არაა მართალია. მას აქვს ტიტული, მას აქვს მსოფლიოს თასი, მაგრამ მას არა აქვს ის ჯადოსნური მომხიბვლელობა, რაც მიშელ პლატინის გუნდს ჰქონდა.

ფრანგ გულშემატკივარსაც, ალბათ, იგივე გრძნობა დაეუფლებოდა ჰოლანდიის დღევანდელ და 1974 წლის ნაკრებებზე, ჩემს თანამემამულეებს ეს ჩემპიონატი რომ მოეგოთ. ყველამ სწორად უნდა გამიგოს. სრულებით არ მსურს საფრანგეთის ნაკრების წარმატების დაკნინება. მხოლოდ ის განსხვავება მინდა დავაფიქსირო, რაც გამარჯვებასა და ისეთ თამაშს შორისაა, რომელიც მრავალი წლის მერეც კი გაახსენებს გულშემატკივარს შენი მატჩების პერიპეტიებს.

თუ ამ ათწლეულის მსოფლიოს ჩემპიონატებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 1990 წელს გამარჯვებულმა გერმანელებმა ვერაფერი დაგვიტოვეს სამახსოვრო, იგივე ითქმის ამერიკაში მოგებულ ბრაზილიელებზეც. საფრანგეთმა გაიმარჯვა, მაგრამ იმის აღიარებასთან ერთად, რომ ისინი უძლიერესები არიან დაცვასა და ნახევარდაცვაში, ისიც უნდა ვთქვათ, რომ თავდამსხმელების ნაკლებობის გამო მათ შეიძლება მარცხიც განეცადათ. ლურჯებმა ფინალს ერთგვარ აგონიაში მიაღწიეს, მერვედფინალიდან მოყოლებული საქმე მეტად გაუჭირდათ. პარაგვაელებმა ბევრ რამეზე დააფიქრეს, იტალიასთან ნოკაუტს ბეწვზე გადაურჩნენ, ხორვატიასთან კი ტურამმა სასწაულები მოახდინა.

მერვედფინალიდან მოყოლებული საფრანგეთის ყველა თამაში ერთი და იგივე სცენარით მიმდინარეობდა. მატჩის დასაწყისში ზიდანზე დაყრდნობით, რომელიც ყველა ბურთს ანაწილებს, საფრანგეთი მეტოქეს მაღალ ტემპს ახვევს თავს. ნახევარი საათის შემდეგ, როცა ზიდანს დაღლა შეეტყობა, ლურჯები თამაშის კონტროლს კარგავენ. ფრანგთა თავდასხმა მანქანების მიერ მოწყობილ საცობს ემსგავსება. ჯორკაეფიც, ტრეზეგეც, დიუგარიც და გივარშიც ცენტრიდან ცდილობენ შეტევას. ეს კი საფრანგეთს კინაღამ წაგებად დაუჯდა. უიშვიათესია შემთხვევები, როცა გუნდი ფინალში ისე გადის, რომ ზედიზედ სამ მატჩში მის თავდამსხმელებს გოლი არ გააქვთ (საფრანგეთი — პარაგვაი 1:0 გოლი — ბლანი, საფრანგეთი — იტალია 0:0, საფრანგეთი — ხორვატია 2:1 გოლები — ტურამი). ფინალის პირველი ორი გოლიც კუთხურებიდან გავიდა, მაშინ, როცა ტაფარელთან პირისპირ გასულმა ვერც გივარშმა ივარგა, ვერც პეტიმ და ვერც დიუგარიმ. ეს ამ ნაკრების აქილევსის ქუსლია. ერთადერთი, ვინც განგვაცვიფრა და ვის მიმართაც ქების სიტყვებს ნამდვილად არ დავიშურებ — ეს ზინედინ ზიდანია.

და მაინც, რახან საფრანგეთმა გაიმარჯვა, ესე იგი მას უამრავი დადებითი თვისება აქვს. ჯერ ერთი, მან მხოლოდ ორი გოლი გაუშვა შვიდ მატჩში (ისიც ერთი პენალტით დანიასთან), რაც მეტად იმედისმომცემია მინდორზე გასვლისას: თუ გაიტან, იცი, რომ ძნელადღა თუ წააგებ. ჩემი აზრით, ბლანი და დესაი, სტამთან და ფრანკ დე ბურთან ერთად, მსოფლიოში საუკეთესო ცენტრალური დაცვის წყვილია. თუმცა გასაოცარია, რომ როცა ფინალში ბლანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ თამაშობდა, ხოლო დესაი მოედნიდან გააძევეს, მათმა შემცვლელებმა აჩვენეს, რომ ეს პოზიცია მაინც ძლიერ კარგად იყო დაცული. ამასთან, საფრანგეთის მთელი დაცვითი სისტემაც [illegible] შეფასებას იმსახურებს. თუმცა მათ ინგლისი, არგენტინა ან ჰოლანდია რომ შეხვედროდათ, რა მოხდებოდა, არ ვიცით, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია, ჩვენ კი საფრანგეთის ტრიუმფის ანალიზით დავკმაყოფილდეთ.

შეჯიბრი გასრულდა და მაინც ის გრძნობა მაქვს, რომ ისეთი არაფერი მომხდარა, რაც დაგვარწმუნებდა, რომ ფეხბურთი კვლავაც სანახაობაა. თუ ყველა 64 მატჩს გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ მხოლოდ ოთხი ან ხუთი მათგანი ჩაგვრჩა მეხსიერებაში, როგორც ულამაზესი რამ. შეიძლება ჰოლანდია იყო ერთადერთი, ვისაც ყველაზე მეტის მოცემა შეეძლო, მაგრამ მან ფინალში ვერ უწია. არგენტინამ, ვინც იმედისმომცემი იყო, ჰოლანდიასთან იმიტომ წააგო, რომ ფეხბურთის თამაშის მაგივრად ერთგვარი სპეკულირება მოინდომა. ხორვატია კი იმის კიდევ ერთი მაგალითია, რომ დღევანდელ ფეხბურთში საკმარისია უკან ძლიერი იყო და წინ ისეთი კაცი გყავდეს, ვისაც იშვიათი კონტრშეტევებიდან მაქსიმუმის გამოწურვა შეუძლია.

ყველაზე დიდი იმედგაცრუებებიდან კი პირველობა ესპანეთს ერგება. მას ჩემპიონობა შეეძლო და ერთადერთი განთესილი გახდა, ვინც ჯგუფიდან ვერ გავიდა. მას რომ ნიგერიასთანაც ისეთი შემტევი ფეხბურთი ეთამაშა, როგორიც ბულგარეთთან, ეს არ მოხდებოდა. გერმანია ოდნავ გვიან გავარდა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ვეტერანების იმედზე იყო და აღმოჩნდა, რომ თურმე ამ გუნდს ფეხბურთის თამაში საერთოდ არ შეძლებია. იტალიამ კი არ მოგვატყუა და დაამტკიცა, რომ მისი თამაში ყველაზე უშნო და ცუდი საყურებელია. თუმცა ჩემდა გასაკვირად, იტალია შეჯიბრს წაუგებლად გამოეთიშა და თან კინაღამ მომავალი მსოფლიო ჩემპიონი გააგდო, ანუ, ისევე როგორც საფრანგეთს, მასაც შეეძლო ფინალში გასვლა და საბოლოო წარმატების მიღწევაც. მაგრამ ფეხბურთი ესაა, ის მეტად შეუცნობელია.

ამჯერად კი სპორტის მეფემ ინება, რომ მსოფლიო ლურჯი ფერის გამხდარიყო!

**თარგმნა ბაგი ბურულ**

# სოდერბერგის ფიქრი და შედეგი

**ევრო 2000-ის შესარჩევი შეჯიბრების V ჯგუფის ცხრილს ორი მოწინავე, პოლონეთი და შვედეთი ჰყავს. დღეს სკანდინავიელთა გამო გვსურს ორიოდ სიტყვის თქმა, რამეთუ მათ პირველსავე შეხვედრაში თვით ინგლისს აჯობეს, შემდეგ სოფიაში ბულგარელებიც დაიფრინეს და ფრიად ომახიანად განაცხადეს, რომ თვალი ბელგია-ჰოლანდიისკენ უჭირავთ.**

მარტში ესპანეთთან დამარცხება სწორედ ის ყოფილა, რაც შვედებს სჭირდებოდათ. მოწინააღმდეგის ფონზე სკანდინავიელები მეორეხარისხოვან ფეხბურთელებად ჩანდნენ და გაწბილებულ ახალ მწვრთნელს, ტომი სოდერბერგს კითხვა გაუჩნდა: ნეტავ ოდესმე შევძლებთ გოლის გატანას?

სოდერბერგის ჭმუნვას ბოლო მისი მწვრთნელობის მეექვსე შეხვედრაში მოეღო. ვიგოში დამარცხება (0:4) შვედეთის ნაკრებისთვის 90-იან წლებში ყველაზე დიდი და მტკივნეული, მაგრამ იმავდროულად ყველაზე ჭკუისსასწავლი გამოდგა. იმ დღის შემდეგ გუნდმა გააუმჯობესა თამაში. ჯერ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს, საფრანგეთს უმასპინძლა და 0:0 გაუხერხა, შემდეგ კი მეოთხედფინალისტებს, დანიასა და იტალიას 3:0 და 1:0 სძლია.

ამ სამმა შედეგმა სოდერბერგს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. მას სწორედ ეს სჭირდებოდა.

როდესაც შვედეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანამდებობაზე ტომი სვენსონს ცვლიდა, სოდერბერგმა ზუსტად იცოდა, რა ზომა-წონის ამოცანას შეეჭიდა. ჩრდილო ევროპის ამ ქვეყანაში სვენსონი ლეგენდარული პიროვნებაა, რომლის ხსენებაც ხალხს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებს ახსენებს, მაგრამ ნებისმიერი დიდი კაცი იმიტომაც ხდება ლეგენდარული, რომ ადრე თუ გვიან საქმეს ცილდება. სვენსონსაც დაუდგა ასეთი დღე. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისა და საკუთრივ ფეხბურთელების თხოვნის მიუხედავად გასულ წელს იგი გადადგა, რადგან სიტყვა ჰქონდა ნათქვამი, თუ გუნდს საფრანგეთ 98-ზე ვერ გავიყვან, ჩემს გზას ვეწევიო.

სიტყვის კაცმა სიტყვა არ გატეხა. შესარჩევი შეჯიბრების გაწამაწიამ, რომლის განმავლობაშიც შვედეთის ნაკრებმა სამჯერ წააგო 0:1 (ორჯერ ავსტრიასთან და ერთხელ შოტლანდიასთან), იგი არ დააკმაყოფილა

ამხანად ერთადერთი, ნაკრების აღმშენებლობას ანდობდნენ, სოდერბერგი იყო, ფიქირს კაცი. სოდერბერგის არჩევა უმტკივნეულო საქმე გახლდათ, ვინაიდან შვედთა უპირველესი კანდიდატი ბო იოჰანსონი მეზობლად, ოდინდელი მოწინააღმდეგის, დანიის ნაკრების ხელმძღვანელად იყო წასული. კიდევ, საუბარი იყო შინაურ საკლუბო ფეხბურთში წარმატებულ კაცზე როლფ ზეტერლუნდზე, მაგრამ იგი ნაკრების მიმართ გულგრილი გამოდგა. სვენ გორან ერიკსონი და ინგლისელი, შვედეთში ნამუშევარი როი ჰოჯსონი კი საზღვარგარეთ დიდშემოსავლიან თანამდებობებზე იყვნენ და მათ მიპატიჟებას, ცხადია, აზრი არ ჰქონდა.

გარდა ამისა, სოდერბერგის გამწვრთნელება იმითაც გახლდათ უპრიანი, რომ იგი ერთიხანობა 21 წლამდელთა ნაკრებს ედგა სათავეში ანუ ქვეყნის ახალგაზრდა და წარჩინებულ მოთამაშეებს პირადად იცნობდა და მათი ავკარგი სხვებზე უკეთ ჰქონდა გათავისებული. მოკლედ, სოდერბერგი, ერთგვარად, ფედერაციის მუშაკთაგანი იყო.

შვედეთის ეროვნულ გუნდს განახლება სჭირდება. მქუხარე სახელები, ტომას რაველი, თომას ბროლინი, იონას ტერნი, კლას ინგესონი, ანდერს ლიმპარი და მარტინ დალინი წარსულს ჩაბარდნენ. თუმცა არა, ტერნი 32 წლისა „გლაზგო რეინჯერსში" ყოჩად ჩანს და იქნებ ერთხანს ისევ ემსახუროს სამშობლოს.

ტერნის გარდა კი წონიანი სიტყვის მთქმელი მართლაც არავინ ჩანს. როლანდ ნილსონი და პატრიკ ანდერსონი მობერებული ბრძენკაცები გახლავან, მაგრამ მათგან სარგებელს მხოლოდ თავდაცვაზე აგებული თამაშის დროს უნდა ელოდე, მეომარი შტეფან შვარცი კი ფიცხი კაცია.

სვენსონი ბოლოხანს შვარცს აღარ სწყალობდა და 1997 წელს სულ ერთი ორჯერ თუ დაიბარა ბანაკში, თუმცა სვენსონს ბუნებრივია, თავისი ფიქრი ჰქონდა, სოდერბერგს კი თავისი აქვს და ამიტომაც იყო აპრილში, ფრანგების წინააღმდეგ, შვედეთის ნაკრების შუაგულში შვარცი და ჰაკან მილდი რომ ტრიალებდნენ.

დიახ, თამაშის შვედური ყაიდისთვის ნახევარდაცვა საგანგებოდ მნიშვნელოვანია, თუმცა სოდერბერგმა იტალიელებთან გამარჯვების შეხვედრაში შეამჩნია, რომ თუ მეტოქეც ძალგულოვანი შუახაზელებით იბრძვის, მის მოთამაშეებს დაკარგული ბურთის ფეხთ მოგდება უჭირთ.

შვედეთში ბუნებისგან დაჯილდოებული მობურთალების მოძებნა უწინდებურად ძნელი საქმეა. „ჰალმშტადის" ფეხბურთელს ფრედერიკ ლიუნგბერგსა და დანიელ ანდერსონს ბურთთან მეგობრობა არ უჭირთ, მაგრამ მათზე დაყრდნობა ჯერ ნაადრევია.

დახვეწილი, მომავლიანი და ჯარიმების უბადლოდ დამრტყმელი კაცია ბელგიის „ანდერლეხტში" მოთამაშე პარ ზეტერბერგი, თუმცა მას ბედი არ წყალობს, ერთ ნატკენს რომ მოიშუშებს, მეორის სამკურნალოდ მიეშურება.

ბროლინი, რაღა თქმა უნდა, წარსულის საკუთრებაა, სამაგიეროდ ჰენრიკ ლარსონს შეუძლია თავი გამოიჩინოს, მით უფრო, რომ იდეების ნაკლებობას ეს თავდამსხმელი არ განიცდის.

უწინ ლარსონს შეეძლო ისეთი რამ ჩაედინა, კაცს გულის აცრუების საბაბს მისცემდა. სვენსონმა ერთიპირობა იფიქრა კიდეც, მას სულაც აღარ ვიმსახურებო, მაგრამ რაც ჰოლანდიური „ფეიენოორდიდან" შოტლანდიურ „სელტიკში" გადავიდა, ლარსონი გამოცოცხლდა და სქოთური პირველობის შეხვედრებში 16 გოლი შეაგდო. დღეს სოდერბერგს შეუძლია ლარსონი საჭიროებისამებრ ან თავდასხმაში, ანაც ნახევარდაცვაში გამოიყენოს (ოთხშაბათს ბულგარელებს



ტომი სოდერბერგს თვალი ევრო 2000-სკენ უჭირავს

სწორედ მან გაუტანა. მ.ს.)

წინ, მეტოქის კართან ისევ კენეტ ანდერსონია მთავარი. ისტორიაში იყო ასეთი, გუნარ გრენი, ნაკრებში ყველაზე მეტი გოლის გამტანი. დღეს ანდერსონი მის შედეგს სამად სამი გოლით ჩამორჩება. ანდერსონის მეწყვილეობა კი იორგენ პეტერსონს ხელეწიფება. მან უკვე დაიგდო მოწინააღმდეგის საჯარიმოში სხარტად მოაზროვნე ფეხბურთელის სახელი.

ნაკლად კი ისევ საყოველთაო სისწრაფის არქონა და კიდურა მცველები რჩებიან. კიდურა მცველთა სისუსტე სოდერბერგს მოწინააღმდეგის შეტევათა მოსაგერიებლად ხერხების ნაირგვარობას უზღუდავს.

აგერ უკვე ოთხი წელიწადია, შვედური დაცვის ბურჯებად შუაკაცები, პატრიკ ანდერსონი და იოახიმ ბიორკლუნდი რჩებიან, თუმცა გასულ წელს გერმანულ „მიონხენგლადბახში" მოთამაშე ანდერსონმა რამდენიმე გულსატკენი შეცდომაც დაუშვა და როგორც ამბობენ, ამან კალაპოტიდან ამოაგდო.

სოდერბერგს აიკის ფეხბურთელის, იოჰან მიალბისაც ეიმედება. მიალბი უშელავათო მებრძოლია. მას ხშირად შვედ ვინი ჯოუნზსაც უწოდებენ. თუ გამოცდილებს ფეხი დაუცდათ, მათ მიალბით შეცვლიან.

ზოგადად, ძველების შეცვლა საამყ საქმეა მაგრამ საფრთხილოც. მოულოდნელი ჩავარდნებია მოსალოდნელი, მაგრამ თუ ვიგოში ნაწვნევს დავივიწყებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ სოდერბერგს შემცვლელთა შერჩევა ეხერხება.

თუმცა არის კი დრო დინჯი აღმშენებლობისთვის? 1994 წლის შემდეგ აგერ უკვე ორი მთავარი შეჯიბრება შვედებმა შინ გაატარეს და ტელევიზიით უცქირეს იქ მობურთავე მეზობლებს, დანიელებსა და ნორვეგიელებს. ცუდი შედეგების გამო სარბიელებზე ხალხმა იკლო.

დღეს სოდერბერგი ისტორიის წინგნთან დგას. შვედთა ეროვნული გუნდი ხომ ევროპის პირველობაზე შესარჩევი შეჯიბრების გავლით არასდროს მოხვედრილა, 1992 წელს იგი მასპინძელი იყო და ამიტომ გაერია მარაქაში.

ძნელია შესარჩევის დაძლევა? ალბათ, მაგრამ შედეგებს თუ ჩავხედავთ, საიმედო წინაპირობა არის.

**პენტი პიეტანენი,**
**უორლდ სოკერი**
**თარგმნა მიხეილ სურგულაძემ**

## ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიელი თავდამსხმელი აილტონი ბრემენის „ვერდერში" გადავიდა და თავის ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. გერმანული კლუბის პრესმდივნის განცხადებით, სამხრეთამერიკელი ფორვარდის შეძენა „ვერდერს" 5 მილიონი მარკა (3,05 მილიონი დოლარი) დაუჯდა, რაც გუნდის ისტორიაში ყველაზე ძვირი ტრანსფერია. 25 წლის აილტონი აქამდე მექსიკური „მონტერეი ტაიგერსის" ღირსებას იცავდა. აღსანიშნავია, რომ ბრემენელებს ბუნდესლიგაში ბოლო 30 წლის განმავლობაში ასეთი ცუდი სტარტი არ აუღიათ — ისინი მე-17 ადგილზე იმყოფებიან. არადა, 1992 წელს „ვერდერი" თასების მფლობელთა თასს დაესაკუთრა.

ინგლისის პრემიერლიგის ლიდერმა, ბირმინგემის „ასტონ ვილამ" ახალი შენაძენი გააკეთა — „ნიუკასლ იუნაიტედიდან" 4 მილიონ გირვანქად (6,5 მილიონი დოლარი) სტივ უოტსონი გადაიბირა. ბირმინგემელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ, რომელმაც ამას წინათ განაცხადა, მხოლოდ ბრიტანელ ფეხბურთელებს შევიძენო, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ნიუკასლელთა თავკაცმა რუდ გულიტმა საზოგადოებას ამცნო, უოტსონი ჩემს გეგმებში არ ჯდებაო. 24 წლის უოტსონი ნომინალურად მცველად ითვლება, მაგრამ ნახევარდაცვაში და შეტევაშიც კი შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. „ასტონ ვილაში" გადასვლის შემდეგ მან განაცხადა: „როდესაც გადავწყვიტე „ნიუკასლის" დატოვება და ამ დროს გრეგორი შემეხმიანა, ძლიერ გამიხარდა, რადგან პრემიერლიგის ლიდერის შემადგენლობაში ბურთაობა ჩემთვის დიდი პატივია".

ფრანგული „პარი სენჟერმენის" ახალდანიშნულმა თავკაცმა, ცნობილმა პორტუგალიელმა სპეციალისტმა არტურ ჟორჟემ სატელევიზიო ინტერვიუში აღნიშნა, ადრეული წარმატებების იმედი ნურავის ექნებაო. „მე დიდი დრო მჭირდება, რათა გუნდმა რაიმეს მიაღწიოს. ხელის ერთი მოსმით არაფერი კეთდება. კარგად უნდა გავიცნო ფეხბურთელები და მათი შესაძლებლობანი, ვინაიდან შემდგომში, გუნდის დაკომპლექტებისას, შეცდომები არ დავუშვა. თანაც უახლოეს მომავალში ტრავმებისა და სხვა მიზეზთა გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გამომაკლდება" — თქვა ჟორჟემ. მართლაც საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, სადაც პარიზელები „ლიონს" დაუპირისპირდებიან, მათ არ ეყოლებათ გამოცდილი მცველი, გერმანიის ნაკრების წევრი კრისტიან ვიორნსი და ფრანგთა 21 წლამდე გუნდის მარცხენა მცველი დიდიე დომი, მათ ტრავმები აწუხებთ. აგრეთვე არ იქნება წინა ტურში, ჩემპიონ „ლანსთან" 0:1 წაგებულ შეხვედრაში გაძევებული მარჯვენა მცველი ჯიმი ალჟერინო. ასე რომ, ჟორჟეს, ვინც უპირატესობას დაცვით ფეხბურთს ანიჭებს, „ლიონთან" მატჩში თითქმის მთელი უკანა ხაზი გამოაკლდება. სავსებით შესაძლებელია, დაზიანებული მყესების გამო პსჟ-ს არც კაპიტანი, იტალიელი მარკო სიმონე ჰყავდეს. ამდენი პრობლემების შემხედვარე ჟორჟეს, ეტყობა, ნოსტალგია მოაწვა და სატელევიზიო გამოსვლა ტკბილი მოგონებებით დაასრულა: „ჩემს კარიერაში ყველაზე ძლიერი გუნდი 1994 წლის პსჟ იყო, როდესაც ქვეყნის ჩემპიონები გავხდით. მაშინ კლუბში მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობდნენ — ჟორჟ ვეა, დავიდ ჟინოლა, ალან როში, რიკარდო, რაი, ვალდო და სხვები. ეს დიდებული იყო".

ხორვატიის ნაკრების ვეტერანმა მეკარემ დრაჟენ ლადიჩმა ეროვნული გუნდიდან წასვლის შესახებ გააკეთა ოფიციალური განცხადება. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ხორვატებმა ოთხშაბათს ერთ დროს თანამემამულე მაკედონიელები დაამარცხეს 3:2. „ეს ჩემი ბოლო შეხვედრა იყო ნაკრებში. ძალიან დიდი ხანია, გუნდის კარს ვიცავ და ვფიქრობ, ახლა დროა, სხვა, უფრო ახალგაზრდა გოლკიპერს მიეცეს შანსი" — აღნიშნა 35 წლის ლადიჩმა. მის ამ გადაწყვეტილებას ხორვატთა თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩიც გამოეხმაურა და სინანულით განაცხადა, მეტად სამწუხაროა დრაჟენი რომ მიდისო. გამოცდილი მეკარის ადგილს კი ამიერიდან, ალბათ, თურქული „ბეშიქთაშის" კარის დარაჯი მარიან მრმიჩი დაიკავებს.

ესპანური „ვალენსიის" ხორვატმა თავდამსხმელმა გორან ვლაოვიჩმა თხოვნით მიმართა თავისი კლუბის თავკაც კლაუდიო რანიერის, რათა მან თავი შეიკავოს უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში „ლივერპულის" წინააღმდეგ მის გამოძახებაზე. ვლაოვიჩმა ტრავმა სეზონის დასაწყისში მიიღო და ახლა მკურნალობის პროცესი უკვე დასრულებული აქვს, მაგრამ — „მე მზად ვარ, ვითამაშო, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, კიდევ ცოტა ხანი მოვიცადო, რათა საბოლოოდ მოვმჯობინდე. ნახევარმცველი რომ ვიყო, დღესვე დავბრუნდებოდი, მაგრამ თავდამსხმელი ვარ. ფორვარდმა კი ყველაზე ჩქარა და ბევრი უნდა იმოძრაოს. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ბილბაოს „ატლეტიკს" ვხვდებით, შემდეგ უეფას თასზე „ლივერპულს" ორივე უმნიშვნელოვანესი მატჩია და ამიტომ ბოლომდე მოუმზადებლად მათში ჩემი მონაწილეობა უმართებულოა" — გულწრფელად ისაუბრა ვლაოვიჩმა.

სამხრეთ ამერიკაში მერკოსურის თასის გათამაშების მორიგი ტური გაიმართა: ოლიმპია (პარაგვაი) — რასინგი (არგენტინა) 2:4, პენიაროლი (ურუგვაი) — კორინთიანსი (ბრაზილია) 0:2, ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — ფლამენგო (ბრაზილია) 3:0, ვასკო და გამა (ბრაზილია) — უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) 1:0. დღეისთვის თავიანთ ჯგუფებს ლიდერობენ: ფ ჯგუფი — კრუზეირო (ბრაზილია), ი ჯგუფი — პალმეირასი (ბრაზილია), ს ჯგუფი — რასინგი (არგენტინა), ვ ჯგუფი —ველეს სარსფილდი (არგენტინა), უ ჯგუფი — ვასკო და გამა (ბრაზილია). მეოთხედფინალში ის გუნდები იასპარეზებენ, რომლებიც ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებენ და მათ სამი საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატება. ეს უფლება უკვე მოიპოვეს — „პალმეირასმა", „რასინგმა", „ოლიმპიამ" (ს ჯგუფში მეორე ადგილი) და „ველეს სარსფილდმა".

ისრაელის ნაკრების და ლონდონური „ვესტ ჰემ იუნაიტედის" ნახევარმცველმა ეიალ ბერკოვიჩმა თავის პირად აგენტს სთხოვა, ახალი კლუბი გამოუძებნოს. შეგახსენებთ, რომ ორიოდ კვირის წინ გუნდის საწვრთნელ ბაზაზე ებრაელ ფეხბურთელსა და „ვესტ ჰემის" უელსელ ლეგიონერ ჯონ ჰარტსონს შორის უსიამოვნება მოხდა. ჰარტსონმა ძლიერად დაარტყა ბერკოვიჩს ფეხი სახეში. დაზარალებული მოთამაშის ახალი კლუბი, ალბათ, 10 დღეში გახდება ცნობილი.

ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ბარსელონა", რომელიც 1899 წელს დაარსდა, გაისად საუკუნის ხდება და ამასთან დაკავშირებით მისმა ხელმძღვანელობამ ამხანაგური მატჩის გამართვა გადაწყვიტა. ეს მართლაც საინტერესო შეხვედრა სავარაუდოდ მომავალი წლის 28 აპრილს გაიმართება და მასში ერთმანეთს იუბილარი და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბრაზილიის ეროვნული გუნდი შეხვდებიან. კატალონიური კლუბის პრეზიდენტმა ხოსეპ ლუის ნუნიესმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ეს მართლაც გრანდიოზული პროექტია და ძალიან დამწყდება გული, თუ მის განხორციელებას რაიმე ხელს შეუშლის". თუ ეს მატჩი გაიმართება, მაშინ ბრაზილიელთა თავდამსხმელ რონალდოს თავის ყოფილ თანაკლუბელებთან მოუწევს პაექრობა.

გერმანიის ჩემპიონის — „კაიზერსლაუტერნის" უფროსობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ კლუბის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რატინიომ მარცხენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და უახლოეს მომავალში თავის გუნდს ვეღარ დაეხმარება.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ვერდერი — ფრაიბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| აინტრახტი — ლევერკუზენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ჰამბურგი — დუისბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| შალკე — ბაიერნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| შტუტგარტი — ჰერტა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მიონხენგლადბახი — ნიურნბერგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| დორტმუნდი — ჰანზა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **18 ოქტომბერი** | | | |
| ფიურტი — გიუტერსლო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მაინცი — ზანქტ პაული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| არმინია — ურდინგენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ულმი — კოტბუსი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,6 |
| უნტერჰახინგი — ფორტუნა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| **19 ოქტომბერი** | | | |
| კიოლნი — დიუსელდორფი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| არსენალი — საუთჰემპტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ჩელსი — ჩარლტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ევერტონი — ლივერპული | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| მანჩესტერი — უიმბლდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| მიდლსბრო — ბლექბერნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნიუკასლი — დერბი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ნოტინგემი — ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ვესტ ჰემი — ასტონ ვილა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| ქოვენთრი — შეფილდ უენსდეი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| **19 ოქტომბერი** | | | |
| ლესტერი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ბირმინგემი — ქრიუ | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბოლტონი — ოქსფორდი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბერი — სტოკპორტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| კრისტალ პალასი — ნორვიჩი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გრიმსბი — ბრედფორდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჰადერსფილდი — ქუინზ პარკი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| იფსვიჩი — სვინდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| პორტვეილი — ბრისტოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პორტსმუთი — ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| შეფილდ იუნაიტედი — ბარნსლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტრანმერი — უოტფორდი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| ვესტ ბრომვიჩი — სანდერლენდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| სოშო — მეცი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მონაკო — მონპელიე | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| ლანსი — ოსერი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ლორიანი — ლე ავრი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნანსი — რენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| ტულუზი — ბასტია | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ემპოლი — ბოლონია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| პარმა — სალერნიტანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| რომა — ფიორენტინა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| პერუჯა — ვენეცია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| პიაჩენცა — სამპდორია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ვიჩენცა — იუვენტუსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ბარი — უდინეზე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კალიარი — მილანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ინტერი — ლაციო | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ტორინო — ჯენოა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| ატალანტა — ჩეზენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| კიევო — ტერნანა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| კოზენცა — ვერონა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| ლეჩე — ბრეშა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| მონცა — ფ. ანდრია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ნაპოლი — ტრევიზო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| პესკარა — ლუკეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| რავენა — რეჯანა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| რეჯინა — კრემონეზე | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ატლეტიკო — ტენერიფე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვილიარეალი — სოსიედადი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბარსელონა — სალამანკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბილბაო — ვალენსია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბეტისი — სელტა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სარაგოსა — რეალი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| მალიორკა — ალავესი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| დეპორტივო — ოვიედო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ვალიადოლიდი — ესპანიოლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| რასინგი — ესტრემადურა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ბარსელონა B — სევილია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ლას პალმასი — რაიო ვალეკანო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| ლეგანესი — მალაგა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ბადახოსი — მერიდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ოსასუნა — რეკრეატივო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ერკულესი — ორენსე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ალბასეტე — კომპოსტელა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ტოლედო — ნუმანსია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ეიბარი — ლეიდა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სპორტინგი — ლოგრონიესი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| **19 ოქტომბერი** | | | |
| მალიორკა B — ატლეტიკო B | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| სპორტინგი — ბეირა მარი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| ბენფიკა — ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| აკადემიკა — ფარენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პორტუ — ბოავიშტა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბრაგა — ლეირია | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| კამპომაიორენსე — სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| შავეში — მარიტიმუ | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| **19 ოქტომბერი** | | | |
| ამადორა — რიუ ავე | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| როსტსელმაში — ჟემჩუჟინა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| დინამო — ალანია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ლოკომოტივი — ურალანი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ზენიტი — კრილია სოვეტოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 2,9 | 3,2 |
| ჩერნომორეცი — ბალტიკა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| როტორი — სპარტაკი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ტორპედო — ცსკა | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ფეიენოორდი — როდა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ვიტესი — ტილბურგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბრედა — მაასტრიხტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სიტარდი — სპარტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| კამბური — ვალვაიკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| გრააფსხაპი — უტრეხტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნაიმეგენი — ეინდჰოვენი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| აიაქსი — ტვენტე | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ვიძევი — სტომილი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ლეხი — ზაგლებე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ამიცა — ოდრა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| კატოვიცე — პოგონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბელხატოვი — ლკს | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ვისლა — რუხი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| რაძიონკოვი — პოლონია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლეგია — გურნიკი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| გენჩლერბირლიგი — ტრაბზონი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ისტანბული — ანკარა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სამსუნი — ქარაბუქი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ადანა — გალათასარაი | 8,0 | 3,8 | 1,3 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| ერზურუმი — ბეშიქთაში | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ალთაი — დარდანელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ბურსა — გაზიანთეფი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ფენერბაჰჩე — საქარია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| აბერდინი — დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დანდი იუნაიტედი — კილმარნოკი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| დანფერმლაინი — სელტიკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| რეინჯერსი — ჰართსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| სენტ ჯონსტონი — მოზერველი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| რაპიდი — გრაცერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შტაირი — აუსტრია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| შტურმი — რიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ტიროლი — ლუსტენაუ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| ლინცერი — ზალცბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 ოქტომბერი** | | | |
| ლუცერნი — სერვეტი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| **18 ოქტომბერი** | | | |
| არაუ — ქსამაქსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| სიონი — სენტ გალენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| იანგ ბოისი — ლოზანა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

16 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
4 ტური

**სდასუ 78:86 აზოტი**

I ტაიმი: 31:44
სდასუ: ორჯონიკიძე (8), ჩხეიძე (17), გიგაშვილი (4), გიგაური (21), ქევხიშვილი (9); მაჭარაძე (7), აბულაძე (12)
აზოტი: ჟღენტი (15), გაბისონია (19), გოგობერიშვილი (15), ბაბიაშვილი (6), ჯაფარიძე (20); ბერუაშვილი (6), ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (5)
მსაჯები: ალექსანდრე როსტომაშვილი, ზურაბ ანდრიაძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

# იყო ჩხუბიც, სისხლიც, სროლაც

ვინ ვის ეკვეთა, ვინ ვის მუშტი დაჰკრა, ვინ ვინ დაასისხლიანა კაცი ძნელად თუ გაარჩევდა. ხელჩართულ ბრძოლაში უკან დახევა არავის უცდია და მეტოქეების უბურთოდ გარჯა ერთ რამედ ღირდა. სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულნი ვერც მავანის მიერ გასროლილმა ორმა ფუჭმა ტყვიამ ტყვიამ დააშოშმინა. მოშუღართა გაშველება გუნდების მესვეურებმა და სხვა კლუბების მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა ითავეს. დაშორიშორებული მოჩხუბარნი ერთმანეთს რბევას რომ ველარ აჩერხებდნენ, გულს ლანძღვა-გინებით იოხებდნენ... სტუდენტებმა გასახდელს მიაშურეს, რუსთაველებმა კი პოზიცია სათადარიგოთა სკამთან დაიკავეს. დარბაზიც დაცხრა და ემოციებისგან დაღლილი მოვლენების განვითარების მოლოდინში გაყუჩდა. დაპირისპირებულთა ბანაკში დესპანთა მისვლა-მოსვლა გაჩაღდა.

ტრიბუნები გამოცოცხლდა, როცა მოედანზე სდასუ გამოჩნდა. მოშუღარნი რომ ერთმანეთს გადაეხვივნენ, დარბაზმა შვებით ამოისუნთქა და შერიგებულთათვის ტაშიც არ დაიშურა.

მართალია, არც ერთი გუნდის მოთამაშეთა სახე არ გაუნათებია სათნო ღიმილს, მაგრამ პირზე კოცნითა და მხარზე ხელის მოთათუნებით გვამცნეს, რომ ინციდენტი ამოიწურა და მატჩიც განახლდა.

ამჯერად თითქოს ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდა, მაგრამ ვაითუ, მუშტების ამგვარი ქნევა ტრადიციად იქცეს. კალათბურთის ფედერაციას ნამდვილად ახალი საფიქრალი მოემატა. აბა, წარმოიდგინეთ, ადრე მსაჯებზე გადამტერებული სპორტსმენები თუ ახლა ერთმანეთს დაერივნენ, მატჩის ორივე ნახევარი საკრივო რაუნდებს დაემსგავსება. თუმცა მოასპარეზე გუნდების შერიგება ერთ რამედ ღირს, რაც ოდენ რაგბის მამათა კეთილ შურს გამოიწვევს. ეს კი კალათბურთის მესვეურთ სიამაყის გრძნობით დიდად ვერ ალავსებს.

სპორტსმენები რომ გაკიცხვას იმსახურებენ, ეს ცხადია, მაგრამ მათთან ერთად პასუხისმგებლობა მსაჯებმაც უნდა იტვირთონ. მავანი შემეკამათება, მსაჯობა რა შუაშიაო, მაგრამ არც ასეა საქმე. მსაჯები მოედნის ბატონ-პატრონად ითვლებიან და თამაშის სადავეები კარგად უნდა ეპყრათ ხელთ, რათა მოსალოდნელი ინციდენტი დროულად აღკვეთონ. თავს არ მოგაწყენთ იმის მტკიცებით, რომ ჩვენებურ მსაჯებს კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდებათ, ან თუნდაც იმით, რომ მოედანზე მსაჯი ხელშეუხებელია, მაგრამ იმას ვერსად გავექცევით, რომ ეს უკანასკნელნი თავის სიმაღლეზე უნდა იდგნენ და როცა აუცილებლობა მოითხოვს, მოთამაშეების განმუხტვაც უმტკივნეულოდ უნდა შეძლონ.

ჭკუას არავის ვარიგებ, მაგრამ რაც ჩვენში ხდება, ყველანაირის ჩარჩოებს სცდილდება. მსაჯთა პროფესია მეტად საძნელო რამ არის. ეს აქსიომაა. ჩვენს კალათბურთში კი მსაჯი მეტად დაბეჩავებულია. თავად განსაჯეთ, სადავო მომენტში გადაწყვეტილების მიღებისას რომელი მხარეც მეტს იყვირებს, სამართალი მის მხარესაა. ასეთი რამეც ხშირად გვიხილავს, როცა მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მოთამაშე მსაჯს მკვდარ-ცოცხალს რომ ხმამაღლა „მოუკითხავს". ასე რომ, მსაჯის დაბეჩავებაში ლომის წილი სპორტსმენთაც უდევთ, მაგრამ ასე მხოლოდ ჩვენში ხდება.

ბოლო ჩემპიონატებში სდასუ — „აზოტის" მატჩები ყოველთვის დაძაბული იყო და იშვიათად რომ ვნებათაღელვის გარეშე ჩაევლო. გუნდები ერთმანეთისთვის უხერხულ მეტოქეებად იქცნენ და დიდი თუ მცირე ინციდენტი მათ შეხვედრას ხშირად თან სდევდა. ამიტომაც ეს ფედერაციას უნდა გაეთვალისწინებინა (მიუხედავად იმისა, რომ პლეი ოფის მატჩი არ იყო) და შედარებით მკაცრი მსაჯები შეერჩია. არ მინდა, გუშინდელი მატჩის განმსჯელთა განაწყენება, მაგრამ მათმა რბილმა და ზოგჯერ დაგვიანებულმა გადაწყვეტილებამ შეუწყო ხელი იმას, რაც შემდეგ მოხდა.

ეს ჩემი აზრია, რომელიც ბევრი ქომაგიც დაეთანხმება. მატჩის შეჩერების ჟამსაც ხომ მოთამაშეები მსაჯებს ადანაშაულებდნენ და არც უსაფუძვლოდ.

ინციდენტზე და ფედერაციის მამათა გასაჭირზე საუბარში სიტყვა გამიგრძელდა. ახლაც თავად მატჩის მიმდინარეობას მივყვეთ.

თავიდანვე ორივე მხრიდან ღია თამაში გაჩაღდა. მეტოქეები შეცდომებსაც ხშირად უშვებდნენ და ჯარიმებსაც არ ერიდებოდნენ. მსაჯთა სასტვენის ხმაც ხშირად გაისმოდა. „აზოტი" თავიდანვე დაწინაურდა. სტუდენტთა ზონური დაცვა წამდაუწუმ. რუსთაველები პოზიციებს კარგადაც არჩევდნენ და სწრაფი პასებიც შედარებით ზუსტად გამოსდიოდათ. სიმაღლეში უპირატესობის გამო თავს სამქულიანების სროლის უფლებას აძლევდნენ და გამოსდიოდათ კიდეც. სდასუ შეტევებში ბურთს „აწვალებდა" იმის გამო, რომ მის მოთამაშეებს გახსნა უჭირდათ. თუმცა ტაიმის მიწურულს გამოცოცხლება დაეტყოთ და „ვითასთან" შეხვედრის დარად აქაც ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს, მაგრამ „აზოტმა" მაინც იმძლავრა და პირველი ნახევარი 44:31 მოიგო.

მეორე ნახევარიც რუსთაველთა შედეგიანი სროლებით დაიწყო. მალე მათ სტუდენტებმაც აუბეს მხარი და უკეთ ათამაშდნენ. პირველი 5 წუთი 13-ქულიანი უპირატესობით, მაინც „აზოტის" სასარგებლოდ დასრულდა 57:44. შემდგომ კი გიგაურის მეცადინეობით სდასუ-მ ტემპსაც მოუმატა და ქულებიც საკმაოდ მიითვალა. აზოტელებმა ზედიზედ ხუთი შეტევა გააცუდეს, რასაც ფარზე უხეირო გარჯაც დაერთო. სტუდენტებმა კი საკუთარი ფარი საიმედოდ დაიცვეს და მეტოქის საჯარიმო მოედანიც აიკლეს. 11 წუთის გასვლისას ანგარიშში სხვაობაც 4 ქულამდე შეამცირეს — 59:55. „აზოტს" არევ-დარევა დაეტყო, კარგად შეთამაშებული გუნდი თავის აჩრდილსღა ჰგავდა. ჯაფარიძეს კარგა ხნის წინ 4 პერსონალური დაუგროვდა და საჰაერო შეტაკებებს გაურბოდა, ჯარიმებს სხვებიც ერიდებოდნენ, რადგანაც მსაჯები პერსონალურებს უხვად არიგებდნენ.



გუნდური თამაშიც ვნახეთ და ჩხუბიც

ეს კი ორივე გუნდის აღშფოთებას იწვევდა და ამას სიტყვიერადაც გამოხატავდნენ. თუმც მსაჯები პრინციპული გადაწყვეტილებების მიღებისაგან თავს იკავებდნენ, მატჩი მეტად რომ არ დაეძაბათ. მაგრამ ამას მაინც ვერ ასცდნენ.

ზემოთაც მოგახსენეთ, რომ გიგაური მეორე ტაიმში დიდად გააქტიურდა. მისმა სამიანმა ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე დაიყვანა. რუსთაველთა თავკაცობამ საფრთხე იყნოსა და წუთშესვენების აღებით გუნდის დალაგებას შეეცადა. ამას შედეგი არ მოჰყოლია და ის ავადსახსენებელი მეათე წუთიც დაიწყო...

მატჩის განახლებისთანავე მეტოქეები სრული სპორტული განწყობით ეკვეთნენ ერთმანეთს. მოედანზე საინტერესო ბურთაობაც გაჩაღდა. სდასუ თავიდან უფრო მობილიზებული ჩანდა და ანგარიშიც გა- ათანაბრა, თუმცა, სტუდენტთა გულშემატ- კივრების სიხარული დროებითი აღმო- ჩნდა. „აზოტმა" იძალა და გააზრებულ თამაშით მეტად მძიმე შეხვედრა თავი- სთვის სასიკეთოდ დაასრულა.

შეხვედრის შემდგომ მომხდარ ინციდე- ნტზე კომენტარი ვთხოვეთ მატჩის დელე- გატს ნოდარ დარახველიძეს, რომელიც ამა- ვე დროს ჩემპიონატის თავისი მსაჯიცაა: „რა შეიძლება ითქვას, მეტად ცუდია, რომ ასეთი ინციდენტი მოხდა. ამაზე ალმასკომი და სადისციპლინო კომისია იმსჯელებს და ორივე გუნდს დასჯის. რაც შეეხება მატჩის გაგრძელებას, ასეთ შემთხვევაში გადაწყვე- ტილებას მატჩის მთავარი მსაჯი იღებს. მან ჩათვალა, რომ თამაშის გაგრძელება შესაძ- ლებელი იყო და გააგრძელა კიდეც."

**მამუკა ტუღუში**

16 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
4 ტური

**კოლხა 64:97 თსუ**

I ტაიმი: 19:46
კოლხა: ბერიშვილი (13), ბერია (5), კეიდია (7), ქვილითაია (9), უგრეხელიძე (5); არველაძე, კვაჭაძე (18), ქარუმიძე (4), ფენდერავა (3)
თსუ: ვეფხვაძე (8), მგალობლიშვილი (9), მარკოიშვილი (21), ცქიტიშვილი (5), ხელაშვილი (13); გელაშვილი, არსიაშვილი (10), მშვილდაძე (2), ქარჩავა (2), ნონელია (23), დიმიტრიადი (4)
მსაჯები დავით ბერეკაშვილი, დავით აბაშიძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

# ფუჭი დღე ვერის ბაღში

სწორედ ასეთი გამოდგა გუშინდელი დღე. ის, რაც ვერის ბაღში შეკრებილმა გულშემატკივარმა იხილა, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ყოველგვარ ჩარჩოებს სცილდება. ეს არ იყო კალათბურთი, ეს არ იყო ორ გუნდს შორის წმინდა სპორტული დაპირისპირება. სამაგიეროდ, ჩხუბი ვიხილეთ, თვალსასეირო ჩხუბი, რომლის შესახებაც წინდაწინ არავინ იცოდა, თორემ... ჰაი, ჰაი, რომ ვერის ბაღიც პირთამდე გაივსებოდა. აკი წინა კვირას სპორტის სასახლეში მსგავსი სანახაობის მოყვარულთა ტევა არ იყო. გგონიათ გუშინ ნაკლებ ჩხუბს შევესწარით? ასე რომ, იარეთ ვერის ბაღში, დატკბით სანახაობით. ხან თუ ხეირიან ბურთაობას იხილავთ, ზოგჯერ (ხშირად!) ისეთებსაც ნახავთ, თქვენი მოწონებული.

ემოციებს ავყევი და კინაღამ დამავიწყდა, რომ ჩემი სარედაქციო დავალება „კოლხა" — თსუ-ს მატჩის მიმოხილვა გახლდათ. სდასუ — „აზოტის" ინციდენტთან ამ თამაშს საერთო არაფერი ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით ერთ გარემოებას, რომ წერილის თავში ნახსენები „ბრძოლა წესების გარეშე" („აზოტისა" და სდასუ-ს შესრულებით) უეჭველად ამ შეხვედრასაც თავისებურ დაღს დაასვამდა. თავის მხრივ, დაზაფრული მაყურებელი რეაბილიტაციას ითხოვდა და ნუგეშად სწორედ „კოლხა" — თსუ ესახებოდა.



გურამ ფოლადაშვილის ფოტო

უგრეხელიძე (მარცხნივ) ხელაშვილის წინააღმდეგ

ჰოდა, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, კარგი იქნებოდა, სულ არ დაწყებულიყო. უშინაარსო, არაფრისმთქმელი თამაში, სადაც არ იყო აზარტი, მონდომება, ტაქტიკური განსწავლულობა — აი, ასეთი გახლდათ ეს შეხვედრა.

ამაში კი მთავარი „დამნაშავე" თსუ იყო, რომელმაც არანაირი შანსი არ დაუტოვა მუდამ შემართებით მებრძოლ კოლხებს და აიძულა, ეს უკანასკნელნი „შევარდენს" ანტირეკორდში (19 ქულა პირველ ტაიმში) ჩაზიარებოდნენ.

ასეთი უსუსური „კოლხა" პირველად ვნახეთ. არადა, იმის მოწმენიც ხშირად ვყოფილვართ, რომ ეს გუნდი არცთუ ადვილი დასამარცხებელია. ეს მათ მერვე ეროვნულშიც დაამტკიცეს — ყველა მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს და მხოლოდ ბოლო წუთებზეღა დამარცხდნენ. იგივეს ველოდით ახლაც. მართალია, ფავორიტად თსუ მიიჩნეოდა, მაგრამ ახალგაზრდა კოლხი ბიჭები თუ სტუდენტებს ასე იოლად დაეჩაგვრინებოდნენ, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. თითქოს სადღაც გამქრალიყო მათი შემართება, გამარჯვებისადმი სწრაფვა, უდრეკი ხასიათი. თითქოს ნაძალადევად ირჯებოდნენ მოედანზე. არა, ასე არ შეიძლება. ასეთი თამაშით შორს ვერ წახვალთ, ბიჭებო.

თსუ? მათ გაილაღეს, რაც მოესურვებოდათ, იმას აკეთებდნენ და ძნელია ყოველივე ამის შემდეგ არ ალიარო სტუდენტების სიძლიერე. ქორქიას დამოძღვრილებმა ბოლომდე ითამაშეს და „კოლხა"-ს, ასე ვთქვათ, გაკვეთილი ჩაუტარეს. შთაბეჭდილება ისეთი იქმნებოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში უფრო მეტითაც მოიგებდნენ.

შეუჩერებელი იყო გოჩა წოწელია. იგი თსუ-ს ლიდერად მოგვევლინა და დაამტკიცა, რომ უყურადღებობას არავის აპატიებს, მასთა[...] მეტი სიფრთხილეა საჭირო. ჩინე[...] ბულად გაართვა თავი დაკისრებუ[...] ფუნქციას ვეტერანმა ხელაშვილმა[...] და ცქიტიშვილთან ერთად ორივე[...] ფარზე გაბატონდა. ახალბედა მარ- კოიშვილი დღითიდღე უმატებს. გუ- ნდის ხუთეულში მყარად ჩაჯდა და კოლხების განადგურებაში ლომის წილიც დაიდო.

სამწუხაროდ, არ შედგა უგრეხე- ლიძე-ცქიტიშვილის დუელი, რო- მელსაც გულშემატკივარი დიდი ინ- ტერესით მოელოდა. ცქიტო და „ბა- ჯბაჯა" შარშან „კოლხა"-ში ერთ- მანეთის მხარდამხარ თამაშობდნენ, კადეტთა ნაკრებშიც პარტნიორები არიან და უდაოა, მათი სახით ჩვენს ქვეყანას უნიჭიერესი თაობა ეზრდე- ბა. დუელი არ შედგაო, რომ ვამბობთ, ეს ნაწილობრივ იმანაც განაპირო- ბა, რომ კოლხთა მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამ უგრეხელიძეს ხელა- შვილის მეურვეობა დააკისრა, ხო- ლო თსუ-მ ზონური დაცვა ირჩია და ამ ბიჭებსაც მხოლოდ ეპიზო- დურად უწევდათ ერთმანეთთან შე- ტოქება.

თუმცა, იმასაც ვიტყვით, რომ სა- უკეთესო თამაში გუშინ მათ ნამდ- ვილად ვერ გვიჩვენეს და თუ ცქი- ტიშვილის გარდა თსუ-ს სხვაც ბე- ვრი ჰყავს შემსრულებელი, უგრე- ხელიძე კოლხებისთვის ნახევარი გუ- ნდია (თუ მეტი არა) და ვანო აბულა- ძის არყოფნაში (ტრავმა აქვს) ეუ[...] ლად დარჩენილი „ბაჯბაჯა" ხელა- შვილმა და კომპანიამ ადვილად გა- აუვნებელყო.

საკუთრივ თამაში, ზემოთაც მო- გახსენეთ, დიდი ვერაფერი ბედნ[...] გამოდგა და მატჩის პერიპეტიების ზედმიწევნით აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ.

თსუ-მ ამ გამარჯვებით სატურ- ნირო მდგომარეობა ერთი-ორად გა- იუმჯობესა, ხოლო „კოლხა" ზედი- ზედ ოთხი მარცხის შემდეგ გათამა- შების ცხრილის ფსკერისკენ დაეშვა.

**გიორგი ბიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროლიგა. სამარა — ოლიმპია

# სტეფანია: ღვიძლი — ნერვები — გაყიდვა

„სამარა" — „ოლიმპიას" შემდეგ ვლადიმერ სტეფანიას ლიუბლიანაში შევეხმიანეთ — მატჩის მისეული კომენტარი გვსურდა. ვოვამ ესეც გვითხრა და ერთი სენსაციური ამბავიც:

— „დავიწყოთ იმით, რომ დადგინდა ჩემი ღვიძლის ტკივილის მიზეზი. იგი ნერვულ სტრესს გამოუწვევია. თავად ნერვული სტრესი კი — „ოლიმპიას" თავკაცთა ფლიდობამ. თურმე, ხელმძღვანელობას ჩემი უჩუმრად გაყიდვა ჰქონდა ჩაფიქრებული: სანამ „სიეტლის" საკუთრება გავხდები, გადაწყვიტეს, რომელიმე ევროპული გუნდისთვის შევეთავაზებინეთ და ამაში დიდი ფული აეღოთ. ლიუბლიანელებს ფინანსურად არ ულხინთ. განზრახვაზე ხელი კი ავაღებინე, მაგრამ ძალიან ვინერვიულე და ამან ღვიძლის ტკივილში ჰპოვა გამოხატულება.

ცხადია, ამის გამო „ოლიმპიას" თავკაცობა დამემდურა. სასტარტო ხუთეულში არ მაყენებენ, მაგრამ როგორც კი გაუჭირდებათ, მოედანზე შემიყვანენ, საქმეს გამაკეთებინებენ და მერე გამომცვლიან. „სამარასთანაც" ასე იყო — თავიდან გაგვიჭირდა, მერე — შემიყვანეს. თავს ბოლომდე კარგად კიდევ ვერ ვგრძნობდი, ამიტომ, სოლიდურად რომ დავწინაურდით, შეცვლა მოვითხოვე. პრინციპში, „სამარა" ძალიან სუსტი გუნდია და მასთან გამარჯვება არ გაგვჭირვებია.

ჯანმრთელობაც ნელ-ნელა მიუმჯობესდება. 5 კილოგრამი დავიკელი, მაგრამ კარგად ვმკურნალობ და მალე ნორმალურ მდგომარეობასაც აღვიდგენ. მომავალ ტურში პრინციპული მატჩი გვაქვს — შინ „ვილერბანს" ვხვდებით. ვფიქრობ, იმ დროისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები."

# ესაა ხორვატული პატრიოტიზმი?

ევროლიგის წინა, მესამე ტურის მიმოხილვისას იმ კალათბურთელებზე გავამახვილეთ ყურადღება, ვინც უცხო ქვეყნის გუნდების სახელით თავიანთი სამშობლოს გუნდების წინააღმდეგ გამოიჩინეს თავი. დღესაც გვიწევს ამ თემის გაგრძელება, თანაც ისეთი ქვეყნის შვილებზე, ვისი პატრიოტობაც ლამის სამაგალითო გამხდარა.

ხორვატებს უყვართ სამშობლო, ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყნის სპორტსმენები ამ ფაქტს განსაკუთრებით, ხშირად გამაღიზიანებლადაც უსვამენ ხაზს. არიან კომაზეციც ხორვატია, თავგამოჩენილი, რომელსაც თავის ქვეყნისთვის არაერთი გამარჯვება მოუტანია.

დღეს კომაზეცი ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" თამაშობს და ამ ტურში აღმზრდელი ქვეყნის აღმზრდელ კლუბს — „ზადარს" დაუხვდა პირეოსში. არიანმა ნაღდად არაპატრიოტული საქციელი ჩაიდინა: ორუქლიან-სამქულიან-საჯარიმოებიდან 20-ჯერ ისროლა და 17-ჯერ ჩააგდო. სწორედ მისმა 29 ქულამ განაპირობა „ოლიმპიაკოსის" წარმატება.

დრაგან ტარლაკიც ხორვატია, ოღონდ კარგა ხანია, საბერძნეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული და მეორე გვარად კონსტანტინიდისი ჩაიწერა. არც ამან დააკლო ხელი თანამემამულეებს — 12 ქულა ხომ ჩაუგდო და კიდევ 6 ბურთიც მოუხსნა, დაახლოებით ნახევარი, რაც მოედნის მეორე მხარეს მდგომმა ხორვატებმა ერთად აღებულმა. მოდი და იწამე ამათნაირთა პატრიოტიზმი. „ოლიმპიაკოსის" ნაღდმა ბერძნებმა (სულ ასეთი 4 ჰყავდათ) ჯამში 18 ქულა მიითვალეს, მათგან კი უკვე ლამის ანტიკური ხანის წარმომადგენელმა პანაიოტის ფასულასმა სულ ხუთ წუთს ითამაშა და ამ ხანში 3 ჯარიმის მიღება და ერთადერთი საჯარიმოს ჩაგდება მოახერხა.

თურქულ „ეფესს" ხორვატები არა ჰყავს, მაგრამ ზაგრების „ციბონას" განადგურება ამათი ყოფილი თანამემამულეებით — იუგოსლავიელი დრობნიაკით და მაკედონელი ნაუმოსკითაც იკმარა. 23 წლის დრობნიაკი მსოფლიოს ჩემპიონია, ამ სეზონში თამაშიდან თამაშამდე უმატებს და იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელს ჟელკო ობრადოვიჩს დამშვიდების საშუალებას აძლევს: ქვეყანას მომავალი (და თან როგორი) ეზრდება.

ისევ ხორვატებზე ვთქვათ. იმას, რაც „ვარეზეს" ველკო მრშიჩმა ფრანგულ „პო ორტეზთან" მოიმოქმედა, მხოლოდ კარგი თამაში არ ჰქვია. შეიძლება ითქვას, რომ მრშიჩმა მარტომ მოუგო მეტოქეს. ბევრი ქულების გარდა ხორვატმა საკუთარ ფარზე ფრანგები არ გააჭაჭანა და თან პოცეკოსა და სანტიაგოს შეტევის ჩინებული შანსებიც მისცა. მრშიჩის გარჯამ ის მოიტანა, რომ „ვარეზე" ერთხანს 73:45 იგებდა.

და დიდი ხორვატი დინო რაჯა? მან „პანათინაიკოსის" რიგებში გულმოდგინედ მუსრა ესპანური ტდკ. რაჯამ ფარზე სული ამოხადა მილის, რომელსაც კიდევ ერთი თანაგუნდელი აუცილებლად ეხმარებოდა ხოლმე. ამით რაჯას თანაგუნდელებმა — იუგოსლავიელმა ბოდიროგამ და ბერძენმა ალვერტისმა ძლიერ იხეირეს — შორიდან თუ ახლოდან ესპანელებს კალათი ამოუვსეს. ალვერტისმა კი მთლად 6 სამქულიანი ჩააგდო.

ჟან ტაბაკმაც დიდი როლი ითამაშა „ფენერბაჰჩეს" მიერ „ავტოდორის" ძლევაში. ხორვატს სერიოზული ოპონენტი ჰყავდა — ლიტველი ეინიკისი. ტაბაკმა შეძლო „ავტოდორის" ცენტრის უვნებელყოფა, მხოლოდ 12 ქულა ჩააგდებინა და 32-ე წუთზე ხუთი პერსონალურით მოედნიდან გაისტუმრა. როგორც აღმოჩნდა, ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი — შეხვედრა დამატებით დროში გაგრძელდა და ფარზე ნიგერიელი ნვოსუს ამარა დარჩენილმა რუსებმა დიდად ვერ იხეირეს. ზაზა ენდენს (ენდელაძეს) „ფენერბაჰჩეს" რიგებში არ უთამაშია.



REUTERS სტამბოლიდან

ფენერბაჰჩე — ავტოდორი: გინტარას ეინიკისმა (14) ვერ შეაჩერა კონრად მაკრეი

კარგი იყო „ტიმსისტემის" დამირ მულაომეროვიჩი პაოკ-ის წინააღმდეგ. ოღონდ ხორვატი დაიჩრდილა შესანიშნავი გაიტალიელებული ამერიკელი ზანგის კარლტონ მაიერსის მიერ. სხვათა შორის, ეს მაიერსი იანვარში თბილისში ჩამოგვივა საქართველო — იტალიის მატჩზე (ისევე, როგორც მისი გაიტალიელებული სლოვენი თანაგუნდელი გრეგორ ფუჩკა) და თამაში მერე ნახეთ...

აქამდე დაუმარცხებელ ფრანგულ „ვილერბანს" კარგი შანსი ჰქონდა გაეგრძელებინა წარმატებული სვლა, მაგრამ „რეალის" ბერდმა ბოლო წამს ეს შანსი მოუსპო. წაგება გააგრძელა ცსკა-მ. „კინდერის" ფრანგმა ანტუან რიგოდომ და ბერძენ-იუგოსლავიელმა მაკრის-ნესტეროვიჩმა იძალეს და ლიდერობა მინიმუმ ერთი ტურით შეინარჩუნეს.

მინიმუმ ერთი ტურით იმიტომ, რომ მომდევნო ხუთშაბათს ბოლონიაში დიდი დაპირისპირებაა: იტალიური შოკოლადის ფირმის კლუბი „კინდერი" მასპინძლობს თურქი მეშოკოლადეების კლუბს „ულქერს". საეჭვოა, ეს შეხვედრა ამ ფირმების ნაწარმივით ტკბილი გამოდგეს, რადგან აქ ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი შეიძლება გამოვლინდეს. თანაც, ამ დღეს ცსკა უმასპინძლებს „ოლიმპიაკოსს".

უარესი ამბებია მოსალოდნელი ათენის „მშვიდობისა და მეგობრობის სასახლეში", სადაც აშკარად მტრული და არამეგობრული მატჩი გაიმართება ბერძნულ „პანათინაიკოსსა" და თურქულ „ეფესს" შორის. თან რამდენი ფაქტორი იმოქმედებს! ეს ბერძნულ-თურქული ზიზღიო, ჩრდილოეთ კვიპროსიო, ბოდიროგა-დრობნიაკის იუგოსლავიური დუელიო და რაც მთავარია: აქ მოგებული ერთადერთი გუნდი იქნება, ვინც ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის პირველ წრეს წაუგებლად დაასრულებს!

ბოლოს კი გაჭირვებულებზეც ვთქვათ. ევროკალათბურთის ნასუფრალი რუსული „სამარა" ვლადიმერ სტეფანიას „ოლიმპიამ" საკუთარ სახლში მიანგრია, ხოლო კიდევ ორი გაუმარჯვებელი, „ცრვენა ზვეზდა" და „მაკაბი", ამ ტურში უქმად დარჩნენ: ფიბა-მ იუგოსლავიის ტერიტორიაზე მატჩების გამართვა აკრძალა, რითაც ერთ-ერთ ამათგანს პირველი გამარჯვების სიხარულის განცდა დროებით მოუსპო. მატჩის გამართვის ახალი თარიღი ფიბა-ს ჯერ არ დაუდგენია.

## ევროლიგა. მეოთხე ტური

### A ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 80:76 ავტოდორი**

ფენერბაჰჩე: აბდულ რაუფი (15), აბი (2), აფაიდინი (6), კალამიზა (1), ქუთლუაი (14), მაკრეი (5), მილიჩი (20), ტაბაკი (17)

ავტოდორი: ეინიკისი (12), ფეტისოვი (2), ხრიაპა (10), მილოსერდოვი, ნვოსუ (19), ზ. პაშუტინი (10), ე. პაშუტინი (9), ჩიკალკინი (14)

**ტაუგრესი 91:97 ჟალგირისი**

ტაუგრესი: ანგულო (17), ბენეტი (8), ბერიჩი (15), ესპილი (11), გარბახოსა (12), გერკე (6), მახოვსკი (3), მილერა (8), ვინტერსი (11)

ჟალგირისი: ადომაიტისი (12), ბოუი (18), ედნი (17), მასიულისი (3), მასკოლიუნასი, შტომბერგასი, ზიდეკი (13), ე. ჟუკაუსკასი (16), მ. ჟუკაუკასი (7)

**ვარეზე 89:77 პო ორტეზი**

ვარეზე: დე პოლი (13), გალანდა, ჯადინი, მენეგინი (13), მრშიჩი (33), პოცეკო (18), სანტიაგო (10), ვესკოვი (2), ზანუს-ფორტი

პო ორტეზი: აიშა (9), ფატუ (5), ფუარე (14), დ. გადუ (7), ტ. გადუ (8), გრანტი (18), ლორთრიჯი (4), სხოლტენი (12), სმიტი

### B ჯგუფი

**პანათინაიკოსი 74:58 ტდკ**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (20), ბოდიროგა (20), ბუდურისი, ბურკი (2), ეკონომუ (6), ჯენტილე (8), ჰუპმანი, კოხი (2), პატავუკასი, რაჯა (16)

ტდკ: კაპდევილა (9), კრეუსი (7), გონსალესი (5), ლავინია, მილი (15), მონტანესი, მოტი (11), მოია (1), სინგლა (5), ვასკესი (5)

**ეფესი 80:57 ციბონა**

ეფესი: აიდინი (2), ბესოქი (8), დალი (1), დრობნიაკი (12), ევლიაოღლუ (5), მუმჩუოღლულარი, ნაუმოსკი (22), ონანი (2), სარიქა (26), თურქოღლუ (2)

ციბონა: ატკინსი (7), ბაგარიჩი (7), გირიჩეკი (12), გრეი (4), კრსტიჩი (4), მარცელიჩი (2), პრკაჩინი (9), სარლია (9), ვრანკოვიჩი (3)

**ცრვენა ზვეზდა — მაკაბი**

გადაიდო

### C ჯგუფი

**ცსკა 62:70 კინდერი**

ცსკა: კარასიოვი (6), კისურინი, ვეტრა (6), დომანი, ვაითი (2), დაინეკო (26), გუტოროვი (6), კუდელინი (12), ნოსოვი (4), პანოვი

კინდერი: რიგოდო (22), დანილოვიჩი (10), სკონოჩინი, პასპალი, მაკრისი (18), აბიო (13), კრიპა (1), ფროსინი (4), ბინელი (2)

**ულქერი 76:65 ალბა**

ულქერი: ალიჰოჯიჩი, ანდერსონი (11), ერდენაი (15), ფირინჯიოღლუ (6), კოტუროვიჩი (7), რენკინი (27), თექინალფი (3), ილდირიმი (7)

ალბა: ალექსისი (17), ბოგოევიჩი (2), ფემერლინგი (4), გარისი (17), ჰამინკი (8), ლუტკე, ნაკიჩი (9), პეშიჩი (6), როდლი (2)

**ოლიმპიაკოსი 71:55 ზადარი**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა, ფასულასი (1), გოლდვაიერი (4), კომაზეცი (29), ობერტო (6), პაპანიკოლაუ (9), როჯერსი (5), სულისი (2), ტარლაკი (12), ცალიკისი (3)

ზადარი: ერცეგოვიჩი (2), ერიავეცი, კოვაჩიჩი (13), ლუისი (8), მალოჩა, მუიაჯიჩი (5), ნაგლიჩი (16), ი. რუჟიჩი (11), მ. რუჟიჩი

### D ჯგუფი

**სამარა 60:67 ოლიმპია**

სამარა: დოლოპჩი (7), ევანსი (5), გრაჩოვი (7), ჰიუსტონი (12), იაილო (8), მალცევი, მელეშჩენკო (17), პეტენევი (4)

ოლიმპია: დუშჩაკი, იურკოვიჩი (8), კოტნიკი (6), კრალევიჩი (13), მაკდონალდი (8), პრაისი (2), სტეფანია (7), ტეილორი (6), ზდოვცი (17)

**ტიმსისტემი 76:61 პაოკ**

ტიმსისტემი: ბეტსი, ჩაკიგი (2), დილგლაი (3), ფუჩკა (16), გაი (1), კარნიშოვასი (12), ლაცისი (2), მულაომეროვიჩი (17), მაიერსი (23)

პაოკ: ბალოიანისი, ბერი (22), კოლდებელა (10), დესპოსი, იანულისი (8), კინგი (12), მასლარინოსი (3), მორალესი (4), ნიკოლაიდისი, პერალი (2)

**რეალი 71:70 ვილერბანი**

რეალი: ანგულო (9), ბერდი (15), ერეროსი (15), ლასა (9), ლიუკი (7), მარტინი, სანტოსი, სტრიულენსი (16)

ადამსი (8), ბილბა (15), ბლომი (2), დიგბო (5), ჰენრი (9), პალმერი (6), პერსევო, რადი (14), სონკო (11)

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფენერბაჰჩე | | 19.11 | 22.10 | 99:84 | 80:76 | 96:75 | 3 | 1 | 323:308 | 7 |
| 2 | პო ორტეზი | 73:48 | | 10.12 | 17.12 | 74:71 | 5.11 | 2 | 2 | 308:296 | 6 |
| 3 | ვარეზე | 17.12 | 89:77 | | 12.11 | 5.11 | 86:78 | 2 | 2 | 326:325 | 6 |
| 4 | ჟალგირისი | 5.11 | 22.10 | 97:81 | | 19.11 | 10.12 | 2 | 2 | 360:358 | 6 |
| 5 | ავტოდორი | 10.12 | 12.11 | 73:70 | 87:82 | | 22.10 | 2 | 2 | 307:306 | 6 |
| 6 | ტაუგრესი | 12.11 | 88:84 | 19.11 | 91:97 | 17.12 | | 1 | 3 | 332:363 | 5 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 22.10 | 74:58 | 18.11 | 77:71 | 5.11 | 4 | 0 | 304:252 | 8 |
| 2 | ეფესი | 16.12 | | 5.11 | 80:57 | 73:60 | 12.11 | 4 | 0 | 289:250 | 8 |
| 3 | ტდკ | 10.12 | 67:68 | | 12.11 | 22.10 | 72:65 | 2 | 2 | 258:261 | 6 |
| 4 | ციბონა | 61:69 | 9.12 | 54:61 | | 5.11 | 17.12 | 1 | 3 | 241:276 | 5 |
| 5 | ცრვენა ზვეზდა | 11.11 | 19.11 | 17.12 | 66:69 | | ? | 0 | 3 | 197:219 | 3 |
| 6 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 19.11 | 22.10 | 10.12 | | 0 | 3 | 193:224 | 3 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კინდერი | | 22.10 | 67:72 | 9.12 | 12.11 | 78:52 | 3 | 1 | 280:241 | 7 |
| 2 | ულქერი | 17.12 | | 19.11 | 12.11 | 62:55 | 76:65 | 3 | 1 | 286:260 | 7 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 5.11 | 58:72 | | 17.12 | 71:55 | 12.11 | 3 | 1 | 286:277 | 7 |
| 4 | ცსკა | 62:70 | 82:76 | 22.10 | | 19.11 | 5.11 | 2 | 2 | 293:291 | 6 |
| 5 | ზადარი | 55:65 | 4.11 | 10.12 | 82:79 | | 16.12 | 1 | 3 | 247:277 | 5 |
| 6 | ალბა | 18.11 | 10.12 | 83:85 | 63:70 | 22.10 | | 0 | 4 | 263:309 | 4 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 71:70 | 17.12 | 12.11 | 5.11 | 101:72 | 3 | 1 | 331:305 | 7 |
| 2 | ვილერბანი | 9.12 | | 71:66 | 17.12 | 80:66 | 4.11 | 3 | 1 | 299:277 | 7 |
| 3 | ტიმსისტემი | 21.10 | 18.11 | | 5.11 | 76:61 | 77:58 | 2 | 2 | 264:247 | 6 |
| 4 | ოლიმპია | 76:84 | 22.10 | 57:45 | | 19.11 | 10.12 | 2 | 2 | 268:265 | 6 |
| 5 | პაოკ | 87:75 | 11.11 | 9.12 | 76:68 | | 22.10 | 2 | 2 | 290:299 | 6 |
| 6 | სამარა | 19.11 | 74:78 | 11.11 | 60:67 | 17.12 | | 0 | 4 | 264:323 | 4 |

## მძლეოსნობა

# აზარაშვილი შვილს გვიტოვებს

## დაველოდოთ დევიდ მემარნიშვილს

რამდენიმე დღით თბილისში ჩამოსულ მაია აზარაშვილს ეროვნულ სტადიონზე შევხვდი მძლეოსნური შეჯიბრებისას. რაკილა ინტერვიუზე წინასწარ ვიყავით შეთანხმებულნი, ქალბატონმა მაიამ თავისი სამსაჯო ფუნქციები სხვას გადააბარა და ჩვენი საუბარიც იქვე, ეროვნულის განახლებულ ტრიბუნებზე შედგა.

**— რას საქმიანობთ ამჟამად გერმანიაში?**

— ამჟამად გერმანიაში, ქალაქ აახენში ვცხოვრობ და იქაურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში ვმუშაობ მწვრთნელად.

**— სპორტსმენობაზე საბოლოოდ აიღეთ ხელი?**

— აქტიურ სპორტულ ცხოვრებას მართლაც ჩამოვშორდი. ვარჯიშით კი ვვარჯიშობ, მაგრამ მხოლოდ ჯანმრთელობისთვის, ფორმის შესანარჩუნებლად, თორემ ტურნირებში უკვე ორი წელია, აღარ გამოვდივარ. დიდ სპორტში დაბრუნება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ეს უკვე აღარ გამოვა. ერთადერთი, სადაც მინდა ვიასპარეზო და რაზეც ამჟამად ვფიქრობ, ესაა გაისად გასამართი ევროპის თასის მეორე ლიგა, რომელშიც საქართველოს ქალთა ნაკრებიც უნდა გამოვიდეს. ჩვენებს, ალბათ, დასჭირდებათ ამანათრბენის მონაწილე და მინდა, დავეხმარო ერთ-ერთ ეტაპზე. ეს, ალბათ, ჩემი ბოლო სტარტი იქნება.

**— რაკილა ამ შეჯიბრებაზე ფიქრობთ, ხომ არ ვივარაუდოთ, რომ სპორტულ ფორმას არა მხოლოდ მისთვის ინარჩუნებთ.**

— საქმე ისაა, რომ სხვა მორბენალთაგან განსხვავებით სპორტული ფორმის შენარჩუნება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ უფრო იოლად შემიძლია საკუთარი თავი ფსიქოლოგიურად განვაწყო საამისოდ.

**— ჰოდა, აკი ამბობენ კიდეც, მაია საკმაოდ კარგ სპორტულ ფორმაშიაო. ნუთუ არ გიჩნდებათ სურვილი, თქვენთვის მესამე ოლიმპიადაზეც იასპარეზოთ?**

— სურვილი მართლაც მქონდა და დიდიც, მაგრამ ალბათ, ეს არ მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური ნორმატივის შესრულება ჩემთვის პრობლემა არაა. მაგრამ მხოლოდ ეს არ მაკმაყოფილებს. მინდოდა, კარგად მერბინა, ჩემი ძველი შედეგები „გამეხსენებინა", მაგრამ, სამწუხაროდ, ჯანმრთელობა აღარ მაძლევს ამის საშუალებას. საკმარისია ინტენსიური ვარჯიში განვაახლო, რომ რამდენიმე დღეში თავს მახსენებს ძველი ნაოპერაციევი თუ ტრავმები, რომლებიც ჩვეული ფორმის აღდგენის საშუალებას არ მაძლევენ. ამასთან, ვარჯიში მოითხოვს დიდ დროს, დრო კი საარსებოდ საჭირო ფულის საშოვნელადაა საჭირო. მე რომ ვარჯიში განვაახლო და მთელი დრო მას დავუთმო, შემოსავალს დავკარგავ, ვარჯიშმა კი შეიძლება არაფერი მომიტანოს. ეს ჩემი მხრიდან გაუმართლებელი რისკი იქნება, გერმანია კი ისეთი ქვეყანაა, სადაც გარისკვა არ შეიძლება. ამიტომ, წვალებას, დროისა და შემოსავლის დაკარგვას ვარჩიე მხოლოდ მწვრთნელად მემუშავა.

**— სამწუხაროა, რომ თქვენი სპორტული კარიერის ფინიში ქართული მძლეოსნობისთვის ასეთ მძიმე პერიოდს დაემთხვა.**

— ეს მართლაც ძალიან სამწუხაროა, რადგან ჩვენებურ მძლეოსნებთან შედარებით უკეთესი სავარჯიშო პირობები მაქვს და ჩემთვის იმ ნორმატივების შესრულება, რასაც მათგან მოვითხოვთ, ძნელი შესასრულებელი არ არის. ამასთან, საერთაშორისო დონესთან მისაახლოვებელი გზაც გავლილი მაქვს.

**— ჩვენი მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანიც ბრძანდებით და გერმანიაში ამ მხრივაც საქმიანობთ.**

— ჩემდა საბედნიეროდ, ფედერაციის გენმდივნად მუშაობა გერმანიაში უფრო მიადვილდება თუნდაც იმიტომ, რომ იქ შუქი მაინც არის მუდმივად და ფაქსების გაგზავნა-გამოგზავნა არ მიჭირს. გარდა ამისა, კარგად ვიცნობ ჩემს იქაურ კოლეგებს, რაც საშუალებას მაძლევს, საქართველოდან წავიყვანო ღირსეული, ნიჭიერი სპორტსმენები და გერმანიაში გავუხერხო სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობა. ფედერაციას ვეხმარები ტექნიკით, სპორტული ფორმით და სხვა ამისთანებით. აგერ, ახლაც ელექტროტექნიკა ჩამოვიტანე. საერთოდ, მიზნები დიდი მაქვს და ძალიანაც მინდა მათი შესრულება, მაგრამ ამ ყოველივეს დრო სჭირდება.

**— ქართული მძლეოსნობის პერსპექტივას თუ ხედავთ?**

— ჩვენი მძლეოსნობა მართლაც ურთულეს მდგომარეობაშია. საბოლოოდ, ალბათ, რაღაც ეშველება, მაგრამ საამისოდ ვიღაც ხომ უნდა გაირჯეს.

**— თქვენი აზრით, კონკრეტულად ვინ უნდა გააკეთოს ეს?**

— ყველამ, ვისაც ეს ევალება ან შეუძლია. თუ ფედერაციას არ შეუძლია ეროვნულ სტადიონზე სარბენი ბილიკების დაგება, რაც ისე ძვირია, რომ ჩვენთვის მიუწვდომელ—შეუძლებელია, ეს უნდა გააკეთოს სხვა სახელმწიფო სტრუქტურების დახმარებით. მწვრთნელებმაც უნდა იზრუნონ კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მართალია, ეს ციდან არ მოდის, მაგრამ თუ მონდომება იქნა, სწავლა შეიძლება. პრობლემაა ინვენტარის უქონლობაც. საუბედუროდ, მძლეოსნობა ყველაზე ძვირი სახეობაა, რადგან 47 სახეობას მოიცავს და ყველა მათგანს სათავისო ინვენტარი სჭირდება. ამ ინვენტარის ფასს, თანაც ერთი, ცალკეულისა, არ იკითხავთ? მაგალითად, თითო ჭოკის ფასი 3-4 ათასი დოლარია. ჰოდა, ჩვენი სიდუხჭირის გამო ამ სახეობაში ვერაფერს ვაკეთებთ. სიღარიბის გამოა, რომ ვცდილობთ, იაფი სახეობები განვავითაროთ იმ დონემდე მაინც, რომ ჩვენი სპორტსმენები შეჯიბრებებზე ნახევარფინალურ და ფინალურ ეტაპებამდე მაინც მივიდნენ და უფრო ადრე არ გამოვარდნენ. ამ ჩვენს ეროვნულ სტადიონსაც მოვლა უნდა, თუ დრო და დრო რაიმე არ შეემატა, მზრუნველი ხელი არ დაეტყო, მაშინ ესეც დაინგრევა და მერე მისი ამშენებელიც არავინაა. ისე, არც მთლად ხელიდან წასულია ჩვენი საქმე, რადგან ეს მართლაც კარგი სტადიონი მაინც გვაქვს. აქ რომ სარბენი ბილიკები იყოს, საერთაშორისო ტურნირების ჩატარებაც შეიძლება.



მაია აზარაშვილი

**— ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატში ჩვენების უხეირო გამოსვლაზეც უნდა გკითხოთ.**

— ეს ჩემპიონატი ჩემთვის მართლაც დიდი იმედგაცრუება იყო. ვიცოდი, რა უვარგის პირობებშიც ემზადებოდა რუსლან რუსიძე და მისი დიდი იმედი არც მქონდა. აი, თამარ შანიძე კი... იგი სამი თვე ჩემს თვალწინ ემზადებოდა გერმანიაში. ბუდაპეშტამდე ექვს ტურნირში იასპარეზა და მუდამ პროგრესი ჰქონდა. მეგონა, ბუდაპეშტშიც თავის საუკეთესო შედეგს გააუმჯობესებდა. მართალია, ამით მედალს ვერ მოიპოვებდა, მაგრამ ეს მისთვის დიდი სტიმული იქნებოდა. ვერ აგიხსნით, რატომ არ მოხდა ასე, რადგან ვერც თავად თამრიკო მიხსნის ამას. ვერ აგიხსნით თუნდაც იმიტომ, რომ ბუდაპეშტამდე ოთხი დღით ადრე, ერთ-ერთ ტურნირზე მან მიაღწია თავის საუკეთესო შედეგს, ფორმაშიც იყო და არც ტრავმა აწუხებდა. ძლიერებთან საბრძოლველად შეიძლება ფსიქოლოგიურად ვერ იყო მზად, მაგრამ თუ ადამიანი მებრძოლად არ არის დაბადებული, მაშინ ყველაფერი ამაოა.

**— თქვენ თუ ხართ მებრძოლად დაბადებული?**

— მე უფრო ნიჭიერი მორბენალი მეთქმოდა, მაგრამ ჩემი შედეგების უკან დიდი შრომა იდგა.

**— პერსპექტიული მძლეოსნები თუ არიან ჩვენში?**

— ნინო ბაგაშვილიც ნიჭიერია, მაგრამ, საუბედუროდ, მას არა აქვს ის პირობები, მე რომ მქონდა. ჩვენი ფედერაცია მონდომებულია, რომ ნინო არ დარჩეს მხოლოდ პერსპექტიულ სპორტსმენად და ოლიმპიადაზე იასპარეზოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიდნეის ოლიმპიადაზე მძლეოსანს ვერ გავაგზავნით. არადა, ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი სწორედ ჩვენს მძლეოსნებს აქვთ მოპოვებული. ნინოს აქვს საამისო შესაძლებლობები. მას ფიზიკური მონაცემებიც ხელს უწყობს და მონდომებულიც არის. თანაც უნდა ყველაფერში მე მომბაძოს. ერთ დროს მეც ვიყავი დამწყები სპორტსმენი, მეც მყავდა კერპი — მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში ლუდმილა კონდრატიევა და ვიცი, რასაც ნიშნავს ეს ახალბედისთვის. ჩემთან, გერმანიაში, სავარჯიშოდ რომ მყავდა წაყვანილი, ერთხელ ასეთ ამბავს შევესწარი — შუაღამისას სასტუმრო ოთახში, სადაც შეეძლო ვიდეოთი ნებისმიერი კინოფილმისთვის ეცქირა, ჩემი შეჯიბრების ერთ-ერთი კასეტა ჩაერთო და იმას უყურებდა.

რაც შეეხება სხვა პერსპექტიულებს, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან აქ არ ვარ, ისე კი, როგორც ფედერაციიდან და მწვრთნელებისგან მესმის, ბევრნი არც არიან, მაგრამ თითო-ოროლა არის. სამწუხაროდ, მხოლოდ თითო-ოროლა. არ ვიცი, რამდენად გაამართლებენ, მაგრამ ვეცდებით, სწორ გზაზე დავაყენოთ ისინი.

**— ამ ბოლო დროს ხშირად უპირისპირებენ და adარებენ ერთმანეთს მარიონ ჯონსსა და კრისტინ აარონს. თქვენი აზრი მათ შესახებ?**

— მათი დუელი მეც ძალიან მაინტერესებდა. მეგონა, აარონი ბუდაპეშტის შემდეგ სადმე იასპარეზებდა ჯონსთან ერთად და მსურდა კიდეც საკუთარი თვალით მენახა ეს ორთაბრძოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, კრისტინმა თავი აარიდა ამას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფულის გაკეთებაც შეეძლო და არც ტრავმა აწუხებდა. რაც შეეხება მათ შედარებას, მე უფრო ჯონსის მხარეს ვარ, რადგან ის უფრო სტაბილურია. შენი სიძლიერე სისტემატურად უნდა ამტკიცო, რასაც ჯონსი აკეთებს კიდეც. ვინც ბუდაპეშტში აარონთან ერთად ირბინა, ძალიან კარგი შედეგები კი ჰქონდათ, მაგრამ ორი დღის მერე ეს შედეგები არაფერი გამოჩნდა ჯონსის შედეგებთან შედარებით.

**— პირადად თუ იცნობთ ჯონსს?**

— არა, მხოლოდ ტრიბუნიდან მინახავს. ჩემთან შედარებით ძალიან ახალგაზრდაა და როცა საერთაშორისო სარბიელზე გამოვიდა, მე უკვე ჩამოშორებული ვიყავი მას. ცნობილ სპრინტერთაგან ვიცნობ მერლინ ოტს. მეგობრები არ ვართ, მაგრამ როცა ვხვდებით, ყოველთვის გულთბილად მოვიკითხავთ ხოლმე ერთმანეთს.

**— თქვენს ოჯახზეც გვითხარით.**

— ჩვენ ერთად ვართ გერმანიაშიც და სხვაგანაც, ერთი გუნდი ვართ, კარგად ვეწყობით და ვავსებთ ერთმანეთს. ჩემი ბიჭი, რომელსაც კოპერფილდის პატივსაცემად დევიდი დავარქვით, ახლა 9 წლისაა. ბეჯითად მეცადინეობს და უცხო ენებსაც სწავლობს, ცხადია, ქართულს არ ვავიწყებთ, ბებიას წერილებსაც წერს, მაგრამ მე განსაკუთრებით მისი სპორტული მიღწევები მახარებს — დევიდი რაიონისა და დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი კუთხის ჩემპიონია. მძლეოსნობა ძალიან უყვარს. სხვანაირად არც შეიძლება, ჩვენ ხომ მძლეოსნური ოჯახი გვაქვს — ჩემი მეუღლე ზურაბ მემარნიშვილიც მორბენალი იყო. მჯერა, დევიდი კარგი სპრინტერი იქნება, გრძელი დისტანციები კი ჭირის დღესავით ეჯავრება. ამაში მამამისს ჰგავს. თუმცა როცა გამარჯვებებს გემო გაუგო, ინტერესიც გაუჩნდა. ძალიან მინდა, კარგი სპრინტერი დადგეს და ქართულ სპორტს გამოადგეს.

**ირაკლი თავაძე**

## ხელბურთი

*საქართველოს ხელბურთელ ვაჟ და გოგონათა კლუბები[ს] ევროპის ჩემპიონთა თასებზე გამოსვლის შესახებ „სარბიელში" უკვე მოგითხრობდით. ორივე გუნდს „სტუ-შევარდენს" და „მა[რ]თვეს" წილისყრით საკმაოდ უხერხული მეტოქეები ერგო[თ]. ჩვენებურებმა ორივე თამაში გასვლაზე ითამაშეს. ვაჟებ[ი] პირენეის ნახევარკუნძულზე, ევროპაში ყველაზე პოპულარულ კლუბ „ბარსელონას" ებრძოდნენ, გოგონები კი აღმოსავლე[თ] გერმანიის მიწაზე ამ ქვეყნის ჩემპიონს „ლაიპციგს" ეპაექრებოდნე[ნ].*

# ბარსა: საკვირველი სახელმწიფო

— გამარჯვებას არც შევარდენი და არც მართვე არ გეგმავდა, თუმცა უკეთ თამაში კი შეიძლებოდა — ასე დაიწყო საუბარი ესპანეთიდან დაბრუნებულმა „სტუ-შევარდენის" და საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა დოლიძემ**, რომელსაც ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთის დარბაზში შევხვდით.

— გუნდის დამარცხებას არავის ვაბრალებ, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. ბოსნია-ჰერცეგოვინის „ბორალთან" შეხვედრის შემდეგ გუნდს არც შეკრების, არც ამხანაგური შეხვედრის საშუალება არ ჰქონია. მოკლედ, გუნდი ამ თამაშისთვის საკადრისად ვერ მოვამზადე. პირველი მატჩი განსაკუთრებით უსუსურად ვითამაშეთ, ესპანელებმა ყველა რგოლში დაგვჩაგრეს, ამაზე ანგარიშიც მეტყველებს 44:15. მეორე შეხვედრაში უკეთ ჭავისარჯეთ. პირველი ტაიმის 27-ე წუთზე 9:12 ვაგებდით, შვიდმეტრიანი საჯარიმო ვერ გავიტანეთ და ამის შემდეგ „ბარსამაც" გაილაღა. საბოლოოდ 30:16 დავმარცხდით.



ზაზა დოლიძე

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა თვითონ კლუბ „ბარსელონაზე". ეს არის პატარა სახელმწიფო სახელმწიფოში, რომლის წლიური შემოსავალი მილიონ 300 ათასი დოლარია. ცხადია, აქ მოთამაშე ხელბურთელებს არანაირი პრობლემა არ აქვთ, ისინი ვარჯიშისა და თამაშის გარდა არაფერზე ფიქრობენ. მსოფლიოს ბევრი კლუბი მინახავს, მაგრამ ასეთი გაოცებული არასოდეს დავრჩენილვარ, ვერც ერთ სხვა გუნდს ვერ შევადარებ. შედეგებიც სახეზეა. თავისი ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი ევროპის ჩემპიონთა თასსაც არავის უთმობს. „ბარსელონას" შეუძლია ნებისმიერ გუნდს 15-16 ბურთიანი სხვაობით მოუგოს. არა თუ კლუბი, არამედ თვით ძლიერი სახელბურთო ქვეყნის ნაკრებებიც იმას გეგმავენ, რომ თამაში რაც შეიძლება ნაკლები სხვაობით წააგონ. ესპანელებს სამი თანაბარი სიძლიერის შემადგენლობა ჰყავთ, რომელთაგან ნებისმიერი მოუგებდა ჩვენს გუნდს. კატალონიელებს ოთხი მოთამაშე ჰყავთ 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე მაღალი.

**— ვის გამოარჩევდით მეტოქედან და ჩვენებიდან?**

— დაცვაში საუცხოოდ ითამაშა უკრაინელმა შეპკინმა (2მ 14სმ). როცა ეს მოთამაშე მოედანზეა, ჩათვალეთ, რომ ბარსას ბურთს ვერ გაუტან. მით უმეტეს, რომ კარებში დგას შვედი სვენსონი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩვენებიდან ვინმეს გამოყოფა მიჭირს, რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს ბიჭებმა. თუმცა ყველაზე მაინც დათუკიშვილი გაისარჯა.

**— გოგონების თამაშზე რას გვეტყოდით?**

— ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ რა ქვეყანაა გერმანია და მისი ჩემპიონიც რა გუნდი იქნება. „მართვე" განათლების სამმართველოს ხელბურთის სასპორტო სკოლის გუნდია, რომელშიც მხოლოდ ოთხი გამოცდილი მოთამაშე იყო, დანარჩენი შვიდი სკოლის მოსწავლეები არიან. ლაიპციგის გუნდთან გამარჯვებას არც არავინ ფიქრობდა, მაგრამ უფრო უკეთ თამაში შეიძლებოდა. ზემოთაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ამისთვის გუნდს მომზადების მეტი პირობები უნდა ჰქონდეს.

**— როსტოვის „ისტოჩნიკში" მოთამაშე ნინო წივწივაძე ჯერ კიდევ ხუთშაბათს ჩამოვიდა თბილისში, „მართვე" კი მომდევნო ოთხშაბათს გაფრინდა გერმანიაში. რატომ არ მოხერხდა მისი წაყვანა?**

— ნინო წივწივაძეს რომ ეთამაშ[ა], ცხადია, ანგარიშში სხვაობაც უფრო ნა[ა]კლები იქნებოდა. თამაშამდე 10 დღი[თ] ადრე შევიტანეთ საბუთები, მათში ნინო[ს] პასპორტის ქსეროასლიც იყო, მაგრამ გე[]რმანიის საელჩოში ასე ადვილი არ არი[ს] ვიზის გაკეთება. ნინო ხუთშაბათს ჩამო[]ვიდა. პარასკევს გერმანიის საელჩო არ[] მუშაობდა. ისინი გერმანიის გაერთიანე[]ბის დღეს აღნიშნავდნენ, შემდეგ უქმეებ[ი] მოჰყვა. ორშაბათს კი მივიტანეთ პასპო[]რტი, მაგრამ ვიზის გაკეთება აღარ მო[]ასწრო.

თუმცა იყო უფრო სერიოზული მიზე[]ზებიც. ნინოს გვარი შეტანილი იყო ევ[]როპული თასების განაცხადში, რომელი[ც] 5 თვით ადრე იგზავნება ევროპულ შტაბ[]ბინაში. მართალია, ნინოს „ისტოჩნიკ[ის]" შემადგენლობაში ევროპულ თასებზე არ[] უთამაშია, მაგრამ იგი მონაწილეობდა რუ[]სეთის ჩემპიონატის თამაშებში, ამას თუ[] გაგვიგებდნენ, შესაძლო იყო, 100 ათასი[] შვეიცარიული ფრანკითაც დავეჯარიმე[]ბინეთ. საერთოდ კი ხელბურთელის გუ[]ნდიდან გუნდში გადაყვანის საკითხი 20 აგვისტომდე უნდა მოგვარდეს.

**— ახლა რას უპირებთ წივწი[]ვაძეს?**

— როსტოვის „ისტოჩნიკის" გუნდ[ი] ფაქტობრივად იშლება, ჩათვალეთ, რომ ნინო თითქმის თავისუფალი აგენტია. ლი[]ცენზია მას 26 იანვარს უმთავრდება. ჩვე[ნ] უკვე ერთად მისთვის კლუბს. ზუსტად[] დღეს გავაგზავნეთ ფაქსი კვიპროსში. თქვენ უკვე იცით, რომ ამ ქვეყნის ფე[]დერაციამ ეკა ჟიჟიაშვილს კვიპროსის საკლუბო გუნდში თამაში შესთავაზა. არ[ც] არის გამორიცხული, იქ სათამაშოდ ორი[]ვე გოგონა წავიდეს, თუ ისინი კონტრა[]ქტის ხელსაყრელ პირობებს შემოგვთა[]ვაზებენ.

**— ვაჟ ლეგიონერებს ხომ არა[] ვინ მიმატებია?**

— კალანდაძეს, ბოყოჩაძეს და თურქ[ეთ]ას მაკედონიის საკლუბო გუნდში ერთწ[]ლიანი კონტრაქტი აქვთ. ჩვენი ნაკრების დანარჩენ წევრებს კი ვთხოვეთ, გუნდში დარჩენილიყვნენ. დეკემბრის ბოლოს იუ[]გოსლავიაში სტუდენტთა მსოფლიოს ჩე[]მპიონატი იწყება, რომელზეც ალბათ პირდაპირ დაგვიშვებენ რეიტინგის მიხე[]დვით. თებერვალში კი ევროპის ჩემპიო[]ნატის საკვალიფიკაციო თამაშები იწყე[]ბა. თუ რომელი გუნდები მოხვდებიან ჩვენს ხუთგუნდიან ქვეჯგუფში, ამას შა[]ბათს, 17 ოქტომბერს ავსტრიის დედაქ[]ლაქში გამართული წილისყრა გაარკვევ[ს].

**ზურაბ ტაბატაძე**

# გოლმაც ძალაა



ტეემუ სელიანემ ჩიკაგოს მეკარე ჯეფ ჰეკეტს ორჯერ გაუტანა

15 ოქტომბერი

**ჩიკაგო — ანაჰაიმი 3:5 (1:1 0:2 2:2)**

შაიბები: 1:0 ამონტე 9'14 (2); 1:1 სელიანე 17'37 (1); 1:2 კროული 25'49 (1); 1:3 კარია 27'58 (2); 2:3 შანტცი 44'11 (1); 2:4 სანდსტრიომი 52'45 (1); 3:4 გილმორი 53'10 (1); 3:5 სელიანე 58'44 (2)

ჩიკაგოდან დათხოვნილი კრეიგ ჰარტსბურგი ტრიუმფალურად დაბრუნდა „იუნაიტედ სენტრში“, ახლა უკვე ანაჰაიმის თავკაცს, უპირველეს ყოვლისა, „იხვების“ ლიდერები, მწყობრში ჩამდგარი პოლ კარია და მისი პარტნიორი ტეემუ სელიანე დაეხმარნენ. სხვათა შორის, ჯავრის ამოყრა კარიასაც სწყუროდა — წლეულს, 1 თებერვალს, სწორედ ჩიკაგოელი გერი სუტერის (ამჟამად სან ხოსეში თამაშობს) უხეშობამ „დაასვენა“ ჰოკეისტი რვა თვით. გადამწყვეტი შაიბა ანაჰაიმის ლიდერმა უმცირესობაში ყოფნისას გაიტანა, როცა მეტოქის პასი ჩაჭრა და მეკარე ჰეკეტთან პირისპირ გავიდა. საბოლოოდ „იხვების“ ტუპერდუეტმა 3 გოლი და 3 პასი მიითვალა, სტუმრებმა კი პირველი ორი ქულა მოიპოვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბოსტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 5 |
| მონრეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 4 |
| ოტავა | 2 | 2 | 0 | 0 | 8:4 | 4 |
| ტორონტო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 4 |
| ბუფალო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 2 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| სენტ ლუისი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 3 |
| დეტროიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 2 |
| ნეშვილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 2 |
| ჩიკაგო | 3 | 1 | 0 | 2 | 6:9 | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | |
| ფილადელფია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 |
| პიტსბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:4 | 4 |
| აილენდერსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 2 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| რეინჯერსი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:12 | 0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ფლორიდა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 |
| ვაშინგტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 2 |
| კაროლინა | 3 | 0 | 2 | 1 | 8:9 | 2 |
| ტამპა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:10 | 1 |

**კაროლინა 2:2 დალასი**

0:0 0:1 2:1

0:1 მატვიჩუკი 30'37 (2); 1:1 პრიმო 41'00 (2); 2:1 რობერტსი 41'48 (1); 2:2 მოდანო 47'13 (3)

ამ ერთობ საინტერესო მატჩს სულ 5531 მაყურებელი დაესწრო, რაც კაროლინელთა ისტორიაში მეორე შემთხვევაა („ქარიშხლებმა“ პირველი ანტირეკორდი შარშან დაამყარეს — კალგარისთან შეხვედრას 15 კაცით ნაკლები ადევნებდა თვალს). დალასი, რომლის წინააღმდეგაც ჩინებულად ითამაშა ყოფილმა „ვარსკვლავმა“ არტურ ირბემ (36 მოგერიება), მოდანო — ჰალის (მორიგი პასი) კომბინაციამ იხსნა. აღნიშვნის ღირსია: კაროლინას აგერ უკვე ცხრა წელია, დალასისთვის შინ ვერ მოუგია (+0-5-4)

**ფინიქსი 5:2 კოლორადო**

0:0 2:2 3:0

0:1 საკიკი 25'23 (3); 0:2 დედმარში 29'02 (1); 1:2 ტოკეტი 33'18 (1); 2:2 ნუმინენი 36'42 (1); 3:2 ტვერდოვსკი 48'25 (1); 4:2 სტეპლტონი 48'54 (1); 5:2 სალივანი 59'38 (1)

წინა მატჩებში თავისი შეგირდების არაკორექტული თამაშით აღშფოთებული კოლორადოელთა თავკაცი ბობ ჰარტლი თამაშის დაწყებამდე დიდხანს მოძღვრავდა ჰოკეისტებს. აღშფოთების საბაბი კი მას ნამდვილად ჰქონდა: პირველ ორ შეხვედრაში „ეველანში“ 17-ჯერ დარჩა უმცირესობაში, სამი შაიბა კი მაშინ გაუშვა, როცა ორი კაცი აკლდა. უნდა ითქვას, რომ კოლორადოელებმა ყურად იღეს მწვრთნელის მოთხოვნა, გაცილებით დისციპლინიანად ითამაშეს და არასასურველ ჯარიმებსაც თავი აარიდეს, მაგრამ ამანაც ვერ უშველათ: საკიკის (1+1) და ფორსბერგის (2 პასი) ძალისხმევით დაწინაურებული სტუმრები ნუმინენის არალოგიკურმა გოლმა ისე დააბნია, რომ „კოიოტებს“ მესამე პერიოდში გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებიათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 5 |
| ფინიქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:6 | 2 |
| ლოს ანჯელესი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 2 |
| ანაჰაიმი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:9 | 2 |
| სან ხოსე | 2 | 0 | 1 | 1 | 6:8 | 1 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კალგარი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:6 | 3 |
| ვანკუვერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:6 | 2 |
| ედმონტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:6 | 2 |
| კოლორადო | 4 | 0 | 0 | 4 | 5:15 | 0 |



## მეამბოხე შნეიდერი რეინჯერსმა შეიფარა

გადაწყდა კიდევ ერთი მეამბოხე თავისუფალი აგენტის ბედი. ოღონდ, კოლეგებისგან განსხვავებით, ტორონტოელმა მცველმა მეტიუ შნეიდერმა გამოსავალი სხვა კლუბში გადასვლით გამოძებნა. კერძოდ, მან რეინჯერსს მიაშურა. ნიუიორკელებმა, რომლებმაც ძალიან უხეიროდ დაიწყეს სეზონი და გაძლიერება განიზრახეს, უკონტრაქტოდ დარჩენილ ჰოკეისტთაგან სწორედ შნეიდერს (შარშან 2,5 მილიონ დოლარს იღებდა, წლეულს კი კიდევ ნახევარ მილიონს ითხოვდა) დაადგეს თვალი. მის ნაცვლად ტორონტოში ასევე ცნობილი მცველი ალექსანდრ კარპოვცევი გადავიდა. არავინ იცის, ამ გაცვლით რომელი კლუბი უფრო იხეირებს. შარშან 29 წლის შნეიდერმა 37 (11+26) ქულა დააგროვა, მასზე ერთი წლით უმცროსი კარპოვცევის შედეგი კი გაცილებით მოკრძალებული იყო — 3 გოლი და 7 პასი.

საინტერესოა, რომ ამ ჰოკეისტის შეძენით ტორონტო დეტროიტთან ერთად ლიგის ყველაზე რუსული კლუბი გახდა — მას ხომ კიდევ იუშკევიჩი, მარკოვი, კოროლიოვი და ბერეზინი ჰყავს.

## «პინგვინებს» ფული მისცეს

პიტსბურგის კოტრობის გამო უახლოეს ხანს კლუბის ვერც ერთი კრედიტორი ვერ მიიღებს ფულს, გარდა მოთამაშეებისა. გუნდის მფლობელი როჯერ მარინო ჰოკეისტებს შეპირებია, ხელფასს მაინც დაგირიგებთო და ხუთშაბათს სიტყვა შეუსრულებია კიდეც. „დიახ, ჩეკი მომცეს და ახლა მომდევნო მატჩების მომზადების გარდა სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობ“ — განაცხადა კლუბის ლიდერმა იარომირ იაგრმა. სწორედ მისმა დამაჯერებელმა თამაშმა განაპირობა ნიუ ჯერსისთან უმძიმეს შეხვედრაში „პინგვინების“ გამარჯვება. იაგრს არც სხვა ჰოკეისტები ჩამორჩებიან, ხოლო მეორე სამეულის (ტიტოვი-ლანგი-მოროზოვის) ხეირიანმა გარჯამ თვით ჩეხი ვარსკვლავიც კი განაცვიფრა, რომელმაც დასძინა, ფრენსისის დაკარგვის მიუხედავად წლეულს უფრო ძლიერნი ვართო.

## ერთდოლარიანი კაცი მაგარი ვინმეა

იცით, ვინ გამოდის ფილადელფიის წამყვან სამეულში ერიკ ლინდროსსა და ჯონ ლეკლერთან ერთად? თუ გგონიათ, ბრინდამორი, ზუბრუსი ანაც კლეტი? შეცდით. წლეულს „DOOM“-ლაინის მესამე წევრი ვინმე მაიკ მანელიუკია. 25 წლის ფორვარდი დიდხანს ცდილობდა, ლაგაში მოხვედრილიყო, მაგრამ ამაოდ. ერთი წლის წინ კი მას ბედმა გაუღიმა — იგი ფილადელფიამ ერთ დოლარად (!) შეიძინა ოტავისაგან. სეზონისწინა თამაშებში კი „მფრინავთა“ გენერალური მენეჯერის ბობი კლარკის შეფასებით, მანელიუკმა ისეთი კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რომ მწვრთნელებმა წამყვან სამეულში დააყენეს და არც შემცდარან. გუნდის ორივე თამაშში ფორვარდმა პასებიც მიითვალა და სახელოვანი პარტნიორების გვერდით სრულიადაც არ დაჩრდილულა.



## ეს სამუელსონი ვის გაახსენდა?

ტამპამ ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ვეტერან მცველ ჩელ სამუელსონთან, რომელმაც ლიგაში 13 სეზონი ჩაატარა, წლეულს კი ავსტრიულ „ფელდკირხში“ გადავიდა თავის დროზე სამუელსონი პიტსბურგის, რეინჯერსისა და ფილადელფიის დაცვის ბურჯი იყო, მაგრამ ახლა 39 წლის საკმაოდ მოსუქებული შვედისგან „ელვების“ მესვეურნი ბევრს არაფერს უნდა ელოდნენ. NHL-ში ნათამაშევ 894 მატჩში სამუელსონის მონაგარი ასეთია: 68 გოლი, 166 პასი და 1367 საჯარიმო წუთი.

* * *

**ლოს ანჯელესისა და ვანკუვერის ამასწინანდელ მატჩში მთავარი არბიტრის, სტივენ უოლკომის მსაჯობამ „მეფეთა“ მწვრთნელი ლარი რობინსონი ერთობ აღაშფოთა.**

## მსაჯი ორია საჭირო

საქმე ისაა, რომ უოლკომმა კანადელთა კარში გატანილი ორი გოლი გააუქმა, აქაოდა, ლოსანჯელესელთა ფორვარდი მეკარის მოედანზე იდგაო. როგორც რობინსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, მსაჯი მეორე შემთხვევაში აშკარად ტყუოდა, რადგან „მეფეთა“ ფორვარდი მხოლოდ მას შემდეგ აღმოჩნდა მეკარის მოედანზე, როცა მას ვანკუვერის მცველმა ხელი ჰკრა. შესაბამისად, არანაირი წესი არ დარღვეულა. მსაჯობაზე განაწყენებულმა მწვრთნელმა ბოლოს დასძინა, შეცდომებისგან დაზღვეულნი რომ ვიყოთ, დროა, შემოვიღოთ ორი მთავარი არბიტრის ინსტიტუტი, რომელიც საგამოფენო მატჩებშიც გამოვცადეთო.



# თამბაქოს მადლი

ფორმულა 1-ში სეზონის ბოლო რბოლისწინა ერთთვიან შესვენებას გუნდები ინტენსიურ ტესტირებაში ატარებენ. თუმცა კი მათი უმეტესობა უკვე ახალ, 1999 წლის სეზონზე ფიქრობს და ამ ტესტებს სწორედ მისთვის მოსამზადებლად იყენებს.

ბარსელონაში „უილიამსის“ ბოლიდებს ძირითადად გუნდის ტესტ-პილოტები — მონტოია და ვილსონი ცდიან, მათ გვერდით კი გუნდის მომავალმა მრბოლმა, CART-ის ორგზის ჩემპიონმა ალექს ძანარდიმაც მოსინჯა ახალი მანქანა. პირველი ტესტების შემდეგ იტალიელმა მეხუთე დრო 1:24,67 აჩვენა, რაც არცთუ ურიგო შედეგია პილოტისათვის, რომელიც ახალ ტექნიკას ითვისებს. მეორე დღეს ძანარდიმ თავისი დრო კი გააუმჯობესა, მაგრამ მაინც საგრძნობლად ჩამორჩა ლიდერს. თვითონ პილოტი პირველი ტესტით კმაყოფილი დარჩა და განაცხადა: „დღევანდელი ფორმულა-1-ის ბოლიდი ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც მე 1994 წელს დავტოვე. ასევე განსხვავებულია იმ მანქანისგან, რომლითაც ამერიკაში ვასპარეზობდი. „უილიამსი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და შეუძლია, კვლავ გახდეს გამარჯვებული“.

ახალი სეზონისთვის ემზადება გუნდი BAR (ყოფილი „ტირელი“). შეგახსენებთ, რომ იგი თამბაქოს მწარმოებელი „ბრიტიშ-ამერიკან ტობაკოს“, ედრიან რეინარდისა და ჟაკ ვილნევის პირადი მენეჯერის კრეიგ პოლოკის ძალისხმევით შეიქმნა, რომელთაც კენ ტირელის საჯინიბო შეიძინეს. გუნდის ბიუჯეტს, 75 მილიონ დოლარს წელიწადში, თამბაქოს მეწარმე უზრუნველყოფს. შასის „რეინარდი“ დაამზადებს, რომელიც ამ საქმის საუკეთესო ოსტატია, საერთოდ კი ავტოსპორტის ნებისმიერ დისციპლინაში, სადაც გამოჩენილა, საუკეთესო შედეგები აქვს. ახალი შასის დამზადება შარშან დეკემბერში დაიწყო და მას წლეულს დეკემბერში ვიხილავთ ტრასებზე. ძრავებით გუნდს „სუპერტეკი“ (ამჟამინდელი „მეკაქრომი“) მოამარაგებს. საგანგებოდ ამ ძრავისათვის გადაკეთებულ „ტირელ-028“-ს გუნდის ტესტ-პილოტი ჟან-კრისტოფ ბულიონი ცდის. მომავალი წლიდან კი BAR-ის საჭეს თვით ჟაკ ვილნევი მიუჯდება. მეორე პილოტი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. „ტირელის“ შეძენით გუნდმა ერთობ იხეირა, ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი 25 მილიონი დოლარის გადახდისგანაც დაიხსნა თავი და FIA-ს და გუნდებს შორის დადებული „თანხმობის ხელშეკრულების“ თანახმად რბოლებიდან და ტელეგადაცემებიდან მიღებული შემოსავლის წილსაც იღებს. მაგრამ ამ ხელშეკრულების გამო სირთულეებიც გაუჩნდა. პირველი მათგანი სახელის შეცვლასთანაა დაკავშირებული. ამისათვისგუნდს ჩემპიონატში მონაწილეთა 80%-ის თანხმობა სჭირდება, რაც არცთუ ადვილი საქმეა. ამიტომ შესაძლოა გუნდი „BAR-ტირელის“ სახელით მოგვევლინოს. მეორე პრობლემა ბოლიდების შეფერილობასთანაა დაკავშირებული.

„BAR“-ის მესვეურებს სურდათ, ერთი ბოლიდი „ლაქი სტრაკის“ ფერებში გამოეწყოთ, მეორეს კი „ბრიტიშ ამერიკან ტობაკოს“ მეორე ნაწარმისთვის „555“ უნდა გაეწია რეკლამა. რაკი ფია ითხოვს, გუნდის ორივე ბოლიდი ერთნაირად იყოს შეფერილი, ამის გამო მანქანების ერთი მხარე შეიძლება ერთი სიგარეტის რეკლამამ დაამშვენოს, მეორე კი მეორისამ. ასეა თუ ისე, გუნდი იმედოვნებს, რომ პირველივე რბოლებიდან მოწინავეთა შორის დაიკავებს ადგილს.

მომავალ სეზონში ახალ გუნდში ვიხილავთ პედრო-პაულუ დინიცს, რომელიც ჟან ალეზის პარტნიორი იქნება „ზაუბერში“.

ალენ პროსტის გუნდი იაპონიაში ახალ დაგრძელებულ შასის AP-01B-ს და მასზე დამონტაჟებულ, მომავალი სეზონისთვის განკუთვნილ ახალ „პეჟოს“ ძრავს გამოიყენებს. ტესტებზე ახალი ბოლიდით გუნდის პილოტები 2 წამით ჩამორჩებოდნენ მოწინავეებს. მიუხედავად ამისა, ორივე აცხადებდა, ბოლიდი უფრო სტაბილური და ადვილად სამართავი გახლავთო.

ედი ჯორდანი „ჰონდასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას „მუგენ-ჰონდას“ ძრავების 2001 წლამდე მიწოდების თაობაზე. გაისად კი, გუნდის მფლობელის განცხადებით, ირლანდიური საჯინიბო ჩემპიონობისთვის აპირებს ბრძოლას და სწორედ ამიტომ შეჰყარა გუნდში ორი ძლიერი პილოტი დეიმონ ჰილი და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი და გუნდში ახალი აეროდინამიკოსიც მიიწვია. თუმცა, თუ „ჯორდანი“ ჩემპიონობას აპირებს, ახალი სეზონისთვის სხვა, განსაკუთრებული მოდელის შექმნა მოუწევს. დეიმონ ჰილი, რომელმაც პირველი გამარჯვება მოუტანა ირლანდიელებს, თავშეკავებულად აცხადებს: „მიზნები მუდამ დიდია, მაგრამ კარგი იქნება, რბოლის მოგება და სეზონის მესამე საპრიზო ადგილზე დასრულება შევძლოთ.“ალენ პროსტის გუნდი იაპონიაში ახალ დაგრძელებულ შასის AP-01B-ს და მასზე დამონტაჟებულ, მომავალი სეზონისთვის განკუთვნილ ახალ „პეჟოს“ ძრავს გამოიყენებს. ტესტებზე ახალი ბოლიდით გუნდის პილოტები 2 წამით ჩამორჩებოდნენ მოწინავეებს. მიუხედავად ამისა, ორივე აცხადებდა, ბოლიდი უფრო სტაბილური და ადვილად სამართავი გახლავთო.

ედი ჯორდანი „ჰონდასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებს „მუგენ-ჰონდას“ ძრავების 2001 წლამდე მიწოდების თაობაზე. გაისად კი, გუნდის მფლობელის განცხადებით, ირლანდიური საჯინიბო ჩემიონობისთვის აპირებს ბრძოლას და სწორედ ამიტომ შეჰყარაგუნდში ორი ძლიერი პილოტი დეიმონ ჰილი და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი და გუნდში ახალი აეროდინამიკოსიც მოიწვია. თუმცა, თუ „ჯორდანი“ ჩემპიონობას აპირებს, ახალი სეზონისთვის სხვა, განსაკუთრებული მოდელის შექმნა მოუწევს. დეიმონ ჰილი, რომელმაც პირველი გამარჯვება მოუტანა ირლანდიელებს, თავშეკავებულად აცხადებს: „მიზნები მუდამ დიდია, მაგრამ კარგი იქნება, რბოლის მოგება და სეზონის მესამე საპრიზო ადგილზე დასრულება შევძლოთ.“

ზემოთ ჩამოთვლილი გუნდებისა და პილოტებისგან განსხვავებით, მეტი საფიქრალი აქვთ „მაკლარენისა“ და „ფერარის“ პილოტებს, რომელთათვისაც უპირველეს საზრუნავს „იაპონიის დიდი პრიზი“ წარმოადგენს — იქ ხომ მსოფლიოს ჩემპიონის ბედი უნდა გადაწყდეს. ბარსელონაში ჩატარებულ ტესტებზე საუკეთესო მიხაილ შუმახერი გახლდათ. მეორე კი კულჰარდი იყო. კარგი შედეგი აჩვენა ბარიჩელომ და მესამე ადგილზე გავიდა. თუმც კი ტრასაზე არ გამოსულან არც ჩემპიონობის კანდიდატი ჰაკინენი, არც „უილიამსის“ ძირითადი პილოტები ვილნევი და ფრენცენი. „ფერარის“ მეორე პილოტის ირვინის ნაცვლად კი ბადოერი ასპარეზობდა.

ტესტების შედეგები კი ასე გამოიყურება:

| | | |
|---|---|---|
| 1. | მ. შუმახერი (ფერარი) | 1.21,900 |
| 2. | კულჰარდი (მაკლარენი) | 1.22,000 |
| 3. | ბარიჩელო (სტიუარტი) | 1.22,600 |
| 4. | ფიზიკელა (ბენეტონი) | 1.23,100 |
| 5. | ჰილი (ჯორდანი) | 1.23,430 |
| 6.* | ბულიონი (ტირელი) | 1.23,490 |
| 7. | ვურცი (ბენეტონი) | 1.23,700 |
| 8.* | ბადოერი (ფერარი) | 1.23,944 |
| 9.* | მიულერი (ზაუბერი) | 1.23,945 |
| 10.* | ვილსონი (უილიამსი) | 1.24,362 |

* — ტესტ-პილოტი

*FIA მომავალი სეზონის სამზადისშია და გამოაქვეყნა კიდეც 1999 წლის კალენდარი, რომელშიც 17 ეტაპი შეიტანა. თუმც კი ზოგიერთი მათგანის ჩატარება ჯერ სათუოა. ორი ეტაპი პირველად უნდა მოეწყოს — ჩინეთის დიდი პრიზი ჟუჰაის ტრასაზე, ჰონ კონგის მახლობლად და მალაიზიის დიდი პრიზი კუალა ლუმპურში. არგენტინის დიდი პრიზი კი სათადარიგო ეტაპის სტატუსითაა კალენდარში.*

**ფორმულა 1-ის 1999 წლის კალენდარი**

| | | |
|---|---|---|
| 7 მარტი | ავსტრალიის დიდი პრიზი | მელბურნი |
| 21 მარტი | ჩინეთის დიდი პრიზი | ჟუჰაი * |
| სათადარიგო რბოლა | არგენტინის დიდი პრიზი | ბუენოს აირესი |
| 11 აპრილი | ბრაზილიის დიდი პრიზი | სან პაულუ |
| 2 მაისი | სან მარინოს დიდი პრიზი | იმოლა * |
| 16 მაისი | მონაკოს დიდი პრიზი | მონტე კარლო |
| 30 მაისი | ესპანეთის დიდი პრიზი | კატალუნია მონტმელო |
| 13 ივნისი | კანადის დიდი პრიზი | მონრეალი |
| 27 ივნისი | საფრანგეთის დიდი პრიზი | მანიკური |
| 11 ივლისი | ბრიტანეთის დიდი პრიზი | სილვერსტოუნი |
| 25 ივლისი | ავსტრალიის დიდი პრიზი | შპილბერგი, A1-რინგი |
| 1 აგვისტო | გერმანიის დიდი პრიზი | ჰოკენჰაიმი |
| 15 აგვისტო | უნგრეთის დიდი პრიზი | ჰუნგარორინგი * |
| 29 აგვისტო | ბელგიის დიდი პრიზი | სპა |
| 12 სექტემბერი | იტალიის დიდი პრიზი | მონცა |
| 26 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი | ნიურბურგრინგი * |
| 17 ოქტომბერი | მალაიზიის დიდი პრიზი | კუალა ლუმპური |
| 31 ოქტომბერი | იაპონიის დიდი პრიზი | სუძუკა |

* — დასაზუსტებელია

# მოდით, ვიმეგობროთ!

**სინგაპური.
ჰაინეკენის ღია პირველობა.
ტარდება დარბაზში ჰარდზე
საპრიზო 700 ათასი $**

გორან ივანიშევიჩისა და მარკ ვუდფორდის ბოლო პირადი შეხვედრა აშშ-ის ღია პირველობაზე მეტად უსიამოვნო პრესკონფერენციაში გადაიზარდა. დამარცხებით გულდაწყვეტილმა ავსტრალიელმა, რომელიც ბოლო წლების მსოფლიოს უძლიერესი წყვილის „ვუდების“ უფროსი წევრია, ჯავრი კორტს გარეთ იყარა და ჟურნალისტებს განუცხადა, გორანმა მოწოდების გარდა არაფერი იცის, ფული გადასაყრელიც რომ მქონდეს, მისი თამაშის სანახავად კაპიკსაც არ დავხარჯავდიო.



ლეიტონ ჰიუიტი სინგაპურში ორანგუტანგებს დაუმეგობრდა

REUTERS სინგაპურიდან

ვუდფორდს ვალში არც ცაცია ხორვატი დარჩენილა — დროა, ეგ ბებერი პენსიაში გავიდეს, წყვილებში ნახევარ კორტზე კიდევ არა უშავს, მაგრამ ერთეულებში ველარ დარბის და რალას ითამაშებსო. გორანმა ამას ისიც დაუმატა, შვილი რომ მყავდეს, ვუდფორდის მატჩზე წავიყვანდი, რომ ენახა, როგორ არ უნდა ითამაშო ჩოგბურთიო.

მოკლედ, სინგაპურში ამ ორი ავყიას პრინციპულმა ორთაბრძოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გათამაშებების უმეტესობა ერთ-ერთი ჩოგბურთელის ბადესთან გასვლით მთავრდებოდა, რაც პირველ სეტში ვუდფორდს უკეთ გამოსდიოდა. მეორე ხელში მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანეს, სადაც ივანიშევიჩის აქილევსის ქუსლმა — ორხელა მიღებამ პატრონს მორიგი დათვური სამსახური გაუწია მატჩპოინტზე 4:6, 6:7 (4:7).

მავანთა გასაკვირად, დუელი ამჯერად კორტს გარეთ აღარ გაგრძელებულა — ჩოგბურთელებმა ბადესთან ხელიც კი ჩამოართვეს ერთმანეთს და იქ ჩვეულებრივზე გაცილებით ხანგრძლივი გასაუბრების მიუხედავად, ერთმანეთისთვის ჩოგნების დარტყმის სურვილიც არ გასჩენიათ. „ცუდად არ მითამაშია, უბრალოდ, მარკი არაჩვეულებრივად ირჯებოდა. თუ ასე გააგრძელა, სავსებით შესაძლებელია, ტურნირიც მოიგოს“ — განაცხადა ივანიშევიჩმა.

„დღეს ისე ვითამაშე, ვერაფერზე დავიჩივლებ, ეს კი არც ისე ხშირად ხდება“ — დაუმატა თავის მხრივ 33 წლის ავსტრალიელმა, რომელმაც ბადესთან შემდგარი დიალოგის შინაარსის გამჟღავნება იუარა, ეს ჩვენს შორის დარჩებაო — ნიუ იორკში მომხდარზე სულაც არ მიფიქრია, თორემ ამ მატჩსაც ვერ მოვიგებდი. ისე კი, უნდა გითხრათ, მე და გორანი ამჟამად აი, ასე ვართ ერთმანეთში“ — და ვეტერანმა ჟურნალისტებს გადაკაკვული თითები უჩვენა.

სინგაპურშივე გამოიჩინა თავი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) 17 წლის ლეიტონ ჰიუტმაც. პატარა ავსტრალიელმა საჩოგბურთო სამყაროს იანვარში დაამახსოვრა თავი, როდესაც ჯერ კიდევ მოყვარულების რანგის მქონემ ანდრე აგასი და რამდენიმე გამოცდილი თანამემამულე დაამარცხა და 16 წლისამ მშობლიურ ადელაიდაში ტურნირი მოიგო. ჰიუიტმა მერე იონას ბიორკმანიც გაამწარა და პროფესიონალებში გადაინაცვლა, მაგრამ ამ კვირამდე ალსანიშნავი არაფერი გაეკეთებინა.

სინგაპურში კი ოზი ვუნდერკინდი უკვე მეოთხედფინალშია. მეორე წრეში მას ორსაათნახევრიანი, დამქანცველი ბრძოლა გადახდა 21 წლის ამერიკელ ჯასტინ გიმელშტრობთან და საბოლოოდ მისი წინააღმდეგობა გადამწყვეტი ხელის ტაი-ბრეიკზელა გადალახა 6:7 (6:8), 6:2, 7:6 (7:4).

**მეორე წრე: მარსელო რიოსი (1, ჩილე) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:2, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (4, აშშ) — ბრეტ სტივენი (ახალი ზელანდია) — არ გამოცხადდა; ჯიმ კურიე (აშშ) — მიქაელ ტილსტრომი (6, შვედეთი) 6:4, 2:6, 7:6 (7:3); კენეტ კარლსენი (დანია) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:1, 6:1; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:4.**

**მერვედფინალი: პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:3, 6:2; ტოდ მარტინი (აშშ) — პეტერ კორდა (4, ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:2); კაროლ კუჩერა (5, სლოვაკეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:5, 6:4; გრეგ რუზეცკი (ინგლისი) — ტომას მუსტერი (ავსტრია) 6:4, 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:1.**

**ვენა. ავსტრია.
CA ტენის ტროფი.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო 700 ათასი $**

პიტ სამპრასმა და პატრიკ რაფტერმა ვენის ტურნირის ფინალში პირადი ურთიერთობების გასარკვევად თითო ნაბიჯიც გადადგეს.

სამპრასის მეტოქე მერვედფინალში თანამემამულე, თუმც კი მუდმივად საფრანგეთში მცხოვრები ჯეფ ტარანგო იყო. ჩოგბურთის ყველაზე დიდმა შარისთავმა მსოფლიოს პირველ ჩოგანს გვარიანი ბრძოლა გაუმართა და პირველი სეტი მოუგო კიდეც, მაგრამ კიდევ ერთი ნაადრევი მარცხის შიშმა პიტი დროზე გამოაფხიზლა და მეორე-მესამე ხელში საქმე სანერვიულოდ აღარც გაუხდია — 5:7, 6:1, 6:3.

„ვგრძნობ, რომ უახლოესი ერთი თვე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩემი მიზნის მისაღწევად და ბევრი გარჯაც მომიწევს. ასეთი დაძაბული გრაფიკით, ზედიზედ რამდენიმე ტურნირზე, არასოდეს მითამაშია. იმედი მაქვს, საკუთარ თავში გამოვნახავ საკმარის ძალებს, რომ მას გავუძლო“ — განაცხადა მატჩის შემდეგ სამპრასმა, რომელსაც ზედიზედ ხუთ პირველობაზე თამაში და მაქსიმალურად შესაძლებელი ქულების დაგროვება სეზონის ბოლოს თავისი პირველი ადგილის შესანარჩუნებლად სჭირდება, რითაც ჯიმი კონორსის რეკორდის მოხსნას აპირებს.



REUTERS სინგაპურიდან

მარკ ვუდფორდი და გორან ივანიშევიჩი

მეოთხედფინალში პიტის მეტოქე შესანიშნავ ფორმაში მყოფი ინგლისელი ტიმ ჰენმანი იქნება, რომელმაც ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მობრუნებულ ტომას ენკვისტთან თავისი გამარჯვებათა სერია 15-მდე გაზარდა 6:7 (3:7), 6:3, 6:3.

ჰენმანს სამპრასი აქამდე არასოდეს დაუმარცხებია, მაგრამ მატჩის შემდეგ ფრიად ოპტიმისტურად იყო განწყობილი: „თუკი ოდესმე მისთვის მოგების შანსი მექნება, ახლა სწორედ ის მომენტია. საკუთარ თავში ასე დარწმუნებული არასოდეს ვყოფილვარ.“

არ გაუმართლა ტრავმებისგან კიდევ ერთ შეჭირვებულ ჩოგბურთელს — ჰოლანდიელ რიჩარდ კრაიჩეკს (6). უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონმა ფრანგ სედრიკ პიოლინს 27 ეისი ჩაუგდო, მაგრამ მობილურობისა და მიღების ხარვეზები ვერც ამით აანაზღაურა. საბოლოოდ 7:6 (7:1), 6:7 (5:7), 6:4 პიოლინის სასარგებლოდ.

**ციურიხი. შვეიცარია.
ევროპის ღია ჩემპიონატი.
ტარდება დარბაზში ჰარდზე.
საპრიზო 926250 $.**

ჩოგბურთის ტურნირებისთვის ახალი სპონსორის შეძენაში, ისევე როგორც ამის შესახებ დიდი ზარ-ზეიმით გამოცხადებაში (ციურიხის შემთხვევაში მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ლინდსი დევენპორტის მიერ) უცხო და უჩვეულო არაფერი არ არის, მაგრამ შვეიცარიელებმა ამჯერად მაინც უპრეცედენტო რამის ჩადენა მოახერხეს — ხუთშაბათ დილით ორგანიზატორებმა განაცხადეს, დღეს, შუადღის ორი საათიდან, ტურნირს ევროპის ღია ჩემპიონატი კი არა, „Swisscom Chakkenge“ ჰქვიაო.

„სუისკომმა“, შვეიცარიული ტელეკომუნიკაციების კომპანიამ, რომელიც ჩემპიონატს სპონსორობას ადრეც უწევდა, საერთაშორისო ბაზარზე გასვლით მადასა და ამბიციებს უმატა და მთელი პირველობის დაპატრონებაც მოახერხა. „ჩვენ გვინდა ეს სახელი ისევე ცნობილი გახდეს, როგორც „ლიპტონი“ და „კიბისკეინია“ — განაცხადეს ფირმის წარმომადგენლებმა. ისე კი — ბისკეინის ტურნირს 1999 წლიდან „ლიპტონის“ ნაცვლად „ერიქსონის თასი“ ერქმევა.

სპონსორის შეცვლამ ორგანიზატორებს, ჯერჯერობით მაინც, შვება ვერ მოუტანა. ჯერ იყო და ტრავმის გამო მაყურებლების მთავარი სატყუარა, მარტინა ჰინგისი დაკარგეს, მერვედფინალში კი ერთადერთმა შემორჩენილმა შვეიცარიელმა, მეხუთედ განთესილმა პატი შნიდერმაც წააგო ავსტრიელ ბარბარა შეტთან 4:6, 6:1, 6:7 (4:7).

„უბრალოდ ვერ ვიტან ასეთ სწრაფ კორტებს. ჩემი მწვრთნელის აზრით, ეს ისევ ჩემივე შთაგონების ბრალია, მაგრამ ამ მომენტისთვის მასზე თამაში მაინც არ შემიძლია“ — თავი იმართლა თავისიანების წინაშე შნიდერმა.

**მერვედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 6:4, 6:2; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — კორინა მორარიუ (აშშ) 7:5, 6:3; ირინა სპირლეა (რუმინეთი) — კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) 6:2, 7:6 (7:0); ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:2, 6:3; ამანდა კუტცერი (6, სამხრეთ აფრიკა) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 6:1; მარი პირსი (7, საფრანგეთი) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (8:6), 6:1; დომინიკ ვან რუსტი (8, ბელგია) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:3, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



ჭადრაკის სასახლის 37-ე სათამაშო ოთახში გუშინ გამართული პრესკონ-ფერენცია, ტრადიციულად, უხვსიტყვიანი გამოდგა. ელისტის ახლახან დასრულებულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე ნარგ ზავნილმა ქართული დელეგაციის წევრებმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ნონა გაფრინდაშვილმა, დავით გურგენიძემ, მაია ჩიბურდანიძემ და ზურაბ სტურუამ ჟურნალისტებს ვრცლად უამბეს ოლიმპიადისა და არამარტო ოლიმპიადის შესახებ.

# მეხუთე კაცური ადგილია



ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძ

პრესკონფერენცია საინფორმაციო საშუალებათა მოკითხვით დაიწყო. მას მედიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა („სარბიელის“ ჩათვლით) მადლობა დაიმსახურა ოლიმპიადის მართალი გაშუქებისთვის, ზოგმაც — საყვედური. ამ უკანასკნელთა რიგში მოხვდა, მაგალითად, რუსული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“, სადაც ეწერა, აზმაიფარაშვილს ერთ-ერთი პარტიის წინ გული წაუვიდაო. თავად ბატონმა ზურაბმა ამ ინფორმაციას არასწორი უწოდა და განაცხადა, სათამაშო დარბაზში დახუთულობის გამო მას მხოლოდ პულსი აუჩქარდა, ხოლო პარტია მაინც ითამაშა და მოიგო.

ყველას აწუხებს და აინტერესებს ქართველ ქალთა საოლიმპიადო წარუმატებლობა და მისი მიზეზები. პრესკონფერენციაზე ახალი არაფერი თქმულა: არახამიას ფეხმძიმობა, ხურციძის გამოუცდელობა, ვიეტნამთან წაგება და გადამწყვეტ პარტიებში აჩქარება. მამაკაცთა წარმატება კი პრესკონფერენციაზე ჯეროვნად შეფასდა. მოგეხსენებათ, ჩვენებმა V-VII ადგილები გაიყვეს, დამატებითი კოეფიციენტებით კი საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს. ეს, ცხადია, მიღწევაა და დიდიც. ცალკე აღინიშნა სტურუას მცირე ვერცხლისა და აზმაიფარაშვილის მცირე ბრინჯაოს ამბავი და აქ დავით გურგენიძემ თქვა, აზმაიფარაშვილმა სვიდლერს, შიროვს, ადამსსა და ტოპალოვს გაუსწრო, ეს ყატარელი ალ მუდიაქი კი რა გახდა, ბატონო, ასეთი, ვერ გამიგია, უკვე მერამდენე ოლიმპიადაა, I დაფის მცირე ოქრო სულ ყატარში მიაქვსო. მერე ესეც დასძინა, ისე, ეშმაკია ალ მუდიაქი, ძლიერ გუნდებთან შეხვედრისას ისვენებს და მერე უძლეურებთან აგროვებს ქულებს, ამიტომაც გავიდა ყატარის ნაკრები 89-ე ადგილზეო.

ოლიმპიადის პერიოდში ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვს ყველა აქებდა და პრესკონფერენციაზეც მას ბევრი თბილი სიტყვა უძღვნეს. სავსებით მოიწონეს ოლიმპიადის პარალელურად მიმდინარე ფიდეს კონგრესზე ილუმჟინოვის ფიდეს პრეზიდენტად ხელახალი არჩევაც, რის შემდეგაც სიტყვა მსოფლიოს ჩემპიონატის ახალ ციკლზე ჩამოვარდა. აქ კი უწინდელზე დიდი არეულობა სუფევს. დავიწყოთ ქალთა ჩემპიონატით. ალბათ გახსოვთ, წინა ციკლის პრეტენდენტთა ფინალში ჩინელი სიუ ჟუნი და რუსი ალისა გალიამოვა რომ უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ რუსმა პროტესტი განაცხადა მხოლოდ ჩინეთში თამაშზე (ცხადია, სამართლიადანაც) და ორრაუნდიანი მატჩი მოითხოვა. ამაზე ფიდე არ დაყაბულდა და თითქოს მომწიფებული ჩანდა სიუ ჟუნის მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტად გამოცხადება, რომ ახლა თავად მსოფლიოს უნგრელმა ჩემპიონმა ჟუჟა პოლგარმა განაცხადა, სიუ ჟუნთან თამაშს სრულებითაც არ ვაპირებო. მოკლედ, ჯერჯერობით უცნობია, ვინ ვის, ხოლო ფიდე განიხილავს სიუ ჟუნ — გალიამოვას მატჩის ჩატარებისა და გამარჯვებულის მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადების საკითხს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო: ფიდემ დაგეგმა ჯერ ზონალური ტურნირები, 29 ნოემბრიდან კი ფინალი ლას ვეგასში, 3 მილიონ დოლარიანი საპრიზო ფონდით, მაგრამ საქმეში ხარ? ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა მკაცრად განაცხადა, მე ტიტული 2 წლის წინ დავიცავი და, ახლა რომ ისევ უნდა დავიცვა, სადაური წესია, შესარჩევი ციკლი სამწლიანი იყოსო. რა ექნა, ჩაერია საქმეში თავად ილუმჟინოვი, მოიშველია ვინმე ფიშმანი (ცნობილ პოპ ვარსკვლავ მადონას ყოფილი მენეჯერი) და ორიოდე დღის წინ ლას ვეგასში კარპოვი, როგორც იქნა, 1999 წლის იანვარზე დაიყაბულა.

პრესკონფერენციაზე მომავალი ოლიმპიადის გამართვის ადგილიც შევიტყვეთ. იგი სტამბოლში მოეწყობა 2000 წელს. ალბათ ამიტომაც, თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ფიდეს ვიცე-პრეზიდენტადაც უკურთხებიათ.

რაც შეეხება ბოლო ცნობას, რომელ
პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, იგი ერ
თდროულად სერიოზულიც არის და მხ
არულიც. გაინტერესებთ, ვინ არის დღ
ელისტაში ყველაზე პოპულარული პირ
ვნება? იგი ლიტერატურული გმირია დ
ოსტაპ ბენდერი ჰქვია. მისი პოპულარ
ბის დამადასტურებელ საბუთებად კი გ
იძლება მოვიშველიოთ ოსტაპ ბენდერი
პროსპექტი ელისტაში, მისივე ძეგლი ხს
ნებულ პროსპექტზე და, რაც მთავარ
ოსტაპ ბენდერის სახელობის საერთაშ
რისო საჭადრაკო ტურნირი, რომელ
ელისტაში ტრადიციულად გაიმართე
ესეც თქვენი ოსტაპ ბენდერი!..

**დავით გულ**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე: ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე: სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება: კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება: გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება: ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დუვაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29